აქტიურად, მაგრამ ფრთხილად

A2

"თქვენი აფხაზეთი"

A5

რა ემუქრება ბუშს

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 22 მარტი, 2006 წელი. №61 (1213)

ფასი 50 თეთრი

ამბები

აქციებში ძროხებიც ჩაერთვებიან

უკვე რამდენიმე წელია, ყვარლის ეგრეთ წოდებული "მეურნეობის დასახლების" მაცხოვრებლები 14 ჰექტარი მიწის დასაბრუნებლად ბრძოლას აგრძელებენ. როგორც მოსახლეობა ამბობს, ტერიტორია, რომელსაც ისინი საძოვრებად იყენებდნენ, კანონიერად მათ ეკუთვნოდათ, მაგრამ ეს ადგილი ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ეკა თოდაძემ თავად შეიძინა. აღნიშნულის გამო მომჩივანმა მოსახლეობამ გუშინ რაიონის გამგეობის წინ საპროტესტო აქცია გამართა.

A2

სამართალი

მაფიოზური სამკუთხედი თუ მორიგი ცილისწამება

ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის საგამოძიებო დეპარტამენტის ყოფილი თანამშორომელი კახა კუპრეიშვილი ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობას კორუფციასა და კონტრაბანდის მფარველობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ფინანსური პოლიცია, საბაჟო დეპარტამენტი და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი მაფიოზურ სამკუთხედს ქმნიან.

A4

სპორტი

ნორჩი დინამოელის ისტორიიდან

სანამ არსებობდა, წარმატებების მიღწევა არ უჭირდა. სადაც ბურთს გააგორებდნენ, ყველგან იმარჯვებდნენ. ფაქტობრივად, თამაშს არ აგებდნენ. წელიწადში ორ-სამ ტურნირს იგებდნენ. არცთუ დიდი ხნის არსებობის განმავლობაში იმდენი შეჯიბრება მოიგეს, ბოლოს სათვალავიც აერიათ. ასეთი გუნდები კი არ უნდა იშლებოდეს, მაგრამ ასეთებიც ხდება. დღეს "ნორჩი დინამოელი 92" დაშლილია.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	22/03	23 /03
თბილისი	16	20
ქუთაისი	15	20
სოხუმი	17	20
დმანისი	9	13
გორი	12	17
ონი	9	13
ზუგდიდი	17	21
ახმეტა	16	19
სამტრედია	17	22

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8275
ევრო	2.2264
გირვანქა სტერლ.	3.2109
რუბლი	0.0661

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
პროექტი	A 5
სპორტი	A 6
ტენდერი	A 7
სხვადასხვა	A 8

„დაჭერები" ბელარუსში

რეპრესიებში სამი ქართველიც მოჰყვა

სოფო ბუკია

ბელარუსში ოპოზიციის მიტინგების პარალელურად გრძელდება ოპოზიციონერთა საყოველთაო "დაჭერები". დაკავებულებს შორისაა საქართველოს სამი მოქალაქე. უკანასკნელი ინფორმაციით, ბასილ კობახიძე, ვლადიმერ გოგიაშვილი და მალხაზ სონღულაშვილი მინსკის უშიშროების იზოლატორში იმყოფებიან. საქართველოს ხელისუფლება მომხდარს აპროტესტებს და ლუკაშენკოს რეჟიმს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ აღიკვეთოს უკანონო ქმედებები საქართველოს მოქალაქეების მიმართ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ქართული დროშა მინსკში სამი ქართველის დაპატიმრების მიზეზი გახდა.

ახალი პერსპექტივა ქართველებისა და აფხაზებისათვის

რომან აფაქიძე
არასამთავრობო ორგანიზაცია "აფხაზია ინფო"

ირაკლი ალასანია კონფლიქტების მოგვარების საკითხში პრეზიდენტის მრჩევლად დაინიშნა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც დევნილობის გამო თბილისში უწევს მუშაობა, დროებით მეთაურის გარეშე დარჩა.

ინფორმაცია ამ ახალი საკადრო ცვლილებების შესახებ გუშინ მოწვეულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა გელა ჩარკვიანმა გააჟღერა. არ კეთდება არანაირი განცხადება ალასანიას შესაძლო შემცვლელის თაობაზე, თუმცა ეს საკითხი წმინდად საკადრო ხასიათისაა და, ამდენად, ნაკლებ საინტერესოა.

გაგრძელება A5 გვერდზე

ირაკლი ალასანია პრეზიდენტის მრჩევლად დაინიშნა.

სვიმონიშვილმა კონტრაბანდა ვერ დაძლია

მეღვინეები საკუთარ უფლებებს თავად დაიცავენ

B1

გიორგი ასანიშვილი

ბელარუსული გამბიტი

თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

ამომრჩეველთა გამოცხადება – 93 პროცენტი, პრეზიდენტ ლუკაშენკოს მიერ მოგროვებული ხმები – 83 პროცენტი. აშშ და ევროკავშირი ბელარუსის არჩევნებს გმობენ, რუსეთი კი გამარჯვებულს ულოცავს, თუმცა ამავე დროს მოსკოვის პოლიტიკურ კულუარებში სულ უფრო და უფრო მეტი სერიოზულობით ისმის შეკითხვა: როგორ მოვიქცეთ მომავალში?

ახლო მომავალი ნათელია და დიადი - ლუკაშენკო მესამე ვადითაც იქნება პრეზიდენტი. შესაძლოა, მას ხმა იმდენმა არ მისცა, როგორც ამას ოფიციალური მინსკი იუწყება, მაგრამ მიუხედავად ამისა, батька-ს ბელარუსელთა ნახევარზე მეტი მაინც მხარს ნამდვილად უჭერს და არჩევნები რომ ნორმალურად ჩატარებულიყო, იგი მაინც მოიგებდა. ეს გარემოება კარგად ესმოდათ დასავლეთშიც და, ალბათ, ამის გამოც იყო, რომ არჩევნების მსვლელობაში პრაქტიკულად არ ჩარეულან. არჩევნები კი ნორმალურად არ ჩატარდა უბრალოდ იმის გამო, რომ ევროპის უკანასკნელ დიქტატორს ამდენი პოლიტიკური ტაქტიკი არ ეყო და, ალბათ, იმის გამოც, რომ ბელარუსი ჩინოვნიკები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ მარჩენალისათვის ხმების მოგროვებაში.

მაგრამ რა იქნება მესამე ვადის შემდეგ? თუკი ლუკაშენკო მეოთხედაც წავა პრეზიდენტობაზე, რუსეთი პრაქტიკულად დილემის წინაშე აღმოჩნდება: ან ლუკაშენკოსთვის კიდევ ერთხელ მხარდაჭერის აღმოჩენა და ამით დასავლეთის წინაშე უკვე სერიოზულად თავის შერცხვენა, ან თავისი ყველაზე ერთგული მოკავშირისათვის ზურგის შექცევა.

არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი: რუსეთ-ბელარუსის გაერთიანება. ამ შემთხვევაში ყველა პრობლემა იხსნება და მოსკოვს ველარავინ დაადანაშაულებს იმაში, რომ ბელარუსის დესპოტურ რეჟიმს მხარს უჭერს. ეს რეჟიმი უკვე რუსეთის რეჟიმის შემადგენელი ნაწილი იქნება. რუსეთს კი დესპოტიზმს უფრო იოლად პატიობენ, რადგან იგი ძალიან დიდია.

მაგრამ ამ გამოსავალმა რუსეთს შეიძლება ზემოხსენებულ დილემაზე გაცილებით უარესი პრობლემები შეუქმნას და ამ პრობლემის სახელი ისევ ლუკაშენკო იქნება.

გაგრძელება A3 გვერდზე

ერთნაირი ხედვა და გაწონასწორებული პოზიციები

რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკებები პეკინში

პეკინში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის და ჩინეთის ლიდერ ჰუ ძინტაოს მოლაპარაკება დაიწყო. როგორც რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი პრიხოდკომ ჟურნალისტებს აცნობა, დახურულ კარს მიღმა მიმდინარე მოლაპარაკების ძირითადი თემები სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა და საერთაშორისო ასპარეზზე ორი ქვეყნის ურთიერთქმედება იყო. პრიხოდკომ აღნიშნა, რომ ჩინეთი უკვე საკმაოდ სერიოზულ გავლენას ახდენს ენერგორესურსების, ლითონის, მინერალური სასუქების ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე და რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, ჩინეთთან ერთად არა მარტო უზრუნველყოს სტრატეგიული ურთიერთქმედება მსოფლიოს ნედლეულის ბაზრებზე, არამედ თავიდან აიცილოს კონკურენცია, ითანამშრომლოს მასთან მესამე ქვეყნებში, კერძოდ, ლათინურ ამერიკაში.

"ჩინელებს აქვთ ფინანსური რესურსები, ჩვენს კომპანიებს - ტექნოლოგიები, რისი გაერთიანებაც შესაძლებელია ამ ქვეყნებში მუშაობისთვის," - მიიჩნევს პუტინის თანაშემწე.

თუმცა, მხარეების თქმით, თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიის დივერსიფიცირებას სულაც არ გამორიცხავს.

გაგრძელება A3 გვერდზე

კობა დავითაშვილმა მაია ნადირაძეს კაბინეტი ბუკლეტით "აუჭედა"

ირაკლი იაშვილი კი მაგისტრალური გაზსადენის "სადარაჭოზეა"

კობა დავითაშვილმა გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის კაბინეტის კარზე მისივე (ნადირაძის) წინასაარჩევნო დაპირებების ბუკლეტის ქსეროასლი გააკრა, რათა ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" თავმჯდომარემ უკეთ "გაიხსენოს", ხელისუფლებაში მოსვლის წინ რას ჰპირდებოდა ხალხს. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს პოლიტიკური სკლეროზი სჭირთ. ამიტომ, მათთვის მკურნალობის მეორე კურსს ვიწყებ," - აცხადებს კონსერვატორების ლიდერი, რომელიც იქვე განმარტავს, რომ მკურნალობის პირველ კურსში სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიების დანიშვნას გულისხმობს, რაც ხელისუფლების წინასაარჩევნო ვალდებულებებში ფიგურირებდა, მაგრამ მერე დავიწყებას მიეცა.

გიორგი ასანიშვილი

მაია ნადირაძის ბუკლეტიდან კობა დავითაშვილს ყველაზე ცინიკურად ის ეჩვენება, რომ უმრავლესობის ლიდერი "მიწისძვრით დაზარალებული ოჯახების მფარველობისა და მათი კეთილდღეობისთვის ბრძოლის" პირობას იძლევა.

"მიწისძვრით დაზარალებულების მფარველობა და მათზე ზრუნვა მაია ნადირაძეს, როგორც ჩანს, ისე ესმის, რომ მათთვის განკუთვნილ ბინაში თავად უნდა შესახლდეს და ერთი წლის შემდეგ სხვაზე გადააფორმოს," - "ვარაუდობს" ოპოზიციონერი დეპუტატი. მისივე მტკიცებით, როდესაც საქმე ხელისუფლებაში ყოფნით მატერიალური სარგებლის ნახვას ეხება, უმრავლესობის ლიდერი გამონაკლისი არ არის და მერიის ნაჩუქარ ბინაში მისი მეზობლებიც სახელისუფლებო ფრაქციის წევრები არიან.

"ერთ-ერთმა მათგანმა უკვე აღიარა, რომ იქვე აქვს ბინა, მეორე კი ახლო მომავალში ვალერი გელაშვილის საქმეს გამოიძიებს," - მართალია, კობა დავითაშვილი "კოლმეურნეობის თავმჯდომარეების" გვარებს არ ასახელებს, მაგრამ მისი მინიშნებები სავსებით საკმარისია იმის დასადგენად, რომ ელენე თევდორაძესა და ხათუნა გოგორიშვილზეა ლაპარაკი.

გაგრძელება A2 გვერდზე

აქტიურად, მაგრამ ფრთხილად

ევროკავშირის რჩევა კონფლიქტების მოგვარების თაობაზე

ევროკომისიას სამხრეთ კავკასიაში ახალი სპეციალური წარმომადგენელი ჰყავს. შვედი დიპლომატი პიტერ სემნები, რომელმაც ამ პოსტზე ფინელი ჰაიკი ტალვიტიე შეცვალა, თავისი მოღვაწეობის პრიორიტეტად კონფლიქტების მოწესრიგებას ასახელებს და აცხადებს, რომ ამ მიმართულებით ევროკავშირი გააქტიურებას გეგმავს.

ევროკომისიის წარმომადგენელი ტორბენ ხოლცე და ევროკავშირის სპეცწარმომადგენელი პიტერ სემნები.

პიტერ სემნები მუშაობდა შვედეთის საგარეო უწყებაში, ამ ქვეყნის საელჩოებში გერმანიაში, საბჭოთა კავშირსა და უკრაინაში, ხელმძღვანელობდა ეუთოს მისიებს ხორვატიაში და ლატვიაში. სემნები მონაწილეობას იღებდა საქართველოში ეუთოს მისიის გახსნაში 1992 წელს. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი აცხადებს, რომ იმ დროსთან შედარებით საქართველოში "სერიოზული წინსვლა იგრძნობა."

"თუმცა გულდასაწყვეტია, რომ ქვეყანაში კვლავ არსებობს მოუგვარებელი რეგიონული კონფლიქტების პრობლემა," - აცხადებს პიტერ სემნები.

"ჩემი ძალისხმევა, ძირითადად, გაყინული კონფლიქტების მოგვარებისკენ იქნება მიმართული," - აცხადებს ევროკავშირის წარმომადგენელი. იგი კრიტიკულად არის განწყობილი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დღეისთვის მოქმედი სამშვიდობო მექანიზმების მიმართ, თუმცა აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც ეს მექანიზმები ამოქმედდა, ევროკავშირის როლი რეგიონში არ იყო გამოკვეთილი.

"ევროკავშირი ხელს შეუწყობს იმ ძალისხმევას, რასაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში. მთავარია, ხელი შეეწყოს ნდობის აღდგენას, შემდეგ შესაძლებელია მთავარი საკითხების გადაწყვეტა," - აცხადებს სემნები. მისი აზრით, **"საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იმოქმედის აქტიურად, მიზანმიმართულად, მაგრამ არ დაუშვას კონფლიქტების ესკალაცია. მან ფრთხილი და გეგმაზომიერი პოლიტიკა უნდა აწარმოოს."**

სემნების განცხადებით, კონფლიქტების მოწესრიგება, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლების საქმეა, ევროკავშირი კი მას ყოველგვარ მხარდაჭერას გაუწევს.

პიტერ სემნებმა ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოს სასაზღვრო ჯარებისადმი ევროკავშირის დახმარებაზე და სასამართლო რეფორმის მხარდაჭერაზე.

"სასამართლოს რეფორმა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქვეყნისათვის, და ამჟამად ერთერთი კრიტიკული საკითხია. იმედი მაქვს, საქართველო ეროკავშირის რეკომენდაციებს ენერგიულად განახორციელებს," - აცხადებს პიტერ სემნები. გუშინ საღამოს პიტერ სემნები საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა.

24 საათი

კობა დავითაშვილმა მაია ნადირაძეს კაბინეტი ბუკლეტით "აუქცია"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ვიდრე მაია ნადირაძის კაბინეტის კარს ბუკლეტით "აჭედავდა", კონსერვატორების თავკაცმა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის პოლიტიკური კარიერის საკვანძო მომენტი "გააანალიზა".

"მაშინ, როდესაც "ნაციონალური მოძრაობა" ფუძნდებოდა, ნადირაძე ბევრს ფიქრობდა, "ტრადიციონალისტების" რიგებიდან "ბურჯგანაძე-დემოკრატების" გუნდში გადასულიყო თუ "ნაციონალებთან". მე პირადად შევესწარი იმ ფაქტს, რომ მაია ნადირაძე თბილისის საკრებულოს მაშინდელ თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს თავისი ქმრის შრომით მოწყობას სთხოვდა. ქალბატონმა მაიამ "ბურჯგანაძე-დემოკრატების" მხრიდან ბინის საკითხზე შუამავლობა მიიღო, "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობისგან" კი - ქმრის სამსახურში მოწყობა. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელმა გადაწონა და ბოლოს, ნადირაძე "ნაციონალებთან" აღმოჩნდა," - საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის "პოლიტიკურ აუქციონზე" საუბრობს დავითაშვილი.

მაშინ, როდესაც კონსერვატორული პარტიის თავმჯდომარე საპარლამენტო უმრავლესობას "მკურნალობს", "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი ირაკლი იაშვილი მთავრობის ეკონომიკური გუნდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს აკრიტიკებს. იაშვილისთვის, კერძოდ, მიუღებელია ის, რომ სამი სახელმწიფო კომპანიები (ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, გაზის საერთაშორისო კორპორაცია და "საქნავთობი") ერთი "ქუდის" ქვეშ ერთიანდება.

დეპუტატისთვის არადამაჯერებლად ჟღერს ეკონომიკის მინისტრის მოადგილის კახა დამენიას მტკიცება იმის შესახებ, თითქოს, აღნიშნული გაერთიანების მიზანი მენეჯმენტის ოპტიმიზაცია და მომხმარებლისთვის ენერგომატარებლების უნიფიცირებული ტარიფით მიწოდებაა.

ირაკლი იაშვილის ვარაუდით, ხელისუფლებას სულ სხვა მიზნები ამოძრავებს. **"მაგისტრალური გაზსადენის პირდაპირი გზით გასხვისება ვერ მოხერხდა. ამიტომ, ახლა ამის გაკეთებას შეფარვით, შემოვლითი გზებით ცდილობენ,"** - გული ცუდს უგრძნობს დავით გამყრელიძის თანაგუნდელს.

როგორც ცნობილია, მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის თემას რამდენიმე დღის წინ პარლამენტის თავმჯდომარეც შეეხო, რომელმაც განაცხადა, რომ **"ის მინისტრი, რომელიც გაზსადენის გაყიდვაზე ალაპარაკდება, ამ საქმეს გადაჰყვება"**. სპიკერის ამ პოზიციის გათვალისწინებით, "მემარჯვენეები" იმედოვნებენ, რომ **"ნინო ბურჯანაძე უკეთესად გაერკვევა შექმნილ სიტუაციაში და მის მიერ აღებული პასუხისმგებლობა ცარიელ სიტყვებად არ დარჩება."**

აქციებში ძროხებიც ჩაერთვებიან

მიწებისთვის ბრძოლა ყვარელში

უკვე რამდენიმე წელია, ყვარლის ეგრეთ წოდებული "მეურნეობის დასახლების" მცხოვრებლები 14 ჰექტარი მიწის დასაბრუნებლად ბრძოლას აგრძელებენ. როგორც მოსახლეობა ამბობს, ტერიტორია, რომელსაც ისინი საძოვრებად იყენებდნენ, კანონიერად მათ ეკუთვნოდათ, მაგრამ ეს ადგილი ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ეკა თოდაძემ თავად შეიძინა. აღნიშნულის გამო მომჩივანმა მოსახლეობამ გუშინ რაიონის გამგეობის წინ საპროტესტო აქცია გამართა.

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲠᲣᲐᲫᲔ
ᲧᲐᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ

დავა სადავოდ ქცეულ საძოვრებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2001 წელს დაიწყო, როცა დღის წესრიგში ამ ტერიტორიის იჯარით გაცემის საკითხი დადგა. მაშინდელი ადგილობრივი ხელმძღვანელობა "მეურნეობის დასახლებასთან" ახლომდებარე საძოვრების გადაცემას იქვე მცხოვრებ მოსახლეობას ჰპირდებოდა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად აღნიშნული საძოვრის მეპატრონედ ქონების მართვის სამსახურმა, რაიონის საგადასახადო სამსახურის ყოფილი უფროსი მამუკა კუპრაშვილი გამოაცხადა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ კუპრაშვილს საიჯარო თანხა არ ჰქონდა შეტანილი. მოსახელობამ ეს ფაქტი მიწის იჯარით გაცემის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე გააპროტესტა. კომისიამ კი გადაწყვეტილება მიიღო და ბათილად სცნო წინა დადგენილება, რომელიც მიწის იჯარით გადაცემას ითვალისწინებდა. ახალი გადაწყვეტილების საფუძველზე კი, მოსახლეობას საძოვრები ორმოცდაცხრაწლიანი იჯარით უნდა გადასცემოდა. ამავე სხდომაზე დადგინდა, რომ ერთი ჰექტრის საიჯარო ფასი 30 ლარი იქნებოდა, რომელიც მოგვიანებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, მოსახლეობამ გადაიხადა. მათ, ამავე დროს, გადაიხადეს მიწის გასაფორმებლად საჭირო ფიქსირებული თანხა 50 ლარის ოდენობით, თუმცა განუცხადეს, რომ ქვითარს მხოლოდ მიწის საბოლოოდ გაფორმების შემდეგ მისცემდნენ. მოგვიანებით მეიჯარე მამუკა კუპრაშვილმა რაიონის ხელმძღვანელობას სასამართლოში უჩივლა, თუმცა მოსამართლე ოლიკო სეფიაშვილმა გადაწყვეტილება რაიონის გამგეობის და მომჩივანი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოიტანა.

რევოლუციის შემდეგ, როგორც მომჩივანი მოსახლეობა ამბობს, ქონების სამსახურის უფროსად მამუკა კუპრაშვილის მეუღლე ეკა თოდაძე დაინიშნა. **"მუდმივად გვაიმედებდნენ, რომ როგორც კი ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება დაწყნარდებოდა (იგულისხმება "ვარდების რევოლუციის" წინა პერიოდი), განცხადებას მიწის იჯარით გაცემის თაობაზე გაზეთ "ყვარელში" გამოაქვეყნებდნენ. რევოლუციის შემდეგ კი, ქონების მართვის სამსახურის უფროსი სეფიაშვილი სამსახურიდან გათავისუფლდა, ხოლო მის ადგილზე მამუკა კუპრაშვილის მეუღლე ეკა თოდაძე დაინიშნა და მიწაც, ე.წ კონკურსის წესით, თვითნებურად მ. კიკოლაშვილს გადასცა. მინდა აქვე გითხრათ, რომ ეს უკანასკნელი მათი ნათესავია და ის მიწის მხოლოდ ფორმალური მფლობელია, რეალური მესაკუთრე კი თავად კუპრაშვილის ოჯახია,"** - ირწმუნება შურა სოხაძე.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობამ რაიონის გამგეობას ამ საკითხის მოგვარებისთვის არაერთხელ მიმართა, მათი პრობლემით არავინ დაინტერესებულა. სწორედ ამის გამო, მათ გუშინ გამგეობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს.

ქონების მართვის ყვარლის რაიონის სამსახურის უფროსი ეკა თოდაძე კი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და ამბობს, რომ მან პრივატიზაციის შესახებ კანონის თანახმად იმოქმედა. **"ჩვენს სამსახურს და პირადად მე არაფერი უკანონო არ გაგვიკეთებია. რაც შეეხება აღნიშნულ მიწას, ის ჩემი ოჯახის საკუთრება ნამდვილად არ არის. ხოლო თუ რომელიმე ნათესავმა შეიძინა, ცხადია, მას ამის უფლება ჰქონდა და ამასთან მე და ჩემს ოჯახს არავითარი კავშირი არ გვაქვს. რაც შეეხება მიწის მფლობელ კიკოლაშვილს, მას აღნიშნულ ფართობზე მრავალწლიანი ნარგავები იჯარით აღებული ჰქონდა კანონის გამოსვლამდე, რომელიც 2005 წლის 8 ივლისს შევიდა ძალაში. ამის საფუძველზე მას უფლება მიეცა, ეს ტერიტორია პირდაპირი მიყიდვის წესით შეეძინა, ხოლო რაც შეეხება ჩემი ოჯახის წევრების ვინმესთან გარიგების ბრალდებას, ვაცხადებ, რომ ეს მტკნარი სიცრუეა,"** - ამბობს ეკა თოდაძე.

აქცია რამდენიმე საათის განმავლობაში ხმაურით მიმდინარეობდა. "მეურნეობის დასახლებაში" მცხოვრებ მოსახლეობასა და რაიონის ხელმძღვანელობას შორის საუბარი კონსტრუქციულად დასრულდა. საქმეში რაიონის მაჟორიტარი დეპუტატიც ჩაერთო და მომჩივან მოსახლეობას დახმარებას დაჰპირდა. იმ შემთხვევაში, თუ დაპირება დაპირებად დარჩა, საძოვრების გარეშე დარჩენილი მეურნეობის მოსახლეობა აქციებს უკვე ძროხების თანხლებით გეგმავს.

მიხეილ სააკაშვილმა მარნეულის მოსახლეობას ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული მიულოცა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ მარნეულის რაიონს ეწვია და მოსახლეობას ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული მიულოცა.

აზერბაიჯანელი ეროვნების მოსახლეობას პრეზიდენტმა ახალი წელი და გაზაფხულის დღესასწაული აზერბაიჯანულ ენაზე მიულოცა. შემდეგ კი, სიტყვით გამოსვლისას, აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის მეგობრობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

"აზერბაიჯანელი ერი ერთერთი ყველაზე ერთგული და შრომისმოყვარეა. საქართველოსთვის გაჭირვების ჟამს. როდესაც გაზის მიწოდება შეგვიწყდა, ჩვენმა და ჩემმა პირადმა მეგობარმა ილჰამ ალიევმა ნახევარ აზერბაიჯანს გაზის მიწოდება შეუზღუდა და გაზი ჩვენც გაგვინაწილა," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილი აზერბაიჯანელი ეროვნების საქართველოს მოქალაქეებს კიდევ ერთხელ დაჰპირდა, რომ ქართული ენის შესწავლის შემთხვევაში, ხელს შეუწყობს მათ მაღალ თანამდებობებზე დანიშვნას.

მარნეულში ვიზიტისას მიხეილ სააკაშვილმა რაიონის ცენტრში ძიუდოს დარბაზი გახსნა, შემდეგ კი "სახალხო ბანკის" მარნეულის ფილიალი მოინახულა, პენსიონერებს პენსიის 5 ლარით მომატება მიულოცა და აღნიშნა, რომ პენსიების ზრდა მომავალშიც გაგრძელდება.

მიხეილ სააკაშვილი მარნეულის უფასო სასადილოსაც ესტუმრა, სადაც მოსახლეობას გაესაუბრა.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული მარნეულელებს შარშანაც მიულოცა. წელს კი ნოვრუზ-ბაირამი მუსულმანურ ახალ წელს დაემთხვა, რაც პრეზიდენტის თქმით, მომავალი წარმატების ნიშანია.

ინტერპრესნიუსი

ვალერი გელაშვილთან დაკავშირებით "ნაცმოძრაობა" გენპროკურატურას გამოძიებას სთხოვს

დეპუტატ ვალერი გელაშვილთან დაკავშირებით "ნაციონალური მოძრაობა" გენერალურ პროკურატურას გამოძიებას სთხოვს, ოღონდ ისე, რომ საზოგადოებაში ეჭვები აღარ დარჩეს.

გუშინ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა გიგა ბოკერიამ და რატი სამყურაშვილმა პარლამენტში პრესკონფერენცია გამართეს და განაცხადეს, რომ დეპუტატ ვალერი გელაშვილთან დაკავშირებით კიდევ ახალი ფაქტები არსებობს.

როგორც რატი სამყურაშვილმა განაცხადა, გუშინ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ხაშურის რაიონში, ერთ-ერთ შენობაში, სადაც დღეს "რესპუბლიკური პარტიის" ოფისია განთავსებული, თავის დროზე ამ შენობით დაინტერესებული იყო ვალერი გელაშვილი. იგი სახლიდან ხალხის გამოსახლებას ცდილობდა, მაგრამ მოსახლეობისგან უარი რომ მიიღო, ეს შენობა ჯერ კიდევ დაუდგენელი ვითარების გამო გადაიწვა. ამის შემდეგ კი შენობა ვალერი გელაშვილმა ჩაიგდო ხელში.

"ხაშურის რაიონში მომხდარ ხანძარსა და თბილისის სკოლაში მომხდარ ხანძარს შორის დანაშაულებრივი ხელწერა ძალიან ჰგავს ერთმანეთს, თითქმის იდენტურია," - განაცხადა სამყურაშვილმა.

მისი თქმით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება უნდა ჩაატაროს და საზოგადოებაში არსებული ეჭვი მთლიანად გაფანტოს.

"ეს არის განსაკუთრებული შემთხვევა და პროკურატურაც განსაკუთრებულად უნდა მიუდგეს," - აღნიშნა სამყურაშვილმა.

გიგა ბოკერიას განცხადებით, მან, ვინც არღვევს კანონს, არა აქვს მნიშვნელობა - დეპუტატი იქნება ის თუ სხვა, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს. ბოკერიას თქმით, გამოვლენილი ფაქტების შემდეგ, ოპოზიციის მხრიდან ისტერიული რეაქცია მოჰყვა. ისინი პოლიტიკურ რეპრესიებზე ალაპარაკდნენ, რაც გაკვირვებას იწვევს.

"მე მინდა გამოვხატო გაკვირვება ჩვენი ოპონენტების მიერ გაკეთებული განცხადებების გამო, თითქოს ჩვენ სეპარატისტები ვიყოთ. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა, ვინც არღვევს კანონს, პასუხისმგებელი უნდა იყოს კანონის წინაშე," - განაცხადა ბოკერიამ.

მისი განცხადებით, გელაშვილი თავის დროზე დაახლოებას "ნაცმოძრაობასთან" ცდილობდა, მაგრამ მისი საეჭვო რეპუტაციიდან გამომდინარე, "ნაცმოძრაობამ" თავის რიგებში შეყვანისგან თავი შეიკავა. "ერთადერთი მოტივი, რაზეც შეიძლება იფიქრო, რატომ არის შეყვანილი ის პოლიტიკურ რიგებში, ეს არის ფული, სხვა ღირებულებები არ გააჩნია," - განაცხადა ბოკერიამ.

ინტერპრესნიუსი

აჭარის საარჩევნო კომისიის ახალი თავმჯდომარე ოპოზიციას არ მოსწონს

ᲔᲛᲖᲐᲠ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ
ᲑᲐᲗᲣᲛᲓᲐᲜ

აჭარის უმაღლესმა საბჭომ ფარული კენჭისყრით უსკოს თავმჯდომარის ვაკანტურ თანამდებობაზე კომოსიის წევრის არჩილ მიქელაძის კანდიდატურა დაამტკიცა. იგი ამ თანამდებობაზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ წარადგინა.

მიქელაძის უსკოს თავმჯდომარედ დანიშვნას მკვეთრი კრიტიკით შეხვდა ოპოზიცია: **"ამ ადამიანმა, აბაშიძის მმართველობის დროს, სააღსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან წასვლა მაშინ გადაწყვიტა, როცა აბაშიძის საკითხი გადაწყვეტილი იყო. მან პირდაპირ თქვა - ჩინოვნიკი ვიყავი და რასაც მავალებდნენ, ვასრულებდიო. ჰოდა, თუ ეს საჭირო გახდება, ახლაც შეასრულებს ამგვარ დაკვეთებს. ვთვლი, თუ არჩევნების გაყალბებას დაავალებენ, ის ვერ იქნება პრინციპული გადამწყვეტ სიტუაციაში,"** – ასე შეაფასა უსკოს ახალი თავმჯდომრის კანდიდატურა "კონსერვატორმა" დავით ბაციკაძემ.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს კანდიდატი დაუწუნეს. **"პირველად, საკომიტეტო განხილვის დროს, მიქელაძის ბიოგრაფიაში ეწერა, რომ საჯარო სამსახურიდან ის აბაშიძის წასვლამდე ორი თვით ადრე, აპრილში წავიდა. ახალ ვერსიაში კი წასვლის დრო მარტში გადაიტანეს. ეს ფაქტი სასაცილოა. ცხადია, ხელისუფლებას სურს, უსკოში თავისი კადრები მიიყვანოს. მიქელაძე სერტიფიცირებული იურისტია, მაგრამ მის პოლიტიკურ თანამდებობაზე დანიშვნის საშუალებას მისივე ბიოგრაფიული მონაცემები არ იძლევა,"** - დისკუსიაში ჩაერთო "რესპუბლიკელი" მურმან დუმბაძეც.

"მუშაობა სირცხვილი არ არის. პოლიტიკურად უნდა გავიზარდოთ და დავანებოთ თავი იმის ძიებას, თუ ვინ სად მუშაობდა რევოლუციამდე. ამ ადამიანს სამარცხვინო არაფერი გაუკეთებია. მიქელაძე კვალიფიციური კადრია, რომელიც ამ თანამდებობას თავს გაართმევს," - განაცხადა თავის მხრივ უმრავლესობის წარმომადგენელმა როინ ნიჟარაძემ.

"ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა. არაფრის გაყალბებას არ ვაპირებ და, მით უფრო, არჩევნების. რაც შეეხება სამსახურიდან ჩემს წასვლას, ფაქტობრივად, მარტიდან აღარ ვმუშაობდი, ერთი თვე შვებულებაში ვიყავი. წამოსვლა აპრილში გაფორმდა, როცა შვებულების ვადა დამისრულდა," - განაცხადა უსკოს ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ.

მოკლედ

დღეს მთავრობის სხდომას გაიმართება

მინისტრთა კაბინეტი დღეს მთავრობის სხდომას გამართავს. როგორც პრემიერ-მინისტრის აპარატში განაცხადეს, წინასწარი ინფორმაციით, მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტი 15 საკითხს განიხილავს. მთავრობის წევრებს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური "ნავთობისა და გაზის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დადგენილების პროექტს წარუდგენს, სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე "საქართველოს ხელისუფლების ერთიანი ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტზე იმსჯელებს. შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ" ისაუბრებს, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გიორგი ხევიაშვილი "აზერბაიჯანის რესპუბლიკის საათლის რაიონში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების რეპატრიაციის შესახებ" განცხადებას გააკეთებს. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოს მოქალაქეები რუსეთის ვიზებს უპრობლემოდ მიიღებენ

საქართველოს მოქალაქეები რუსეთის ვიზებს 21 მარტიდან უპრობლემოდ მიიღებენ. ამის შესახებ განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძემ გუშინ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მისი თქმით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი მოკლებული იყო საშუალებას, მიეღო რუსეთის ვიზები. ანთაძის ინფორმაციით, საქართველოს საგარეო უწყება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რუს კოლეგებთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა. როგორც მერაბ ანთაძემ აღნიშნა, დღეიდან ყველა პრობლემა მოხსნილია და საქართველოს ყველა მოქალაქე, ისევე, როგორც რუსეთში მყოფი დევნილი მოქალაქეები, სრულად იქნებიან უზრუნველყოფილი ვიზებით.

"მე მქონდა სატელეფონო საუბარი რუს კოლეგებთან, სადაც ორმხრივად გამოითქვა კმაყოფილება ამ პოზიტიური ნაბიჯების გამო," - აღნიშნა მერაბ ანთაძემ. მისივე თქმით, რუსეთის მხარემ ასევე კმაყოფილება გამოთქვა, რომ რუსი სამხედროები, რომლებიც საქართველოში დროებით ან გაყვანის რეჟიმში იმყოფებიან, ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე იღებენ ქართულ ვიზებს. "ორმხრივად გამოითქვა იმედი, რომ პოზიტიური ნაბიჯები სხვა მიმართულებითაც გაგრძელდება," - დასძინა მინისტრის მოადგილემ. **ინტერპრესნიუსი**

სახლის დანგრევა არ იგეგმება

მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი თაბუკაშვილის ქუჩის N50-52–ში მდებარე 13-სართულიანი სახლის მობინადრეების საპასუხოდ, საგანგებო განცხადებას აკეთებს და აცხადებს, რომ აღნიშნული სახლის დანგრევა არ იგეგმება.

ლაშა მაქაცარიას განცხადებით, ავარიული მხოლოდ სახლის ზედა სართულებია. აუცილებელი კი ზედა ორი სართულის მონგრევაა, თუმცა მაქაცარიას განმარტებით, გადაწყვეტილება არც ორი სართულის დანგრევის შესახებ არის მიღებული. მაქაცარია აცხადებს, რომ სახლი პროექტის მიხედვით, რვასართულიანი უნდა ყოფილყო, შემდეგ პროექტი შეიცვალა და 11-სართულიანი აშენდა. ბოლო ორი სართული კი თვითნებურად დააშენეს. მაქაცარიას ინფორმაციით, ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული საკითხის შესწავლა. "იმ შემთხვევაში, თუ გადაწყდება ბოლო სართულების დემონტაჟი, ეს დანარჩენ სართულებს არ დააზიანებს", - აცხადებს ლაშა მაქაცარია. სახლის შესაძლო დანგრევის წინააღმდეგ მობინადრეებმა სპეციალური პრესკონფერენცია გუშინ, დილით გამართეს. მათ მერიის ზედამხედველობის სამსახური კერძო საკუთრების ხელყოფის მცდელობაში დაადანაშაულეს. აღნიშნული სახლი 2001 წელს აშენდა და მასში 22 ოჯახი ცხოვრობს. სახლის არქიტექტორი ნოდარ ვადაჭკორია აცხადებს, რომ შენობა ყველა წესის დაცვით და გათვალისწინებით არის აშენებული და იქ ცხოვრება საშიში არ არის. სახლის მობინადრეები შენობის შესაძლო დანგრევის აკრძალვის მოთხოვნით დღეს, სასამართლოში სარჩელს შეიტანენ. **ინტერპრესნიუსი**

რელიგიათა საბჭო აცხადებს

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო მართლმადიდებლური ტაძრების ძარცვასთან დაკავშირებით აგრცელებს განცხადებას, სადაც ნათქვამია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს რუის-ურბნისის ეპარქიაში გაიძარცვა რამდენიმე ტაძარი. მოპარული და შეურაცხყოფილია მართლმადიდებლური ეკლესიის სიწმინდეები. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავებმა უკვე დააკავეს რამდენიმე ეჭვმიტანილი, ეკლესიების ძარცვა მიანც გრძელდება. "რელიგიათა საბჭო შეშფოთებას გამოთქვამს მართლმადიდებლური ეკლესიის რუის ურბნისის ეპარქიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის უარყოფით პოზიციას ქურდული მენტალიტეტის წინააღმდეგ," - ნათქვამია განცხადებაში. რელიგიათა საბჭომ იმედი გამოთქვა, რომ სამართალდამცავები ყველაფერს იღონებენ დამნაშავეთა გამოსავლენად. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

„დაჭერები" ბელარუსში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"Жыве Беларусь!" – ეს ბელარუსი მომიტინგეების საყვარელი ლოზუნგია. უკვე ორი დღეა, 300-მდე მომიტინგე დღე-ღამის განმავლობაში მინსკის ცენტრში დგას და 19 მარტის საპრეზიდენტო შედეგებს აპროტესტებს. გუშინ მომიტინგეებს უფრო კონკრეტული მოთხოვნები გაუჩნდათ. მათ დეკლარაცია მიიღეს, სადაც ხელახალი არჩევნების გამართვას ითხოვენ. მომიტინგეთა მოთხოვნით არჩევნები ივლისში უნდა ჩატარდეს.

ოქტომბრის მოედანზე კარვებია გაშლილი. ბელარუსის ეროვნულ დროშებთან ერთად აქ ევროკავშირის, საქართველოსა და უკრაინის დროშებიც ფრიალებს.

მინსკში საშინელი სიცივეებია. ღამით ტემპერატურა ათ გრადუსამდე ეცემა. ვისაც ძალიან შესცივდება, კარავს შეაფარებს თავს და ოპოზიციონერების მიერ ჩამორიგებული ჩაით და ყავით გათბება.

გუშინ, შუა დღეს მიტინგზე ტრაქტორების კოლონა გამოჩნდა. მომიტინგეებმა ჩათვალეს, რომ ლუკაშენკოს მათი კარვები არ მოუვიდა თვალში, მაგრამ კოლონამ მოედანს საპატიო წრე დაარტყა და შორიახლოს დაბანაკდა.

ძალისმიერი მეთოდებით მომიტინგეთა დაშლას ლუკაშენკო არ ჩქარობს, მაგრამ რეპრესიები ბელარუსში გრძელდება და უფრო დიდ მასშტაბებს იღებს.

19 მარტის შემდეგ მინსკის სამართალდამცავებმა ოპოზიციის 150-მდე მხარდამჭერი დააკავეს. გუშინ დაპატიმრებულებს შორისაა გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის ლიდერი ანატოლი ლებედკო და ასევე საქართველოს სამი მოქალაქე. დეკანოზი ბასილ კობახიძე, რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი და რელიგიური თავისუფლების საერთაშორისო ასოციაციის ქართული განყოფილების პრეზიდენტი ვლადიმერ გოგიაშვილი და საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი ბელორუსიის უშიშროების თანამშრომლებმა გუშინ დილის 6 საათზე მინსკის ცენტრში გამართულ მიტინგზე მხოლოდ იმისათვის აიყვანეს, რომ მიტინგზე ქართული დროშით მივიდნენ და საქართველოს მოქალაქის პასპორტები ჰქონდათ. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებული ქართველები უშიშროების იზოლატორში მოათავსეს და მათ ადვოკატებთან შეხვედრის უფლებას არ აძლევენ.

ბელარუსში საქართველოს მოქალაქეების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს საქართველოს საგარეო უწყება. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ განაცხადა, ბელარუსის ხელისუფლების მხრიდან საქართველოს მოქალაქეების მიმართ უკანონო ქმედებები გრძელდება. მერაბ ანთაძის თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველოს მოქალაქეების დაკავებასთან დაკავშირებით პროტესტი უკვე გამოთქვეს, რასაც საქართველოც უერთდება.

"ვაცხადებთ მტკიცე პროტესტს და მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ აღიკვეთოს აღნიშნული ქმედებები საქართველოს მოქალაქეების მიმართ. ასევე მოვითხოვთ მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას," - განაცხადა ანთაძემ.

როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, საქართველოს დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები უკვე მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე, რათა ვენის დიპლომატიური კონვენციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეების უფლებები სრულად იქნას დაცული. სპეციალურ განცხადებას ავრცელებს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტიც. **"საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს ამ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც ბელორუსიის ხელისუფლების ანტიქართული განწყობილების, ასევე სხვა ქვეყნის დამოუკიდებლად მოაზროვნე მოქალაქეების დევნის ნათელი მაგალითია,"** – აღნიშნულია განცხადებაში.

საქართველოს მოქალაქეების მინსკში დაკავების ფაქტი გააპროტესტა გუშინ სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმაც. სუბარი ბელარუსის ხელისუფლებას მოუწოდებს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ დაკავებულები და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ მათი თბილისში დროულად დაბრუნება. სპეციალური საპროტესტო განცხადება გაავრცელა გუშინ ასევე რელიგიური საკითხების შემსწავლელმა ცენტრმა და რელიგიური თავისუფლების საერთაშორისო ასოციაციის ქართულმა განყოფილებამაც. **"როგორც დეკანოზმა ბასილ კობახიძემ საზოგადოებრივი ტელევიზიისთვის ინტერვიუში აღნიშნა, ისინი მინსკში ჩავიდნენ არა ვინმეს წინააღმდეგ საბრძოლველად ან რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის დასახმარებლად, არამედ მინსკში შეკრებილი თავისუფლებისმოყვარე ადამიანებისადმი პატივისცემისა და მხარდაჭერის გამოსახატად,"** – აღნიშნულია განცხადებაში.

ბელარუსული გამბიტი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რუსეთ-ბელარუსის გაერთიანება იოლი განსახორციელებელია. ამას ხალისით დაუჭერს მხარს ორივე ქვეყნის მოსახლეობა. ეს ასევე მოხსნის იმ პრობლემას, რომელსაც პრეზიდენტ პუტინის მეორე ვადის ამოწურვა ეწოდება. პუტინმა არაერთხელ განაცხადა, რომ იგი მესამე ვადით კენჭს არ იყრის (რუსეთი ძალიან დიდია და მას იგივე ბელარუსზე მეტი პოლიტიკური ტაქტი მართებს). არადა, რუსეთში, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები ჩამოუყალიბებელია და ყველაფერი პიროვნულ ძალაუფლებაზეა დამყარებული, პუტინის წასვლამ შეიძლება სერიოზული დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. გაერთიანების შემთხვევაში კი პუტინი ახალი სახელმწიფოს პრეზიდენტი ხდება, თანაც პირველი ვადით.

მაგრამ სად წავა გაერთიანების შემთხვევაში ლუკაშენკო? ცხადია, არსადაც არ წავა. ყველა ლოგიკის მიხედვით იგი "მეორე კაცი" უნდა იყოს გაერთიანებულ ქვეყანაში. მეორე კაცი კი დროთა განმავლობაში შეიძლება პირველ კაცადაც იქცეს, რაც რუსეთისთვის ნამდვილად არ არის მისაღები. ბელარუსი батька, რომელსაც მოსკოვსა და პეტერბურგში მასხრად იგდებენ, სრულიად რუსეთის ბატონ-პატრონი? ის კი არა, რუსეთისათვის, რომელიც დიდი სახელმწიფოს შესაფერისად წესიერების გარკვეულ ნორმებს მაინც იცავს, батька-ს მეორე კაცად დანიშვნაც კი დიდი სირცხვილი იქნება.

ბელარუსის ახლანდელმა არჩევნებმა, ასე თუ ისე, მშვიდად ჩაიარა, მაგრამ შემდეგ არჩევნებს ასეთი ბედი ნამდვილად არ ელის. შემდეგი არჩევნებისათვის ყველაზე მეტ გართულებას რუსეთი უნდა ელოდოს. ეს კი იმის გამოისობით მოხდება, რომ მოსკოვში მეგობრების არჩევისას მხოლოდ ერთი კრიტერიუმით სარგებლობენ – მთავარია ჩვენიანი იყოს. ეს "ჩვენიანები" კი რატომღაც სულ დრომოჭმული დიქტატორები არიან.

ერთნაირი ხედვა და გაწონასწორებული პოზიციები

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გარდა ამისა, ორი ქვეყნის ლიდერებმა ისეთ საკითხებზეც ისაუბრეს, როგორიცაა ჩინეთში მილსადენის მშენებლობა, ჩინეთის ატომური ელექტროსადგურის ახალი ბლოკების მშენებლობის ტენდერში რუსეთის მონაწილეობა, ასევე ავიაგადაზიდვებისა და ავიამშენებლობის საკითხები.

პუტინის თქმით, რუსეთი უკვე 2011 წელს დაიწყებს ჩინეთისთვის დასავლეთ ციმბირიდან ბუნებრივი გაზის მიწოდებას.

მხარეების განცხადებით, თანამშრომლობა ორი ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონსა და, საერთოდ, მსოფლიოში ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანამშრომლობისათვის მზადყოფნის დემონსტრირების მიუხედავად, ერთობლივ დოკუმენტში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი ჩინეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნავთობსადენის შესახებ, რომელიც გეზს რუსეთიდან აიღებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ოფიციალურ პეკინსა და მოსკოვს, შეიძლება ითქვას, გამძაფრებული კონკურენცია აქვთ "ძირითადი ვექტორის" თავის სასარგებლოდ გადახრისათვის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი შეხვედრაზე ირანის "ბირთვული დოსიეც" იყო. როგორც მოლაპარაკებების შედეგად ხელმოწერილ დეკლარაციაშია აღნიშნული, რუსეთი და ჩინეთი მზად არიან ითანამშრომლონ ირანის ბირთვული პრობლემის გადასაჭრელად, ოღონდ ეს პოლიტიკური და დიპლომატიური გზებით უნდა მოხდეს. სწორედ, რუსეთისა და ჩინეთის განსხვავებული პოზიციის, შეიძლება ითქვას, ირანისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამო, გაერო-ს უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო იმ დეკლარაციის მიღება, რაც ირანს აიძულებდა, ურანის გამდიდრება შეეწყვიტა. გაერო-ს შტაბ-ბინაში ირანის ბირთვული პროგრამის საკითხზე უშიშროების საბჭოს წევრების მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი უშედეგოდ დასრულდა. როგორც იუწყებიან, რუსეთი და ჩინეთი კვლავინდებურად არ ეთანხმებიან გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხვა მუდმივი წევრების - აშშ-ს, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის წინადადებას ირანის მიმართ მკაცრი ზომების მიღების შესახებ, რათა აიძულონ თეირანი, ურანის გამდიდრებაზე უარი თქვას. ამ საკითხზე მოლაპარაკება გუშინ კვლავ განახლდა.

ორი ქვეყნის ლიდერებს დაახლებით ანალოგიური მიდგომა აქვთ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემისადმიც, რაშიც მართებულად ექვსმხრივი მოლაპარაკებების გაგრძელებას მიიჩნევენ.

სახელმწიფოთა მეთაურები ასევე შეეხნენ ორი ქვეყნის ურთიერთქმედებებს საერთაშორისო ორგანიზაციებში – გაერო-სა და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში, ისაუბრეს ავღანეთში, ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებაზე და მხედველობიდან არც ცენტრალურ აზიაში თანამშრომლობის თემა გამორჩენიათ.

როგორც აღმოჩნდა, ოფიციალური პეკინი და მოსკოვი ირანისა და ჩრდილოეთ კორეის პრობლემების მსგავსად, პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებების განახლებასაც უჭერენ მხარს.

"ჩვენ მომხრენი ვართ, უმოკლეს დროში განახლდეს პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებათა პროცესი, რამაც შედეგად სუვერენული, დემოკრატიული და სიცოცხლისუნარიანი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა უნდა გამოიღოს, რომელიც მშვიდობისა და უსაფრთხოების პირობებში იცხოვრებს ისრაელის მეზობლად," - ნათქვამია ასევე დეკლარაციაში.

რაც შეეხება ჩინეთის პრობლემას - ტაივანის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ, რუსეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი მხარდაჭერა ოფიციალური პეკინისადმი.

"რუსეთი ყოველთვის ემხრობოდა და მომავალშიც იგივე დამოკიდებულებას შეინარჩუნებს, ტაივანი უნდა დარჩეს ჩინეთის განუყოფელ ნაწილად - ჩვენთვის მისაღებია "ერთიანი ჩინეთის" პოლიტიკა," - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

პუტინი პეკინში ოფიციალური ვიზიტით გუშინ ჩავიდა. მან ჩინეთში რუსეთის წლის გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა, რასაც 1 000-ზე მეტი სტუმარი დაესწრო რუსეთიდან. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის პრეზიდენტს რიცხვნობით უპრეცედენტო დელეგაცია ახლავს თან. დელეგაციის შემადგენლობაში 86 ადამიანია.

24 საათი

ᲔᲙᲐ ᲙᲕᲔᲡᲘᲢᲐᲫᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

საზოგადოებრივი პროცესები საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ

საზოგადოებრივ ტელევიზიასთან დაკავშირებით ატეხილი ვნებათაღელვა უკვე გადაიზარდა სხვადასხვა ინტერესების მქონე დაჯგუფებების გააქტიურებაში. გასულ კვირას ამ არხის ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთმა ნაწილმა პრესკონფერენციაც კი მოაწყო იმ მიზნით, რომ ტელევიზიაში დაწყებული ანტიეკლესიური მოძრაობა ემხილებინა.

ჟურნალისტმა ჩამოთვალა ის თემები, რომელთა გაშუქება მაშინ არხის ხელმძღვანელობამ მოსთხოვა, მათ შორის იყო ეკლესიაში არსებული მდგომარეობის შესწავლა, იმის დადგენა, თუ რა კაშირები არსებობს ცალკეულ მღვდლებსა და კრიმინალებს შორის და ასე შემდეგ.

იმ აზრს, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ხდება ისეთ მნიშვნელოვან და გავლენიან ინსტიტუტში, როგორიც ეკლესიაა, როგორც ჩანს, ბევრი ან გულწრფელად აყენებს ეჭვის ქვეშ, ან შეგნებულად სპეკულირებს ამ თემით. სამწუხაროდ, ჟურნალისტთა კორპუსის წარმომადგენელთა დიდ ნაწილს უჭირს იმის გაგება, რომ მღვდლის ანაფორამ არავინ არ უნდა დაიცვას კანონის აღსრულებისაგან, რომ ეკლესიაშიც არიან ადამიანები, რომელთაც მჭიდრო კავშირები აქვთ კრიმინალურ სამყაროსთან და რომ ამ ყველაფრის დაფარვა საზოგადოებაში გაცილებით დიდ სულიერ და მორალურ კრიზისს გამოიწვევს, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს. და ბოლოს, საზოგადოებაში, რომელსაც ღიაობაზე და დემოკრატიაზე აქვს პრეტენზიები, ტაბუირებული თემა არ უნდა არსებობდეს.

ხოლო რაც შეეხება, "ჯოჯოხეთში ინტერვიუს", ეს მართლაც ღიმილის მომგვრელია. ჟურნალისტს, რომელიც პროფესიონალიზმით ვერ დაიკვეხნის, როგორც ჩანს, იუმორითა და სერიოზულად ნათქვამის ერთმანეთისაგან გარჩევის პრობლემაც აწუხებს. არ ვიცი, როგორ საკადრო გადაწყვეტილებებს იღებს ტელევიზიის ხელმძღვანელი, მაგრამ ამ ჟურნალისტის სამსახურიდან დათხოვნის სამართლიანობაში, პირადად მე, ეჭვი ნამდვილად არ მეპარება.

რაც შეეხება შობის წირვის ტრანსლირებას, ცხადად ჩანს, რომ ტელევიზიის ხელმძღვანელობას წირვის პირდაპირ ეთერში ჩართვის გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული. ტრაგედია, რასაკვირველია, არც ამ ფაქტშია, რადგან არსებობს ამ გადაწყვეტილების გამამართლებელი არგუმენტები – იმის გამო, რომ საქართველოს მოქალაქეების ნაწილი არ არის მართლმადიდებელი, მხოლოდ მართმადიდებლური რელიგიური რიტუალების ტრანსლირება, შესაძლოა, გამართლებული არ იყოს, რადგან საზოგადოებრივი ტელევიზია საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს უნდა გამოხატავდეს. მაგრამ, პრობლემა ის არის, რომ სიმტკიცე, საკუთარი გადაწყვეტილება ბოლომდე დაეცვა, ტელევიზიის ხელმძღვანელს არ აღმოაჩნდა და თავის დასაცავად ათასგვარი "ტექნიკური" არგუმენტის მოძიება მოუხდა. ალბათ იმიტომ, რომ ამ ნაბიჯის სისწორეში თავადაც არ იყო ბოლომდე დარწმუნებული. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა, რომ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რისი ტრანსლირება უნდა მოხდეს და რისი არა საზოგადოებრივ ტელევიზიაში, კვალიფიციურ სოციოლოგიურ კვლევებს დაეყრდნოს და არა ერთი ადამიანის გემოვნებას.

ასე რომ, იმ პრეტენზიებმა, რომელიც ამ ბოლო დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ ტალღასავით აგორდა, საკმაოდ არასწორი გეზი მიიღო. მე, როგორც რიგით მაყურებლს, ნაკლებად მაინტერესებს, ვინ რატომ გაუშვეს სამსახურიდან და ვის რამდენთვიანი კონტრაქტი აქვს. მედიაში საერთოდ არ არსებობს კონტრაქტების სისტემა (რაც თავისთავად ძალზე ცუდი ფაქტია), მაგრამ, მიუხედავად კონტრაქტების არარსებობისა, სხვა ტელევიზიები რაღაც პროდუქციას მაინც ქმნიან. საზოგადოებრივი არხის მიმართ მთავარი პრეტენზია კი სწორედ ეს არის. ამ შვიდი თვის განმავლობაში მაყურებლისთვის, რომელიც ამ ტელევიზიის შენახვისთვის ფულს იხდის, თითქმის არაფერი გაკეთებულა.

ცხადია, დროა საჭირო იმისათვის, რომ რაღაც შექმნა. მაგრამ ამ თვეების მანძილზე მცირე პროგრესიც რომ ყოფილიყო თვალნათელი, მაშინ ბუნებრივია, ამდენი შეკითხვა შიდა საკადრო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით აღარ დაისმებოდა. დღეს კი ეს კითხვები ბუნებრივად ჩნდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თავისი ნებით წამოვიდნენ თანამდებობებიდან ახალი ხელმძღვანელის მიერ მიყვანილი კადრებიც.

დღეს კი, როცა მიზეზიც და საბაბიც საკმარისზე მეტია, ბუნებრივია, ინტერესთა ჯგუფები ძალზე გააქტიურდნენ. ასეთი ჯგუფი გაჩნდა საპარლამენტო უმრავლესობაშიც. ძალიან ძნელი დასაჯერებელია ტელევიზიის ახლანდელი ხელმძღვანელის მტკიცება, რომ ის ყველანაირი გავლენისაგან თავისუფალია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისაგან თავისუფალი არც ის პოლიტიკური ჯგუფები არიან, რომელიც დღეს საზოგადოებრივი არხის დირექტორის წინააღმდეგ გამოდიან. თუ რამდენიმე მართლაც კეთილსინდისიერ ადამიანს არ ჩავთვლით, დღეს არავინ იბრძვის ისეთი საზოგადოებრივი მაუწყებლობისათვის, რომელიც არა მათ პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ ინტერესებს, არამედ საზოგადოების მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

ასე რომ, თუ ამ კონფლიქტში მალე საზოგადოების ინტერესების დამცველი ჯგუფი არ გამოჩნდა, მაშინ პროცესები ისეთივე არაჯანსაღი დარჩება, როგორიც ის დღესაა.

FM ცნობა 92.0

უცნობი თავისუფლება

გადაცემის სტუმარია საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრი ზვიად ძიძიგური

ალექსანდრე ელისაშვილი: ფრაქციის თავმჯდომარეს დავით ზურაბიშვილს როტაციის მიხედვით, როდის შეცვლის ზვიად ძიძიგური?

ზვიად ძიძიგური: ჩვენ ასეთი გადაწყვეტილება ფრაქციის შექმნისთანავე მივიღეთ. 5 თვეში ერთხელ შეიცვლება ფრაქციის თავმჯდომარე. ვცდილობთ, თავად ვიცხოვროთ დემოკრატიული წესით. შიდა პარტიულ ცხოვრებაში რომ მიეჩვევი დემოკრატიული წესით ცხოვრებას, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამის დანერგვა რთული აღარ იქნება. მიშა სააკაშვილი "ნაციონალური მოძრაობის" ერთპიროვნული ხელმძღვანელი და ამ პარტიის ბელადი იყო. როგორც მიეჩვია, ისე მართავს ქვეყანას.

ა.ე.: ყველამ მოვისმინეთ შევარდნაძისა და აბაშიძის დიალოგის ჩანაწერი. საიდან ჩაგივარდათ ხელში?

ზ.ძ.: ფრაქციაში გვაქვს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე მუშაობს. ადამიანები მოდიან და გვაწვდიან მასალებს. თავადაც არ ველოდით, რომ ხელში ჩაგვივარდებოდა მასალა, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორ არიგებს შევარდნაძე აბაშიძეს, რომ "ნაციონალების" სათავეში მოსვლის შემთხვევაში საქართველოდან გასვლა მოითხოვოს. ამ ტექსტს აბაშიძე ბურჯანაძესთან საუბრისას იმეორებს. ეს არის სამშობლოს ღალატის დადასტურებული ფაქტი. არ ვიცი რაზე გარიგდნენ და რა აპატია სააკაშვილმა შევარდნაძეს, მაგრამ აპატია ათასობით ადამიანმა, რომელიც რეპრესირებული იყო წლების განმავლობაში? აპატიეს იმ ადამიანებმა, ვისაც აფხაზეთში კერა დაატოვებინეს? აპატიეს მეანაბრეებმა, პენსიონერებმა? კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს. უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

მსმენელი: შევარდნაძის მმართველობის დროს იმდენი ტყუილი არ გამიგია, რაც ამ ორ წელიწადში მოვისმინე. პირველი ჯგუფის ინვალიდებს მოემატათ 7 ლარი, შემდეგ 15 ლარი უნდა დამატებოდათ. მარტის თვე ჩაგდეს, რას იტყვით ამის შესახებ? რატომ მოგვატყუა, განა გვჭირდება ასეთი მინისტრი?

ზ.ძ.: მინისტრისგან საინტერესო იქნება ამბის გაგება, თუ რატომ მოხდა ასე. ესენი თუ საქმიანობას თუ მუდმივი პიარებით და გამარჯვებაზე საუბრით გააგრძელებენ, ხალხის განწყობა შეიცვლება. ხელისუფლება ადეკვატურობას მოკლებულია. როგორც ამბობენ, სააკაშვილის ოთახში ვინც შედის ყველას აფრთხილებს, ცუდი ამბავი არ გამაგონოთო. პრეზიდენტის თანამდებობა არაა კომფორტული. პირველი პირი აქცენტებს მუდმივად პრობლემებზე უნდა აკეთებდეს, თორემ თუ ის იძახა, რომ კარგი ვარ, ლამაზი და ჭკვიანი, სახელმწიფო შევქმენი, რომლის ათვლაც რევოლუციიდან იწყებაო, მას არავინ დაეთანხმება. ეს ხელისუფლება თავისი ცუდი მხარეებით ძალიან ემსგავსება შევარდნაძის ხელისუფლებას. ხელისუფლების კონტროლი პარლამენტის მხრიდან უნდა ხორციელდებოდეს, მაგრამ უმრავლესობა თავს მოვალედ თვლის, რომ ნებისმიერ საკითხში მხარში ამოუდგეს მთავრობას. ეს არ არის ნორმალური მოვლენა და ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის კონფლიქტი მომწიფდება.

მსმენელი: ყველამ იცის, რომ შევარდნაძე მოღალატეა. რატომ არ სვამთ ამ ადამიანის ქვეყნიდან გაძევების საკითხს?

ზ.ძ.: ვფიქრობ, რომ ეს საქმე არ უნდა დარჩეს მიყრუებული. აქ არის სისხლის სამართლის ნიშნები. არც ერთი ადამიანი არ უნდა იყოს გარანტირებული, რომ სამშობლოს ღალატის, ან უფლებების გადამეტების შემთხვევაში, მას პასუხს არ მოსთხოვენ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ დანაშაული არავის შერჩება.

მსმენელი: ოპოზიცია ხშირად აკრიტიკებს "თავისუფლების ინსტიტუტს". როგორ გახდა იქიდან წამოსული დავით ზურაბიშვილი "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე?

ზ.ძ.: ზურაბიშვილი მართლმადიდებელი ქრისტიანია. იგი "თავისუფლების ინსტიტუტიდან" მას მერე წამოვიდა, რაც ამ ინსტიტუტმა ქვეყნის მართვაში ცუდად ჩარევა დაიწყო. ვფიქრობ, ზურაბიშვილი ოპოზიციისთვის ძალიან სერიოზული შენაძენია.

ქართველმა პარლამენტარებმა რუსეთის სათათბიროს წევრებთან შეხვედრები გამართეს

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრებთან შეხვედრები გამართა.

შეხვედრებზე, ძირითადად, რუსეთის სამშვიდობო ძალების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე იმსჯელეს.

"ყველა შეხვედრაზე ხაზგასმული იყო, რომ რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მზად არის თანამშრომლობისთვის.

სათათბიროს წევრების მხრიდან კონფლიქტების მოგვარების საკითხში საკმაოდ საინტერესო წინადადებები მივიღეთ. ჩვენ მათ ავუხსენით, რომ საქართველო რუსეთს მტრულად განწყობილ სახელმწიფოდ არ მიიჩნევს და მომავალი თანამშრომლობისთვის ახალი იმპულსებია საჭირო," - განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

"არ მეგონა, თუ რუსეთის სახელმწიფო დუმაში ასე კარგად დაგვხვდებოდნენ. ასეთი დამოკიდებულება მისასალმებელია, რადგან დიალოგის წარმოება ასეთ პირობებში უფრო ადვილია," - განაცხადა დელეგაციის წევრმა გიგი წერეთელმა.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატები მოსკოვში 19 მარტს გაემგზავრნენ. ქართველ პარლამენტართა დელეგაცია რუსეთის დუმაში რამდენიმე კვირის წინ უნდა ჩასულიყო, თუმცა სათათბიროს წარმომადგენლობამ საქართველოს მხარეს მაშინ არ დაუკონკრეტა მათი მიღების თანხმობა.

მოსკოვში არც ერთი ოპოზიციონერი დეპუტატი არ გაემგზავრება, რაც რამდენიმე დღის წინ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა გააპროტესტეს. მაჭავარიანის განცხადებით, საპარლამენტო ჯგუფს დელეგაციის სტატუსი არ გააჩნია, ამიტომაც ოპოზიციის პრეტენზია ჯგუფში ჩასმასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა.

ინტერპრესნიუსი

მაფიოზური სამკუთხედი თუ მორიგი ცილისწამება

ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის საგამოძიებო დეპარტამენტის ყოფილი თანამშორომელი კახა კუპრეიშვილი ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობას კორუფციასა და კონტრაბანდის მფარველობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ფინანსური პოლიცია, საბაჟო დეპარტამენტი და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი მაფიოზურ სამკუთხედს ქმნიან.

აღნიშნული განცხადება ფინანსური პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

კახა კუპრეიშვილის თქმით, რამდენიმე თვის წინ, თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მან მიიღო ინფორმაცია კონტრაბანდის გადატანის შესახებ, რომელშიც ჩართული იყო მისი უშუალო უფროსი ზაზა მეთაფლიშვილი.

"ზაზა მეთაფლიშვილს ვუთხარი, რომ კანონს არღვევდა, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გავარკვიე, იგი ფინანსური პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილის მითითებებს ასრულებდა. ამის შემდეგ ვცადე კეზერაშვილთან შეხვედრა, მაგრამ არ მიმიღო. ცოტა ხანში კი მოულოდნელად უმიზეზოდ დამითხოვეს თანამდებობიდან. მოგვიანებით სასამართლოს საშუალებით სამსახურში აღმადგინეს, თუმცა, დაახლოებით, ორი თვის წინ ქვემო ქართლის ფინანსურ პოლიციაში ჩატარდა თათბირი, სადაც თანამშრომლებს უფლებამოსილების შესრულება ნებისმიერი ფორმით, თუნდაც ფიზიკური ზეწოლის გამოყენებით დავალეს. ვინაიდან მე ამას ვერ გავაკეთებდი, საკუთარი ნებით დავტოვე სამსახური", - განაცხადა კუპრეიშვილმა პრესკონფერენციაზე. თუმცა, ჟურნალისტებთან საუბრისას მან სამსახურიდან ნებაყოფლობით წასვლის მეორე მიზეზიც დაასახელა.

"კონტრაბანდის ფაქტის გახმაურების შემდეგ ჩემი მისამართით დაიწყო მუქარა. ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილე და ჩემი უშუალო ხელმძღვანელი მეუბნებოდნენ, რომ არსებობს კეზერაშვილის ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ჩემთვის ფული ან ნარკოტიკი უნდა ჩაედოთ და დავეპატიმრებინე; ასევე, მემუქრებოდნენ ფიზიკური განადგურებით. ჩემგან ითხოვდნენ, რომ საკუთარი ნებით დამეწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე", - აღნიშნა ფინანსური პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა, რომელმაც გუშინდელ შეხვედრაზე ფინანსური პოლიციის უკანონო მუშაობის სხვა ფაქტებიც დაასახელა.

მისივე თქმით, ძველ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ხელმძღვანელობამ მას ტერმინალ "ოპიზამდე" ტვირთის გაცილება მოსთხოვა, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა და ამიტომ დავალების შესრულებაზე უარი განაცხადა.

"ერთხელ კი გავაჩერე ტერმინალ "ოპიზადან" გამოსული 20-ტონიანი სატვირთო ავტომანქანა. გაირკვა, რომ ტვირთში, რომლისთვისაც ბიუჯეტში 45 ათასი ლარი უნდა გადაეხადათ, რეალურად, 10 ათასი ლარი ჰქონდათ გადახდილი, მაგრამ ამ ფაქტზე რეაგირება არ მიმაცემინეს", - ამბობს კუპრეიშვილი.

მისივე თქმით, ფინანსურ პოლიციაში არსებული დარღვევების შესახებ მან შეატყობინა საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ამჟამად უკვე ყოფილ უფროსს გია ალანიას. თუმცა, როგორც კუპრეიშვილი განმარტავს, ალანია მხოლოდ ზეპირი განცხადებით შემოიფარგლა და ამ ინფორმაციას სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია.

"პირადად შევხვდი გია ალანიას, რომელმაც მითხრა, რომ ჩემს ინფორმაციას ხელმძღვანელობას მოახსენებდა და, სავარაუდოდ, ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნები დაპატიმრებული იქნებოდნენ. თუმცა, მეორე დღეს ალანიამ სატელეფონო საუბარში განმიცხადა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. შემდგომ მითხრეს, რომ დათა ახალაია, რომელიც ალანიას უფროსი იყო, დავით კეზერაშვილის ძმაკაცი ყოფილა", - თქვა კუპრეიშვილმა.

ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის ყოფილი თანამშრომლის მტკიცებით, ქვეყანაში კორუფციული სქემა მოქმედებს. კუპრეიშვილის განცხადებით, ფინანსური პოლიციის თანამშრომლების დაკავების უფლებამოსილება შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარატამენტს აქვს, ამავე სამსახურს მინიჭებული აქვს საბაჟო სამსახურის თანამშრომლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებამოსილებაც. თუმცა, მათ შორის გარკვეული გარიგება არსებობს და ამიტომ დაუსჯელობის სინდრომი მოქმედებს.

კახა კუპრეიშვილის თქმით, ანალოგიური მიზეზით ფინანსური პოლიციის ბევრმა თანამშრომელმა დატოვა თანამდებობა, მაგრამ ისინი მასმედიის წარმომადგენლებთან საუბარს ერიდებიან; თავად კი მის უწყებაში არსებულ უკანონობებზე რეაგირებას საქართველოს პრეზიდენტს სთხოვს.

აღნიშნული პრესკონფერენციის შემდეგ "24 საათი" დაუკავშირდა ფინანსური პოლიციის პრესსამსახურის უფროსს რუსუდან დონაძეს, რომელმაც კუპრეიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს სრული სიცრუე უწოდა.

"ფინანსური პოლიციის ოპერატიული თანამშრომელი კახა კუპრეიშვილი ერთხელ უკვე იყო გათავისუფლებული სამსახურიდან ყალბი სამედიცინო ცნობის გამოყენების გამო, რაც, სხვათა შორის, სისტემატურად ხდებოდა. მაშინ მან სამსახურში დაბრუნება მოახერხა, საბოლოოდ კი თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. დღეს მისი ცილისმწამებლური განცხადებები განაწყენებული კაცის პოზიციით აიხსნება და სერიოზულად ამის აღქმა შეუძლებელია. რაც შეეხება ზაზა მეთაფლიშვილს, რომელსაც კუპრეიშვილი ასახელებს, პირადი განცხადების საფუძველზე, ფინანსური პოლიციიდან ისიც გათავისუფლებულია", - აღნიშნა ჩვენთან საუბარში რუსუდან დონაძემ.

24 საათი

"რესპუბლიკური პარტიის" მორიგი ბრალდება

"რესპუბლიკური პარტია" შინაგან საქმეთა სამინისტროში მომხდარი უკანონო ფაქტების გამომზეურებას აგრძელებს. გუშინ პარტიის ოფისში პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თინათინ ხიდაშელმა პრესკონფერენცია გამართა და ბაღდათის პოლიციაში ჩადენილი უკანონო ფაქტის შესახებ ისაუბრა. როგორც ხიდაშელმა აღნიშნა, მიმდინარე წლის 6 იანვარს ბაღდათის პოლიციამ 20 წლის მიხეილ ჩხეიძე პოლიციაში გამოიძახა, ანამა და იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავა.

"შს სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე, წამებიდან 24 დღის შემდეგაც კი სხეულის დაზიანების ფაქტი დადასტურდა. ექსპერტიზამ იმ იარაღზე, რომელიც პოლიციამ ჩხეიძეს ჩაუგდო, დაკავებულის ანაბეჭდები ვერ აღმოაჩინა. ჩხეიძე ბაღდათის პოლიციის უფროსმა აკაკი სვინტრაძემ იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ლევან კახიანის უშუალო მითითებით პირადად აწამა", - განაცხადა ხიდაშელმა.

მისი თქმით, ცემისა და წამების გარდა, საქმეში იყო ბევრი სხვა დარღვევა, მათ შორის - ბრალდების წაყენების მხრივ.

"გამომძიებლები მიხეილ ჩხეიძეს სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობას არ აძლევენ, დაკავებულს კი წამების შემდეგ მხედველობა დაუზიანდა", - ამბობს "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერი.

"რესპუბლიკური პარტია" მოითხოვს, ჩხეიძესთან დაუყოვნებლივ შეუშვან ექიმი და გენერალურმა პროკურატურამ იმერეთი სამხარეო პოლიციის უფროს ლევან კახიანის თანამონაწილეობის საკითხი შეისწავლოს.

პრესკონფერენციას დაკავებულის დედა ციცია ჩხეიძეც ესწრებოდა. როგორც მან განაცხადა, მიხეილ ჩხეიძის დაკავება მისი მეუღლის მიშა ჩხეიძის ბიზნესს უკავშირდება.

"ჩემი მეუღლე ხე-ტყის ბიზნესით არის დაკავებული და ქუთაისის ბენზინგასამართ სადგურებში წილი აქვს. როცა დავრწმუნდი, რომ ჩემი შვილისგან კრიმინალი უნდოდათ შეექმნათ, იძულებული გავხდი, ეს ფაქტი დაკავების მომენტშივე გამეხმაურებინა, მაგრამ მაშინ მედიის საშუალებები დაბლოკეს", - განაცხადა ჩხეიძემ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 23 მარტს გაიმართება.

ინტერპრესნიუსი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2006წლის 27 თებერვალს ხელშეკრულებები გაფორმდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განსახორციელებელ შემდეგი სახის სახელმწიფო შესყიდვებზე: "ყოფილი კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე გზების მოვლა-შეკეთება", მიმწოდებელი - შ.პ.ს. "საგზაო კრწანისი"; "ყოფილი მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე გზების მოვლა-შეკეთება", მიმწოდებელი - შ.პ.ს. "საგზაო მთაწმინდა".

წერილი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოდან

ხათუნა ჭანგირაშვილი

აფხაზეთის იუსტიციის ყოფილი მინისტრის პაატა დავითაიას განაცხადს ჰააგის სასამართლომ კვალიფიკაცია მისცა. გენოციდი და სამხედრო დანაშაულების განხორციელება - ასეთია ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც აფხაზეთში მომხდარი მოვლენები შეფასდა.

აფხაზეთის იუსტიციის ყოფილი მინისტრის პაატა დავითაიას განაცხადს ჰააგის სასამართლომ კვალიფიკაცია მისცა.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ტერიტორიაზე, ქართველთა ეთნოწმენდისა და გენოციდის გამო, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს სასარჩელო განაცხადით, პაატა დავითაიამ, როგორც საქართველოს მოქალაქემ, რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ მაშინ მიმართა, როცა საქართველოს პარლამენტს არ ჰქონდა რატიფიცირებული რომის სტატუტი, რომელსაც ჰააგის მუდმივმოქმედი საერთაშორისო ტრიბუნალის საქმიანობა ეფუძნება. სტატუტის რატიფიცირებაც და ქართული კანონმდებლობის მასთან შესაბამისობაში მოყვანა უკვე პაატა დავითაიას მიერ ჰააგის სასამართლოში განაცხადის შეტანის შემდეგ მოხდა. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ რომის სტატუტის რატიფიკაციის შემდეგ კი დაიდო შეთანხმება, რომ საქართველოს სამართალდამცველი ორგანოებიდან ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის პროკურატურაში შევიდოდა საქართველოს სამართალდამცველ ორგანოებში აფხაზეთში მომხდარ ეთნოდანაშაულთა შესახებ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები, ოღონდ მანამდე გარკვეული სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო. ჩვენი ინფორმაციით, ასეთი საქმეებისგან შემდგარი 200 გამზადებული ტომი გენერალურ პროკურატურაში იდო. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებას ჰააგაში ჯერ კიდევ არ წარუდგენია აფხაზეთში მომხდარ დანაშაულებათა ირგვლივ საქართველოს სამართალდამცველ ორგანოთა მიერ გამოძიებული მასალები.

წესით, ჰააგის სასამართლოდან გამოგზავნილი წერილის შინაარსი საიდუმლოა, მაგრამ მისმა ადრესატმა – ექსპერტმა აფხაზეთის საკითხებში პაატა დავითაიამ - გუშინ გარკვეული დეტალები გაახმაურა. მისი განმარტებით, ჰააგის სასამართლო მზად არის, აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელებული გენოციდისა და სამხედრო დანაშაულისთვის აღძრას სისხლის სამართლის საქმე. თუმცა, ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც საქართველოს ხელისუფლება ჰააგაში კრიმინალურ მტკიცებულებებს წარადგენს.

პაატა დავითაია ჰააგის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს, როგორც რიგითი მოქალაქე, დღემდე აწვდიდა ინფორმაციას აფხაზეთში, გალის რაიონში ოთარ ტურამბას, რაულ ხაჯინბას, ვალერ ბუთბასა და სხვათა მიერ ჩადენილი დანაშაულების (გატაცებები, მკვლელობები, დაკავებები) შესახებ. მას აქვს მრავალი დანაშაულებრივი ფაქტის მოწმეების ჩვენებები და აცხადებს, რომ ეს მასალაც კი საკმარისია საქმის აღძვრისთვის, მაგრამ კერძო პირისგან გაგზავნილი მასალების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება. ხელისუფლება კი, რატომღაც, ჯერჯერობით კვლავ თავს იკავებს და ამ საქმეში არ ერევა.

"ჰააგის სისხლის სამართლის ანალიტიკურმა ჯგუფმა დაასკვნა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველების ეთნოწმენდა და გენოციდი არის კატეგორიის წანაშე ჩადენილი დანაშაული და მას მიეცა გენოციდისა და სამხედრო დანაშაულების კვალიფიკაცია. საქართველოს მხრიდან დამამტკიცებელი მასალის გადაცემის შემთხვევაში კი, მზად არიან, დაიწყონ წინასწარი მოკვლევა და გამოძიება 2003 წლის 1 დეკემბრიდან აფხაზეთში ჩადენილი ყველა დანაშაულისა", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას პაატა დავითაიამ.

როგორც აფხაზეთის იუსტიციის ყოფილი მინისტრი ამბობს, ჰააგიდან გამოგზავნილ წერილში მას მადლობას უხდიან თანამშრომლობისთვის და აღნიშნავენ, რომ ეს საქმე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას სპეციალურ საინფორმაციო ბაზაში ინახავენ.

"ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა. კაცობრიობის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულისთვის ჰააგის სასამართლოში ჯერ არც ერთ მოქალაქეს არ შეუტანია სარჩელი. ამ ეტაპზე კი უკვე საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა, რადგან ჩვეულებრივი მოქალაქე ვერ წარმოადგენს ოფიციალურ მტკიცებულებებს", - აცხადებს აფხაზეთის იუსტიციის ყოფილი მინისტრი პაატა დავითაია და საპარლამენტო კომისიას უკვე მერამდენედ მიმართავს.

"ვნახოთ, ამ წერილის მერე მაინც თუ იქნება სათანადო რეაგირება. თუკი ხელისუფლება მასალებს კიდევ არ გაგზავნის, მე ისევ განვაგრძობ არაოფიციალურ მოკვლევებს. რომის სტატუტის 53-ე მუხლის თანახმად, როცა სახელმწიფოს არ შეუძლია ან არ სურს აწარმოოს გამოძიება, მაშინ უნდა გამოიძიონ, კონკრეტულად, ვის არ სურს. პირად საუბრებში მთავრობის ყველა წარმომადგენელი მეთანხმება და დახმარებას მპირდება, მაგრამ ოფიციალურად ეს პროცესი არ გრძელდება. ვფიქრობ, ან არიციან სასამართლო რა არის, ან არ უნდათ, რომ ეს სხვამ გააკეთოს. ახლა გადაწყვეტილება პრეზიდენტმა უნდა მიიღოს", - აცხადებს პაატა დავითაია.

დავა კანონიერი ქონებისთვის

"კინოს სახლის" დარბაზში, თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე №50-ში მდებარე სახლის მობინადრეები შეიკრიბნენ, რომლებიც მათი საცხოვრებელი სახლის დანგრევის წინააღმდეგ გამოდიან და მერიის ზედამხედველობის სამსახურს კერძო საკუთრების ხელყოფის მცდელობაში ადანაშაულებენ.

საქმე ისაა, რომ თაბუკაშვილის ქუჩაზე №50-ში მდებარე სახლის მაცხოვრებლები გაუგებარ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. როგორც თავად აცხადებენ, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურში იბარებენ და მოითხოვენ, მათ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე უარი თქვან – საცხოვრებელი სახლებიდან გამოვიდნენ. სახლი ავარიულია და უნდა დაინგრეს, - ასეთი გახლავთ თბილისის მერიის ვერდიქტი, რომლის საფუძველზეც, თაბუკაშვილის №50-ში მცხოვრებ 22 ოჯახს ქუჩაში გამოყრით ემუქრებიან.

"დაუყოვნებლივ დაცალეთ ბინები, რადგანაც სახლს ემუქრება დემონტაჟი, ნებით თუ არ გახვალთ, ჩაფხუტიანი ხალხით მოვალთ და ძალით გამოგყრით", - სახლის მაცხოვრებელთა განცხადებით, ასე ემუქრება მათ მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გიორგი საგინაშვილი.

რა ინტერესი შეიძლება ამოძრავებდეს მერიას, როცა ფუნდამენტურად აშენებულ შენობას დასანგრევად იმეტებს? – ასეთ შეკითხვას სვამენ სახლის მობინადრენი და დახმარებას ითხოვენ. მათი განცხადებით, **"დემოკრატიულ სახელმწიფოში კერძო საკუთრების ხელყოფა დიდი დანაშაულია."**.

როგორც დაზარალებულთა ადვოკატი დიმა გაბუნია ამბობს, მერიის სამსახურების ამგვარი მოქმედება აბსოლუტურად უკანონოა, რადგან მათ არანაირი კანონიერი დოკუმენტი არ უმაგრებთ ზურგს, არ არსებობს არც სასამართლო გადაწყვეტილება, არც სახლის ავარიულობის დამადასტურებელი დასკვნა ან რაიმე სახის სხვა დოკუმენტი, რის საფუძველზეც, მოსახლეობისთვის ქონების ჩამორთმევა განხორციელდებოდა; მეტიც, ხელისუფლება სახლის მეპატრონეებს კომპენსაციასაც კი არ სთავაზობს. დიმა გაბუნიას ინფორმაციით, მერიის წარმომადგენლები აცხადებენ მხოლოდ იმას, რომ სახლით მათი დაინტერესება ერთმა ანონიმურმა ზარმა გამოიწვია. ადვოკატმა დიმა გაბუნიამ ჟურნალისტებს გააცნო ის უსაფუძვლო, ზეპირი არგუმენტები, რაც ზედამხედველობის სამსახურმა მათ წარუდგინა. საუბარია იმაზე, რომ, თითქოსდა, სახლის არქიტექტურა არ ჯდება სატანდარტებში, რომ სახლი სეისმურად არამდგრადია, რომ იგი არაგამძლე მასალითაა აშენებული. მერიის ამ არგუმენტებს კატეგორიულად უარყოფს პროექტის ავტორი ნოდარ ვადაჭკორია. იგი აღნიშნავს, რომ პროექტმა სამჯერ გაიარა არქიტექტურის დიდი საბჭო, საბოლოო კი - 2003 წელს. თუმცა, დღემდე არც ერთი გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულება არ მომხდარა, ვინაიდან, ყველა შემთხვევაში, ჩამორთმეული ქონება "საზღვაო ბანკის" ან აჭარის უშიშროების სამინისტროს საკავებში ინახებოდა და სახელმწიფო ბიუჯეტს არ გადასცემია.

სახელმწიფოსთვის გადასაცემ ოქროს ნივთებსა და სხვა ძვირფასეულობას შორისაა ჯვრები, ბეჭდები, საყურეები, ხატები, სამაჯურები და სხვა ძვირფასი ნაკეთობები. სახელმწიფოსთვის გადაცემულ ოქროს საერთო ღირებულებას ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი დაადგენს, რომელიც, დაახლოებით, სამი დღის განმავლობაში შეაფასებს ძვირფასეულობას. პირველადი მონაცემებით კი, 37 კილოგრამი ოქროსა და სხვა ძვირფასეულობის საერთო ღირებულება 500 ათასი დოლარია.

"საქართველოს ეროვნული ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის გიორგი კალანდაძის განცხადებით, აღნიშნული ქონება სახელმწიფოს საკუთრებაა და მისმა მფლობელმა - სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ ეს ქონება უკლებლივ უნდა გადაეცეს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო სააგენტოს.

საფინანსო სააგენტოს იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის კობა ლაცაბიძის განცხადებით, გადაცემული ქონება საჯარო აუქციონზე გაიყიდება და შემოსული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში შევა. ხატები საქართველოს საპატრიარქოს გადაეცემა; ხოლო, თუკი ამოღებული ნივთებს შორის სამუზეუმო ექსპონატი აღმოჩნდა, ის სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილება გახდება.

24 საათი

ოქროთი გამდიდრებული ბიუჯეტი

საქართველოს ხაზინა 37 კილოგრამი ოქროთი გამდიდრდება. იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტის თბილისის ბიურომ სხვადასხვა დროს ჩამორთმეული ოქროს ამოღება დაიწყო. აღსრულების პროცესი გუშინ "საქართველოს ეროვნული ბანკის" საცავში ჩატარდა, სადაც "ვარდების რევოლუციის" შემდეგ "საზღვაო ბანკის" საცავიდან სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადასაცემი ძვირფასეულობა გადმოვიდა. სააღსრულებო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გუშინ გახსნილ პირველ შეკვრაში 12 ოქროს ზოდი იდო.

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ ელისაბედაშვილის თქმით, ოქრო და სხვა ძვირფასი ნივთები სხვადასხვა მოქალაქისაგან სხვადასხვა დროს ამოღებული ნივთმტკიცებებია. სახელმწიფოსათვის მათი გადაცემის შესახებ არსებობს შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებები. პირველი გადაწყვეტილება 1990 წელს არის გამოტანილი, ბოლო კი - 2003 წელს. თუმცა, დღემდე არც ერთი გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულება არ მომხდარა, ვინაიდან, ყველა შემთხვევაში, ჩამორთმეული ქონება "საზღვაო ბანკის" ან აჭარის უშიშროების სამინისტროს საცავებში ინახებოდა და სახელმწიფო ბიუჯეტს არ გადასცემია.

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და წააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქეროსასლები არ განიხილება).

ძველი განთავსებულია ასევე თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სანაპირო II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმარკის" შენობის ჩრდილოეთ მხარეს გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს ფრენდ ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

ახალი პერსპექტივა ქართველებისა და აფხაზებისათვის

ვირველი გვერდიდან

ალასანიას დანიშვნისთანავე გაჩნდა მოსაზრება, რომ მას უბრალოდ იცილებენ. ამ ეჭვის ძირითადი არგუმენტი შემდეგი სახისაა: პრეზიდენტის მრჩევლის საპატიო თანამდებობა, გაცილებით დაბალი რანგის ჩინია, ვიდრე თუნდაც ავტონომიის დევნილობაში მყოფი მთავრობის თავმჯდომარის რანგი. როგორიც არ უნდა იყოს, მთავრობის თავმჯდომარეობა რამდენიმე ასეული ადამიანის უფროსობას გულისხმობს, მრჩეველი კი...

დაახლოებით ასეთი არგუმენტები აქვს საზოგადოების ერთ ნაწილს. არსებობს უფრო რთული არგუმენტებიც. კერძოდ, საუბრობენ იმაზეც, რომ ირაკლი ალასანიას სხვა თანამდებობაზე გადაყვანით პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააძლიერა იმ პარამილიტარისტთა ფრთა, რომელიც, ალასანიასგან განსხვავებით, ფიქრობს, რომ აფხაზურ-ქართული ურთიერთობების მოგვარება მილიტარისტულ ფაქტორზე აპელირებისა და დაყრდნობის გარეშე შეუძლებელია.

რეალურად, როგორც ჩანს, საპირისპირო მოხდა, ალასანიას სხვა თანამდებობაზე დანიშვნით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა სწორედ სამშვიდობო პროცესის უალტერნატივობას გაუსვა ხაზი და ვინაიდან აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა თავად ალასანიას რეალურად ხელს უშლიდა ქართულ-აფხაზური სამშვიდობო მოლაპარაკებებში, მას შეუნარჩუნა პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა და გარდა ამისა, მიანიჭა პრეზიდენტის მრჩევლის ფუნქციაც.

ქართულმა მხარემ საკუთარი ნებით მოხსნა მუდამ გაურკვეველი საკითხი, რომელზეც აპელირებას ხშირად აკეთებდა დე-ფაქტო ხელისუფლება – მან მთავარ მომლაპარაკებელ ალასანიას დაავალა კოორდინაცია სახელისუფლებო ორგანოებში და ამდენად, სავარაუდოა, რომ მოლაპარაკებების პროცესი გაცილებით ეფექტური იქნება. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების რეაგირებამაც არ დაახანა - ირაკლი ალასანიას ახალ პოსტს გამოეხმაურა დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი შამბა, რომელმაც გუშინვე განაცხადა: **"ამ ადამიანზე ჩვენ მხოლოდ დადებითი აზრი გვაქვს. ჩვენ არ შეგვეძლო ოფიციალურ დონეზე გვქონოდა ურთიერთობა მასთან, როგორც აფხაზეთის ე.წ. ლეგიტიმური სტრუქტურების ხელმძღვანელთან. ვიმედოვნებთ, რომ კონსტრუქციული დიალოგი შედგება. ეს არის ადამიანი, რომელთანაც შეიძლება საუბარი, რადგან ირაკლი ალასანია მათ რიცხვს განეკუთვნება, რომელიც ცდილობენ არა პრობლემების გაღრმავებას, არამედ მათ გადაწყვეტას".**

ამდენად, გელა ჩარკვიანის მიერ გაჟღერებული არგუმენტი, რომ ალასანიას ახალ თანამდებობაზე გადაყვანა ხდება ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო მოლაპარაკებებში მეტი კოორდინაციის მისაღწევად, სავსებით რეალურია და ამ შემთხვევაში ნამდვილად არ გვაქვს საქმე პოლიტიკურ მისტიფიკაციასთან.

ახალ თანამდებობაზე მყოფ ირაკლი ალასანიას გელა ჩარკვიანის განცხადებით დაევალება: **"აღმასრულებელი ხელისუფლების იმ სამსახურების კოორდინირება, რომლებიც დაკავებული არიან აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებით ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესამუშავებლად".** შედეგად მოხერხდება ქართული სახელისუფლო სპექტრის წარმომადგენელთა კოორდინაცია, რაც საფუძველშივე გამორიცხავს ისეთ ქმედებებსა თუ საჯარო განცხადებებს, რომლებიც ბოლო წლის განმავლობაში აფერხებდნენ სამშვიდობო პროცესს.

აფხაზეთი - ქართულ ხელოვნებაში

ნატო კორსანტია

"ჩვენი აფხაზეთი" - ასე ჰქვია კონკურსს, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ აფხაზეთის თემაზე შექმნილი საუკეთესო მუსიკალური და დრამატურგიული ნაწარმოების გამოსავლენად გამოაცხადა. საერთოდ ასეა, ვერც ერთი პრობლემა და ტკივილი ვერ უძლებს დროს, ნელდება და მივიწყების ბურუსში ეხვევა. არადა, ტკივილი ადამიანებს უყურჩდებათ, თორემ ქვეყანა ვერასოდეს მოიშუშებს მოგლეჯილი ტერიტორიით გაჩენილ იარას. ბუნებრივია, ასეა აფხაზეთთან დაკავშირებითაც და ცამდე მართალია პოეტი, როცა ამბობს: "ტკივილი გვაფხიზლებს."

სალომე კაპანაძე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსიც ამ მიზანს ემსახურება, ის ჩვენი სიფხიზლის ერთგვარი საზომიც იქნება. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრთან სალომე კაპანაძესთან ინტერვიუსაც ეს ფაქტი დაედო საფუძვლად. თუმცა ის საუბარი მერე ბევრად უფრო განივრცო და განზოგადდა. მით უმეტეს, რომ ფონად გასდევდა ამ სამინისტროს მიერ გამართული საღამოები, კერძოდ, აფხაზეთიდან დევნილ, საკუთარი საქმიანობითა და გამძლეობით გამორჩეულ ქალბატონებთან შეხვედრა, რომელსაც საქართველოს პირველი ლედი - სანდრა რულოვსიც ესწრებოდა, და აფხაზეთის ომის გმირის - გენო ადამიას ხსოვნის საღამო. 8 მარტს გენო ადამია 70 წლის გახდებოდა. იმ საღამოზე ერთხელ კიდევ გაიხსენეს, რომ გენო ადამიამ სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავგანწირვის გასაოცარი მაგალითი გვიჩვენა: ის კელასურთან იდგა და დიდსა და პატარას სთხოვდა, დროზე გასცლოდნენ იმ სასაკლაოს. თვითონ კი მარტოდმარტო სოხუმისკენ წავიდა. და მიდიოდა... ვიდრე კელასურთან მტრის ტყვიამ არ შეაჩერა. გენო ადამიამ ვერ შეძლო, თუ არ იკადრა სოხუმის დატოვება. ის აფხაზეთის ომისა და არა დამარცხებული ქვეყნის გენერლად დარჩა.

ეს საღამოც მხოლოდ გენო ადამიას გახსენება კი არა, შეხსენებაც იყო იმისა, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, არაფერი ვაკეთოთ და აფხაზეთის დაბრუნებაზე მხოლოდ ვიოცნებოთ. ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა, რა ვითარება გამოიკვეთა, რამდენად აღელვებთ აფხაზეთის პრობლემა ქართველ შემოქმედთ?

სალომე კაპანაძე:

- აფხაზეთის თემის ასახვა ქართულ ხელოვნებაში ამ პრობლემის გაჩენისთანავე დაიწყო და ეს კანონზომიერიც იყო, მაგრამ თანდათან, რაც დრო გავა, საზოგადოების მგრძნობელობა აფხაზეთის პრობლემისადმი უფრო მეტად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი სიმძაფრით აისახება იგი ხელოვნებაში. დროის ფაქტორი, რა თქმა უნდა, პრობლემისადმი ახლებურ მიდგომებსაც წარმოშობს. ამისი საუკეთესო მაგალითია თუნდაც გურამ ოდიშარიას პიესა "ზღვა, რომელიც შორია", რომელიც სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატულ თეატრში სახელოვანმა რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ დადგა. სპექტაკლს უზარმაზარი ემოციური დატვირთვა აქვს და, ამავე დროს, მისი მთავარი ღერძი ემოციების მართვის ხელოვნებაზე გადის. ჩვენ გამოვიარეთ სიძულვილის, სასოწარკვეთის, გაუცხოების პერიოდი და საბოლოოდ მაინც იმ ზღურბლს მივადექით, რომლის იქით გამოსავალს მხოლოდ ქართული ტოლერანტობა გვკარნახობს. დადგა ჟამი დიდი დაფიქრების, თუმცა დაფიქრების უნარს დღესდღეობით მხოლოდ ქართული მხარე იჩენს. თუნდაც ის აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც ამ სპექტაკლს მოჰყვა, გვარწმუნებს, რომ საზოგადოების სამსჯავროზე ყველა აზრი და დამოკიდებულება უნდა გამოვიტანოთ და ამაში თავისი სიტყვა ხელოვნებამაც უნდა თქვას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით გამოვაცხადეთ კონკურსი თემაზე "ჩვენი აფხაზეთი" მუსიკასა და დრამატურგიაში შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებების გამოსავლენად. კონკურსს პირობითად "გიორგობიდან გიორგობამდე" ჰქვია, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკურსი 23 ნოემბერს გამოცხადდა და 6 მაისს - გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე შეჯამდება. უკვე შემოტანილია რამდენიმე ნაწარმოები. თანადგომას გვიწევს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი. მან მთლიანად თავის თავზე აიღო კონკურსის მუსიკალური ნაწილის დაფინანსება. იმედი გვაქვს, ეს კონკურსი ბარომეტრის როლსაც შეასრულებს, რამდენად გვტკივა დღეს აფხაზეთი.

- *სოხუმი შემოქმედებითი ცხოვრებით გამორჩეული ქალაქი იყო. დევნილობის შემდეგ კი იმ სულიერების შემოქმედი ადამიანები ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ დაიფანტნენ. თქვენს სამინისტროს ამგვარ ვითარებაში განსაკუთრებული მისია აკისრია* - დაფანტული *სულიერების მოკრება და მისი მატარებელი ადამიანების გამთლიანება დაბრუნებამდე.*

- აფხაზეთიდან დევნილმა ხელოვანებმა ეჭვქვეშ დააყენეს ნიცშეს ერთი ცნობილი გამონათქვამი: "ომი ზამთრის ძილია კულტურისა". იმ ავადსახსენებელი 1993 წლის 27 სექტემბრის შემდეგ, როცა სამშობლოშივე წაგვართვეს სამშობლო და დამარცხებული ერის სინდრომი გაგვიჩნდა, გამოფხიზლება დავიწყეთ მაშინ, როდესაც აფხაზეთიდან დევნილმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა სცენაზე ასვლა მოისურვეს... ამ შემოქმედებითი კოლექტივების წინსვლა კი არსებულ ვითარებაში ბევრად არის დამოკიდებული მეცენატობის ინსტიტუტზე. ამ მისიას დღეს სრულიად შეგნებულად ითავსებს აფხაზეთის მთავრობა, ამიტომაც არავის არ უნდა გაუჩნდეს კითხვა, რატომ არის სახელმწიფო დოტაციაზე სოხუმის დრამატული თეატრი, სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრი "თეთრი ტალღა", აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი "დიოსკურია". ამ კოლექტივების შემოქმედება ქართული კულტურის და აფხაზეთის ისტორიის ნაწილია. შესაბამისად, ისინი უნდა შევინარჩუნოთ, მათ ადგილზე სიცარიელე არ უნდა გაჩნდეს. აქედან გამომდინარე, მათი რენტაბელობის საკითხის განხილვა, უბრალოდ, უხერხულია იმის გამო, რომ მაყურებლის მოზიდვას რეკლამა სჭირდება, რეკლამას კი - თანხები. და მიუხედავად ამისა, მათ ჰყავთ მაყურებელი. როცა თეატრის კოლექტივი, რომელიც თავისი ენერგიის უდიდეს ნაწილს ყოფითი პრობლემების მოგვარებას ახმარს, თავშესაფრის ძიებაში კარდაკარ დადის და ამ პირობებში მაინც ახერხებს, მაყურებელს წლის განმავლობაში ერთი პრემიერა მაინც შესთავაზოს, ეს გმირობის ტოლფასია.

ამგვარი ძალისხმევის შედეგია ის, რომ შარშან შემოდგომაზე თბილისში გამართულ კულტურის საერთაშორისო ბაზრობაზე აფხაზეთიდან დევნილთა შემოქმედებაც იყო წარმოდგენილი. კერძოდ, სოხუმის თეატრის სპექტაკლი "ზღვა, რომელიც შორია" და სოხუმელი დრამატურგის ოთარ პერტახიას პიესა "ლიფტში". აღსანიშნავია, რომ სომეხმა პროდიუსერმა ამ პიესის სომხეთში დადგმის სურვილიც კი გამოთქვა მისი აქტუალობიდან გამომდინარე.

აქვე მინდა გითხრათ, რომ მიმდინარეობს ჩვენს სამინისტროსთან არსებული, თავის დროზე მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში აღიარებული, სოხუმის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ "დიოსკურიას" რეორგანიზაცია. პარალელურად, ვაყალიბებთ კაპელას, რომელსაც სათავეში სოხუმელი მუსიკოსი გურამ ყურაშვილი ჩაუდგა. ის არა მარტო მაღალი კლასის მუსიკოსია, არამედ შესანიშნავი მენეჯერიც, რომელსაც კარგი კონტაქტები აქვს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სახელოვნო კოლექტივებთან, გურამ ყურაშვილი ბოლო დროს ნორვეგიაში ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ მუსიკალურ კოლექტივს.

- *აფხაზეთთან დაკავშირებულ შემოქმედებით ცხოვრებაზე საუბრისას არ შეიძლება არ ვახსენოთ რეჟისორი და პედაგოგი გელა კანდელაკი, რომელმაც წლების წინათ, დევნილი ახალგაზრდებისგან ჩამოაყალიბა კინოჯგუფი – "ბუდრუგანა - გაგრა". თავად გელა კანდელაკის თქმით, ამით მან აფხაზეთის დაკარგვასთან შეურიგებლობა გამოხატა. ამჟამად ეს ახალგაზრდები თქვენი სამინისტროს მფარველობის ქვეშ არიან. რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?*

- ცნობილმა კინორეჟისორმა და პედაგოგმა გელა კანდელაკმა, დიდი ადამიანისა და დიდი ხელოვანისათვის დამახასიათებელი მოკრძალებით, უზარმაზარი საქმე გააკეთა - მან მთელი საქართველოს მასშტაბით აფხაზეთიდან დევნილი თორმეტამდე ნიჭიერი ახალგაზრდა მოიძია და მათგან თეატრალურ ინსტიტუტში შეკრა კინოჯგუფი, რომელმაც უკვე საკმაოდ საინტერესო განაცხადი გააკეთა როგორც ქართული კინოს, ისე თეატრის ისტორიაში. მოგვიანებით, ეს ჯგუფი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადავიდა გელა კანდელაკთან ერთად, ხოლო შემდეგ კი აფხაზეთის კინოსტუდიად გადაკეთდა. განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ჩანაფიქრისამებრ, როცა აფხაზეთში დაბრუნება იქნება, აფხაზეთს უკვე ექნება თავისი კინოსტუდია, რომელიც გაგრაში დაიდებს ბინას. ამ ჯგუფმა შექმნა ჩრდილების თეატრი, რომელსაც არაერთი მაყურებელი ჰყავს არა მხოლოდ საქართველოში, გადაიღო არაერთი მოკლემეტრაჟიანი, დოკუმენტური თუ ანიმაციური ფილმი. ეს ახალგაზრდები მრავალმხრივი შემოქმედებით გამოირჩევიან: წერენ სცენარებს, ქმნიან ესკიზებს, იღებენ ფილმებს, დგამენ სპექტაკლებს. სხვათა შორის, ამ კინოსტუდიის თაობაზე ფართო საზოგადოებამ ძალიან ცოტა რამ იცის, რაც იმის მაგალითიცაა, როგორ უხმაუროდ კეთდება საქვეყნო საქმე. ჯერ კიდევ შარშან, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილებით, ეს ჯგუფი ჩვენი სამმართველოს მფარველობის ქვეშ შემოვიდა და მის თითოეულ წევრს ხელფასი დაენიშნა. შეიძლება ითქვას, მაშინ ამ გადაწყვეტილებამ ეს კინოჯგუფი დაშლას გადაარჩინა.

- *2006 წლის დასაწყისში თქვენმა სამინისტრომ გამოსცა კედლის კალენდარი, რომელზეც აფხაზეთში არსებული, ქართული კულტურის 9 უძველესი ძეგლია აღბეჭდილი. ალბათ, სიმბოლურიც არის და დროულიც ამის გაკეთება იმ ვითარებაში, როცა სეპარატისტები ცდილობენ, ისინი საერთოდ ამოშალონ საქართველოს ისტორიიდან.*

- ჩვენი აზრით, ძეგლების - მოქვის, ლიხნის, ბედიის, ბიჭვინთის, ილორის, სვიმონ კანანელის და ა.შ. ამ ფორმით ერთად თავმოყრას, იდეოლოგიასთან ერთად, ინფორმაციული დატვირთვაც აქვს - ისინი თვით ჩვენს საზოგადოებასაც უნდა შევახსენოთ ხოლმე. ჯერ კიდევ შარშან შევქმენით მოძრავი ფოტოგამოფენა – "აფხაზეთის სულიერი საგანძური", რომელიც აფხაზეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლების 100-მდე ექსპონატისგან შედგებოდა და არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა ჟურნალისტთა და პოლიტოლოგთა ასოციაციასთან ერთად ელენე ახვლედიანის სახ. სურათების გალერეაში გამოვფინეთ. მათ შორის იყო ბედიის ტაძრის ფოტოები, რომლებიც შარშან აღდგომის დღესასწაულზე ქართველმა ახალგაზრდებმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გადაიღეს. მათვე შექმნეს დოკუმენტური ფილმი ბედიაზე, რომლის პრეზენტაცია თსუ-ში გაიმართა. სამწუხაროდ, იმ ჯგუფის ორი წევრი - თეა შარია და გიორგი სოხაძე ჰყავს დღეს დატყვევებული აფხაზურ მხარეს. ისინი ამჯერად მოქვის ტაძრის გადასაღებად იყვნენ ჩასულნი. ჩვენმა სამინისტრომ ამის გამო საპროტესტო წერილით უკვე მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს და სთხოვა, მათ გასათავისუფლებლად იმოქმედონ.

ამასთანავე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტთან, მეუფე დანიელთან ერთად ვაპირებთ გამოვცეთ ფოტოალბომი "აფხაზეთის სულიერი საგანძური", რომელშიც აფხაზეთში არსებული ქართული კულტურულ-ისტორიული ძეგლები სრულად იქნება წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ ჩვენს კედლის კალენდარს ერთვის სწორედ მეუფე დანიელის სიტყვები:

"აფხაზეთის საქართველოსთან გამთლიანება არის ღვთის მიერ დადგენილი ერთადერთი გზა აფხაზეთის წინსვლისა, განვითარებისა და აფხაზების გადარჩენისა". საერთოდ კი, ყველაფერი ის, რასაც ვაკეთებთ, სწორედ ამ ფორმულაშია მოქცეული.

ცხოვრებისეული ისტორიები

ამ მიწაზე მაინც ერთად უნდა ვიცხოვროთ...

ეს ისტორია, რომელიც მინდა რომ გიამბოთ, მაშინ გადამხდა თავს, როდესაც ჩემი სოფლიდან, გალის რაიონის სოფელ ზემო ოტობაიადან ავტობუსით ვმგზავრობდი. ავტობუსში რამდენიმე მგზავრი ვიყავით. ადრიანი დილა იყო, ალბათ იქნებოდა ასე შვიდი საათი. ჩვენი ავტობუსის მძღოლი ყოველთვის ასე ადრიანად მგზავრობს ხოლმე, რომ გზად აფხაზებს არ გადააწყდეს. მაგრამ იმ დღეს არ გაგვიმართლა. ცოტა ხანში გზა ორმა შეიარაღებულმა აფხაზმა გადაგვიკეთა. მათ მძღოლს წინა კარი გააღებინეს, ამოვიდნენ ავტობუსში და მეგრულად მოგვესალმნენ. ჩვენ ცოტა არ იყოს შევშინდით, მაგრამ სალამზე მაინც სალმით ვუპასუხეთ. ამის შემდეგ მათ ჩვენი პასპორტები მოითხოვეს.

ამ მოთხოვნის შემდეგ, მე მათ ვუთხარი: "აგერ, ახლოს, მეზობელ სოფელში მივდივართ. დილაადრიან არ გვიფიქრია თუ თქვენ შეგვხვდებოდით და ამიტომ პასპორტები თან არ წამოგვილია. თუ აუცილებელია, უკან სოფელში დავბრუნდეთ, სახლებში პასპორტებს ავიღებთ და გაჩვენებთ".

"არა, არაა საჭირო. სახეზე გეტყობათ, რომ წესიერი ხალხი ხართ. მაგრამ იქნებ ცოტაოდენი ფული მაინც გეჩუქებინათ ჩვენთვის," – გვითხრეს შეიარაღებულმა აფხაზებმა.

ავტობუსის მძღოლმა "დააძრო" ათლარიანი და მისცა.

ჩვენ ერთმანეთს გამოველაპარაკეთ და ჩემდა გასაოცრად, იცით რა იგრძნობოდა?! - რომ მათ აშკარად მობეზრდათ ასეთი სიტუაცია. მობეზრდათ იარაღით სიარული და მშვიდობიანი ხალხის ძარცვა.

ერთ-ერთი აფხაზი სოხუმელი გამოდგა.

"მე ერთი ოცნება მაქვს, – გვითხრა მან, – ოცნება მაქვს, აქ კი უკვე ოთხი წელია ვყურყუტებ. ძალიან მინდა იმ დროს მოვესწრო, როდესაც აღადგენენ რკინიგზას, რომ ჩავჯდე პირველივე მატარებელში და აქ აღარ დავბრუნდე, წავიდე სოხუმში და იქ დავრჩე".

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ იმ აფხაზის უფრო კარგად გაცნობის სურვილი გამიჩნდა და ჩემთან სახლში დავპატიჟე. ცოტა ხანში, ჩემს სახლში გაშლილ სახელდახელო სუფრაზე, ისმოდა ტრადიციული ქართული და აფხაზური სადღეგრძელოები. მალე იმ ერთ აზრამდეც მივედით, რომ ჩვენ – ქართველებსა და აფხაზებს, ერთნაირი მენტალიტეტი გვაქვს, რომ საერთო გაცილებით მეტი გვაქს, ვიდრე განმასხვავებელი. შევთანხმდით, რომ ერთნაირი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები გვაქვს და, რაც მთავარია, შევთანხმდით, რომ ჩვენ – ქართველებმა და აფხაზებმა მიუხედავად ყველაფრისა, ამ მიწაზე მაინც ერთად უნდა ვიცხოვროთ.

რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი. პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.

პროექტი "თქვენი აფხაზეთი"
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს და საიტზე - www.yourabkhazia.ge; forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

გადარჩენილი ფოტოები

აფხაზი ქლბატონი სუსანა ტარკილი თბილისში სოხუმიდან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებაზე ჩამოვიდა. მან მოიძია თავისი სოხუმელი მეგობრების - ლუდმილა და ვახტანგ ჯორჯიკიების ტელეფონის ნომერი, დაუკავშირდა და სტუმრადაც ეწვია წყნეთში. ეს ფოტოც წყნეთში ამ სტუმრობის დროს არის გადაღებული 2001 წლის 11 მარტს. შუაში - აფხაზი სტუმარი სუსანა ტარკილი, მარცხნივ - ლუდმილა ჯორჯიკია.

მოკლედ

ახალგაზრდული დამარცხდა

გუშინ ტირანაში გაიმართა ალბანეთის და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი. 2:1 – გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ქართველ ფეხბურთელთაგან ერთადერთი გოლის ავტორია რევაზ გეწაძე.

ჯორჯ ბესტის სახელი უკვდავყვეს

ბელფასტის აეროპორტს ლეგენდარული ჯორჯ ბესტის სახელი დაერქმევა. სახელის გადარქმევის ოფიციალური საზეიმო ცერემონიალი 22 მაისს გაიმართება, როცა ბესტს 60 წელი შეუსრულდებოდა. გადაწყვეტილება აეროპორტისთვის სახელის გადარქმევის შესახებ ლეგენდარული ფეხბურთელის მამასთან დიკთან და ბესტის უახლოეს ნათესავებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღეს. შეგახსენებთ, რომ ჯოჯრ ბესტი შარშან, ნოემბერში, ღვიძლის დაავადებით გარდაიცვალა.

კაფუ მსოფლიო პირველობისთვის მზად იქნება

ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი კაფუ მარცხენა მუხლის ტრავმის შემდეგ მომჯობინდა და შეძლებს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს, - განაცხადა "მილანის" პრესსამსახურმა. შეგახსენებთ, რომ თებერვლის შუა რიცხვებში მცველს მუხლზე ატროსკოპიული ოპერაცია გაუკეთდა. "დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ოპტიმალურ ფორმაში ვიქნები", - ამბობს ბრაზილიის ნაკრების მცველი.

"ინტერს" ანრი არ სჭირდება

მილანის "ინტერის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ უარყო ხმები, რომ ლონდონის "არსენალის" ფორვარდ ტიერი ანრისთან მოლაპარაკებას აწარმოებს. მოარული ხმების თანახმად, ანრიზე პრეტენზიას აცხადებენ "ინტერი" და "ბარსელონა". "ანრი, რა თქმა უნდა, შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ შექმნილ სიტუაციაზე უნდა ვიფიქროთ და არა ჰიპოთეტურზე. ამჟამად ფორვარდი არ გვჭირდება. ჩვენ იტალიის ჩემპიონატში მეორე ადგილი უნდა დავიკაოთ, მოვიგოთ ქვეყნის თასი და განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის ტურნირი", - განაცხადა მასიმო მორატიმ.

"უდინეზეს" ახალი მწვრთნელი ჰყავს

ჯოვანი გალეონე "უდინეზეს" ახალ მთავარ მწვრთნელად დაასახელეს. მან ამ პოსტზე შეცვალა ლორის დომინიცინი, რომელიც კლუბმა კვირას დაითხოვა. გალეონე კლუბთან უკვე მუშაობდა 1994-1995 წლების სეზონში და გუნდი სერია A-ში გაიყვანა. იტალიის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში ის ბოლოს 2004 წლის სეზონში მუშაობდა. ახალ გუნდთან მწვრთნელის კონტრაქტი სეზონის ბოლომდეა გათვალისწინებული.

"რომამ" ნახევარმცველი დაკარგა

იტალიურმა "რომამ" ორი კვირით დაკარგა ნახევარმცველი დანიელე დე როსი. 22 წლის ფეხბურთელმა ტერფის ტრავმა მიიღო და გამოტოვებს მატჩებს "იუვენტუსსა" და "ფიორენტინასთან" სერია A-ში და პირველ შეხვედრას "პალერმოსთან" იტალიის თასის ნახევარფინალში.

კალუმ უარი მიიღო

ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარი შეუთვალა როტერდამის "ფეიენოორდის" ფორვარდ სოლომონ კალუს ჰოლანდიის მოქალაქეობის მიღებაზე. მინისტრმა იმიგრაციის საკითხებში რიტა ვერდონმა განაცხადა, რომ კოტ დ'ივუარელი წესს უნდა დაემორჩილოს და საიმიგრაციო ტესტი ჩააბაროს. აღსანიშნავია, რომ 20 წლის ფეხბურთელმა ეს ტესტი ერთხელ უკვე ჩააგდო.

ჰუტი ნაკრებში არ ითამაშებს

რობერტ ჰუტი არ მიიღებს მონაწილეობას ამხანაგურ მატჩში, რომელშიც გერმანიის ნაკრები აშშ-ს გაეჯიბრება. საქმე ის არის, რომ "ჩელსის" არ სურს გერმანელი მცველი ნაკრებში გაუშვას, რადგან მას ინგლისის თასის მეოთხედფინალური მატჩი ელოდება "ნიუკასლ იუნაიტედთან". გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იურგენ კლინსმანი უკვე შეუთანხმდა ჟოზე მოურინიოს იმის თაობაზე, რომ ჰუტი "ჩელსიში" დარჩება.

"ჩელსი" "ესპანიოლის" ფეხბურთელს შეიძენს

ბარსელონის "ესპანიოლის" ახალგაზრდა ნახევარმცველი სერხიო ტეხერა მომავალი სეზონიდან ლონდონის "ჩელსის" ღირსებას დაიცავს. სატრანსფერო თანხა 250 ათას დოლარს შეადგენს. "ეს შესანიშნავი შანსია ჩემთვის უმაღლესი კლასის ფეხბურთელად ჩამოვყალიბდე", - განაცხადა ტეხერამ.

კრესპო კლუბს შეიცვლის?

ლონდონის "ჩელსის" სურს შეიძინოს ბრაზილიური "კორინთიანსის" ახალგაზრდა არგენტინელი ფორვარდი კარლოს ტევესი. ლონდონელებს სურთ ტევესი კრესპოში გაცვალონ. ბრიტანული პრესის ცნობით, ბრაზილიური კლუბი მზად არის ფეხბურთელი არანაკლებ 55 მილიონ დოლარად გაყიდოს.

"ვესტ ბრომვიჩი" კამარას გარეშე

ლონდონის "ვესტ ბრომვიჩის" სენეგალელი ნახევარმცველი დიომანსი კამარა ტრავმის გამო თავისი კლუბის უმნიშვნელოვანეს მატჩებს გამოტოვებს პრემიერლიგაში. უეფას ოფიციალური საიტის ინფორმაციით, "ვესტ ბრომვიჩს", რომელიც პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, რამდენიმე კვირას კამარას გარეშე მოუწევს თამაში.

"ხეტაფემ" სელესტინი დაკარგა

"ხეტაფეს" ნახევარმცველმა ფაბიო სელესტინიმ ლა კორუნიას "დეპორტივოსთან" შეხვედრაში მხრის ტრავმა მიიღო და ამის გამო დაახლოებით ერთ თვეს ვერ ითამაშებს. ფეხბურთელს, რომელიც ერთთვიანი შესვენების შემდეგ ახლახან დაუბრუნდა გუნდს, ამჯერად ოპერაციის გადატანა მოუწევს.

მსოფლიო რეკორდი

ავსტრალიის ქალთა ნაკრებმა კომპლექსურ ცურვაში 4x400 მეტრზე ესტაფეტაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ავსტრალიელებმა 3:56,30 დრო აჩვენეს. აღსანიშნავია, რომ წინა რეკორდიც ათენის 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე მათ დაამყარეს. მაშინ 400-მეტრიანი დისტანცია მწვანე კონტინენტის ბინადრებმა 3:57,32-ში დაფარეს. მსოფლიო რეკორდსმენები გახდნენ სოფი ედინგტონი, ლეიზელ ჯონსი, ჯესიკა შიპერი და ლისბეთ ლენტონი. თანამეგობრობის თამაშებზე ეს ჯონსის მეორე მსოფლიო რეკორდია. მსოფლიო რეკორდი მან 200 მეტრზე ბრასით ცურვაშიც დაამყარა.

ოთხილი 5000 დოლარით დააჯარიმეს

"მაიამი ჰიტის" ცენტრი შაკილ ო'ნილი "ჩიკაგო ბულზის" არგენტინელ კალათბურთელ ანდრეს ნოჩიონისთან განზრახ უხეში თამაშისთვის 5000 დოლარით დააჯარიმეს. მატჩი, რომელიც გასულ უქმეებზე გაიმართა, "მაიამის" გამარჯვებით - 85:82 დამთავრდა.

ენტონი და ჯეიმსი - კვირის მოთამაშეები

კვირის დასაწყისში ცნობილი გახდა NBA-ის კვირის საუკეთესო კალათბურთელთა ვინაობა. აღმოსავლეთ კონფერენციაში კვირის მოთამაშედ კლივლენდელი ლებრონ ჯეიმსი აღიარეს. დასავლეთში ეს პატივი დენვერელ კარმელო ენტონის ხვდა წილად.

დევენპორტი ტურნირს გამოტოვებს

ამერიკელმა ლინდსი დევენპორტმა უარი განაცხადა Nasdaq-100 Open-ის ტურნირში მონაწილეობაზე, რომელიც დღეს აიღებს სტარტს. ამის მიზეზი ინდიანა-უელსის ტურნირზე მიღებული ზურგის ტრავმაა. დევენპორტი კი-ბისკაინში მე-5 ნომრად იყო განთესილი. "იმედი მქონდა, რომ მოვასწრებდი გამოჯანმრთელებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი", - განაცხადა ლინდსი დევენპორტმა.

ფეხბურთი

პეპსის თასი სკოლბურთში

მიხეილ აბაიშვილი

შაბათს "პეპსის" თასის გათამაშება დაიწყება.

25 მარტს თბილისის 4 მინისაფეხბურთო მოედანზე სტარტს აიღებს ტურნირი ეგრეთ წოდებულ სკოლბურთში, რომელშიც დედაქალაქის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მიიღებს მონაწილეობას. ასეთი მასობრივი და მასშტაბური ტურნირი ქართულ რეალობაში სიახლეა და, როგორც ფეხბურთის განვითარებისთვის, ისე ზოგადად ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისთვის ზედგამოჭრილია. იდეა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, ეზოს ფეხბურთის ფედერაციის მონაწილეობით წარმოიშვა. მას მხარი დაუჭირეს ქალაქის მერიამ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, განათლების სამინისტრომ და ახალგაზრდობის დეპარტამენტმა. ტურნირის გენერალური სპონსორია კომპანია "პეპსი". ამიტომ ტურნირს "პეპსის თასი" დაერქვა. სპონსორობაში მონაწილეობას იღებს კომპანია "ოოლია".

"პეპსის თასის" მოახლოებულ სტარტთან დაკავშირებით გუშინ ქართული ფეხბურთის სახლში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა, განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ, თბილისის მერმა გიგი უგულავამ და კომპანია "პეპსის" წარმომადგენლებმა.

"სასიხარულოა, რომ უმნიშვნელოვანეს წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. ტურნირი ჯერ მხოლოდ თბილისის მასშტაბით ჩატარდება და დარწმუნებული ვართ, მალე მთელ საქართველოს მოიცავს. ტურნირში დედაქალაქის ყველა – 204 სკოლა გამოვა. თითოეული სკოლის გუნდში 10 მოზარდი იქნება, ასე რომ, ტურნირში 2040 ბავშვი მიიღებს მონაწილეობას. ასაკი 10-12 წელია. სკოლები დაყოფილია უბნების მიხედვით. ათ უბანში გამოვლინდება საუკეთესო გუნდები (სკოლები), რომლებიც ორ 5-გუნდიან ქვეჯგუფად დაიყოფიან და ჯგუფური სისტემით ნახევარფინალისტებს გამოავლენენ. ტურნირი 25 მარტს აიღებს სტარტს და, სავარაუდოდ, 19 მაისს დასრულდება. გენერალური სპონსორია კომპანია "პეპსი". სასიამოვნოა, რომ ასეთმა სოლიდურმა კომპანიამ ფეხბურთის განვითარების საქმეში ქველმოქმედებაზე უარი არ თქვა და მხარი დაგვიჭირა. მისაბაძი მაგალითია. რაც მეტი კომპანია ჩაებმება ქართული სპორტის განვითარების საქმეში, მით უკეთესი", - განაცხადა ნოდარ ახალკაცმა.

განათლების სამინისტრო ძირფას საჩუქარს უმზადებს გამარჯვებულ სკოლას. "ამ ინიციატივას სპორტულ მხარესთან ერთად ძალზე სასარგებლო სამოქალაქო ასპექტიც ახლავს. ასეთი ტურნირი მოზარდებში ავითარებს სასკოლო სიამაყის, სასკოლო პატრიოტიზმის გრძნობას, რაც საბოლოოდ მოსწავლეებში აყალიბებს სრულფასოვანი მოქალაქის თვითშეგნებას. განათლების სამინისტრო კარგ პრიზს უმზადებს გამარჯვებულს. სკოლა, რომელიც პირველ ადგილს დაიკავებს, ჩვენგან მიიღებს თანამედროვე სტანდარტების ხელოვნურსაფარიან მოედანს", - აღნიშნა კახა ლომაიამ.

პრიზებს ამზადებენ ქალაქის მერია და სპორტის სამინისტროც, თუმცა, გამხელას არ ჩქარობენ და სიურპრიზად ინახავენ.

ნორჩი დინამოელის ისტორიიდან

სანამ არსებობდა, წარმატებების მიღწევა არ უჭირდა. სადაც ბურთს გააგორებდნენ, ყველაგან იმარჯვებდნენ. ფაქტობრივად, თამაშს არ აგებდნენ. წელიწადში ორ-სამ ტურნირს იგებდნენ. არცთუ დიდი ხნის არსებობის განმავლობაში იმდენი შეჯიბრება მოიგეს, ბოლოს სათვალავიც აერიათ. ასეთი გუნდები კი არ უნდა იშლებოდეს, მაგრამ ასეთებიც ხდება. დღეს "ნორჩი დინამოელი 92" დაშლილია.

"ნორჩი დინამოელი 92" დაიშალა.

ახლა იმასაც ამბობენ, ასეთი თაობა მხოლოდ მაშინ გვყავდა, როდესაც ქინქლაძე, არველაძეები... თამაშობდნენო. დღეს კი გუნდი დაშლილია. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ "ნორჩი დინამოელი 92" მწვრთნელმა გოჩა ხიტრომა დატოვა. მიზეზებზე ლაპარაკი უადგილოა. უბრალოდ, გუნდიდან მწვრთნელის წასვლის შემდეგ ხუთმა ფეხბურთელმა თამაშს თავი დაანება. ამბობენ, გუნდში "სოსკებით" მოვიდნენ და ისე შეეზარდნენ ერთმანეთს, გუნდის დაშლა ვერ აიტანესო.

დანარჩენებს ისე ვინ გააჩერებდა და უმალ სხვადასხვა გუნდებში გადაიყვანეს. ერთად ყოფნისას კი ისეთ ფეხბურთს თამაშობდნენ, მომავლის იმედს რომ ჩაგისახავდათო. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ისინი, ვისაც მათი თამაში უნახავს.

...ერთად ყოფნისას მოიგეს უკრაინის, ანტალიის, ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირები. ბუნებრივია, წარმატებები საქართველოშიც ჰქონდათ: "ბენდელას თასი" ორჯერ - პირველად დიდებთან, მერე კი თანატოლებთან მოიგეს, ისევე როგორც კოტე მახარაძის თასი, დავით ყიფიანის თასი, ჭელიძის თასი. თბილისის ჩემპიონებიც იყვნენ.

ერთ ამბავსაც გავიხსენებთ, რომელსაც უკრაინის საერთაშორისო ტურნირთან მივყავართ.

უკრაინაში რომ ჩავიდნენ, 9 წლის იყვნენ. თავიდან ეგონათ, ასაკის გამო ფუტსალს ათამაშებდნენ, მაგრამ ვალერი ლობანოვსკის უთქვამს, არავითარი ფუტსალი, ჩვენთან სტანდარტულ მოედნებზე თამაშობენო.

ერთი სიტყვით, ფეხბურთი გაჩაღდა, ოღონდ გუნდის ხელმძღვანელობამ ერთ ეშმაკობას მიმართა – გუნდი ორად გაყო. ერთნი, წესისამებრ, თანატოლებს – 92-წლიანებს გაეჯიბრნენ, მეორენი – 91-იანებს. ამასობაში ორივე მათგანი მეტოქეს მეტოქეზე ამარცხებდა, მაგრამ... მასპინძლები ქართველთა ჩანაფიქრს მიხვდნენ და ორი მატჩი ერთდროულად დაუნიშნეს, ამასთან, ისე, რომ ტურნირის მასპინძელი სტადიონები "სკა" და "ობოლონი" ერთმანეთისგან 70 კილომეტრით იყო დაშორებული – აბა, ვნახოთ ახლა რას იზამთო. აშკარა იყო, გუნდი ორად აღარ გაიყოფოდა. დინამოელთა ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ერთი გუნდი გათამაშებიდან მოეხსნა, მაგრამ მოხდა ისე, რომ "სკას" სტადიონზე თამაში ორი საათის დაგვიანებით დაიწყო. დინამოელებმაც, მას შემდეგ, რაც "ობოლონზე" მორიგი მეტოქე დაამარცხეს, უმალ "სკაზე" გაეშურნენ. ისე რომ, სულის მოთქმის საშუალება არ ჰქონდათ. იქაც გაიმარჯვეს. ბოლოს, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ორ თასს ხომ არ გაგატანთო და 91-იანები შეჯიბრებიდან მოხსნეს. "ნორჩი დინამოელი 92" კი ფინალში გავიდა და მეტოქეზე 7:2 გაიმარჯვეს.

ყველა ტურნირზე ამპლუას მიხედვით შეჯიბრების საუკეთესო ფეხბურთელის წოდებასაც იმსახურებდნენ.

იმედია, ეს ბიჭები დიდ ფეხბურთსაც ითამაშებენ. დანარჩენი კი მერე იყოს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოს შორის 2006 წლის 15 თებერვალს გაფორმდა № 950642 ხელშეკრულება.

შესყიდვის ფორმა - "ერთ პირთან მოლაპარაკება".

სახელშეკრულებო თანხა - 215800 (ორას თხუთმეტი ათას რვაასი ლარი).

(განცხადების გამოქვეყნების საფუძველი - საქართველოს "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის 4 პუნქტი).

განცხადება

2006 წლის 2 მარტს კავშირთან - "ბავშვთა სოციალური მომსახურების ცენტრი" გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდებაზე 2006 წლის მარტი-აპრილის თვეებში.

საუკეთესონი საუკეთესოთა შორის

ESM-თბილისის სტუდენტებმა კიდევ ერთი წარმატება მოიპოვეს

ESM-თბილისის რექტორის სულიკო ქადაგიძის მარჯვნივ გამარჯვებულ სტუდენტებთან ერთად

უკვე სამი წელია ESM-თბილისის მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტები Marketplace Global Competition-ში მონაწილეობენ, რომელშიც მსოფლიოს 125 ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტის სტუდენტები არიან წართული. ინფორმაციისათვის - მარკეტინგული სიმულაცია Marketplace შექმნილია ამერიკული კომპანია Innovative Learning Solution-ის მიერ და განკუთვნილია როგორც ბიზნეს სკოლების სტუდენტების, ასევე კორპორაციების წარმომადგენლებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. ამ კონკურსის მნიშვნელობაზე კი ისიც მეტყველებს, რომ მარკეტინგულ სიმულაციას თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად იყენებენ ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორიცაა IBM, Xerox Co., Eastman Cemical და სხვა.

მიმდინარე წელს ESM-თბილისის მაგისტრატურის სტუდენტებმა თეონა კაკაბაძემ, ნინო მასურაშვილმა და მარიკა წულუკიძემ Marketplase Global Competition-ში ტეხასის უნივერსიტეტების სტუდენტების შემდეგ, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს და დაჯილდოვდნენ Grand Master-ის დიპლომებით და მედლებით. ასევე წარმატებით იასპარეზეს ბაკალავრიატის სტუდენტებმა ჯემალ თოდუამ, ირაკლი ტყებუჩავამ და ლაშა ხუციშვილმა, რომლებმაც მარკეტის ლიდერის (Market Leader) დამადასტურებელი დიპლომები მიიღეს.

ESM-თბილისის მარკეტინგის პროგრამის ხელმძღვანელის ზურაბ ლილუაშვილის შეფასებით, **"Marketplace Global Competition იმ უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს, რომელიც ბიზნესის მართვაშია აუცილებელი. ერთი განსხვავებით, რომ ეს არის ვირტუალური კონკურსი და რისკი ნაკლებია, ანუ ნაგების შემთხვევაში არ კარგავ ფულს. თუმცა ეს საუკეთესო გამოცდა გახლავთ ბიზნესში დასაქმებული ადამიანებისათვის".**

მარკეტინგის პროგრამის ლექტორი ნიკა აბუაშვილი აღნიშნავს, რომ **"თანამედროვე მსოფლიოში, და ეს ნელ-ნელა საქართველოშიც ინერგება, სხვადასხვა კომპანიები თანამშრომლების სამუშაოზე აყვანისას დიდ ყურადღებას აქცევენ მათ შრომით გამოცდილებას. აქ კი მნიშვნელოვანია სწორედ Marketplace-ის მსგავსი ღონისძიებები, რადგან აქაც ზუსტად ის უნარ-ჩვევები დგინდება, რაც აუცილებელია და რასაც ადამიანი იძენს უშუალოდ მუშაობის პროცესში".**

ESM-თბილისის რექტორის სულიკო ქადაგიძის თქმით, **"მნიშვნელოვანია, რომ ეს არის საერთაშორისო თამაში, რომელშიც მონაწილეობენ მსოფლიოს მასშტაბით ძალიან ცნობილი უმაღლეს სასწავლებლები. ამდენად საამაყო და პრესტიჟულია აქ მონაწილეობა და მითუმეტეს, გამარჯვება. თანაც ეს არ არის ESM-თბილისის სტუდენტების წარმატების პირველი პრეცედენტი - უკვე სამი წელია ESM-ის მოსწავლეები Marketplace Global Competition-ში მონაწილეობენ და საკმაოდ შედეგიანადაც".**

განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს საერთაშორისო ტენდერს დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების (სერვისის) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900; მიუთითეთ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინეთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., ოთახი 319, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. გასაწევი მომსახურეობის ჩამონათვალი: ავტოპარკი შეადგენს 300 ერთ. ავტომობილს, აქედან: ფოლკსვაგენ "პასატი" - 58, ფოლკსვაგენ "ჯეტა" - 110, შკოდა "ოქტავია" - 43, ოპელ "ვექტრა" - 45, ვაზ 2121 "ნივა" - 28, უაზ 3151 - 3, ვაზ 21099 - 2, ჯიპი - 1, "ბე-ემ-ვე" - 3, "მერსედესი 230" - 1, "ვოლვო 740" - 1, მიკროავტობუსი "მერსედესი"-ს მარკის - 2, "ფორდი"-ს მარკის - 1. ავტობუსი "ივეკო"-ს მარკის - 2.

3. მიწოდების ადგილი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

მიწოდების სავარაუდო ვადები: ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოს ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 14 აპრილს 12:00 საათიდან 14:00 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. დამატებითი მოთხოვნები:

ა) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);

ბ) ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურეობის შესახებ;

გ) ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტზე შესაბამისობის სერთიფიკატის დამოწმებული ასლი (საქართველოს სერთიფიკაციის შესაბამის ორგანოდან);

დ) ცნობა მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ (წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა შესაბამისი ავტომობილების მწარმოებელი ფირმების მიერ გაცემული სერთიფიკატი).

8. სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბექა ანდრიაძე, ტელ: 529 022, 893 379 174

სატენდერო კომისია

* უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

განცხადება ტენდერის შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მდებარე ქ. თბილისი, 0179, კოსტავას ქ. N41, აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მოსახლეობისათვის პრაქტიკული რჩევების სახელმძღვანელოს შექმნისა და დაბეჭდვის მომსახურების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. დასაბეჭდი სახელმძღვანელოს რაოდენობაა 365000 ცალი. მათ შორის 265000 ცალი ქართულ ენაზე და 100000 ცალი რუსულ ენაზე.

2. სახელმძღვანელოს შექმნის ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი მიზნები:

ა) სოფლის მეურნეობის ზოგადი პოპულარიზაცია;

ბ) სოფლებსა და რაიონებში სოციალური ხასიათის ნეგატიური ფონის გაქარწყლება და განსაკუთრებით "თბილი" ემოციის აღძრა;

გ) საქართველოს მთავრობის პოლიტიკის "შეტრიალება" პერიფერიებზე და სოფლის მეურნეობის სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებად პოზიციონირება.

3. მე-2 პუნქტში მითითებული მიზნების სავალდებულო გათვალისწინებით შექმნილი უნდა იქნეს სასარგებლო ხასიათის მაღალხარისხიანი პოლიგრაფიული ნაბეჭდი პროდუქცია, რომელიც ამავე დროს უნდა ატარებდეს შემეცნებით ხასიათს და მოიცავდეს პრაქტიკულ რჩევებს სოფლის მეურნეობის დარგში.

4. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2006 წლის 30 აპრილამდე. ნაბეჭდი პროდუქცია მოწოდებული უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

5. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 12 აპრილიდან 13 აპრილის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 412.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (იურიდიული პირების შემთხვევაში);

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ძებნაში არ იმყოფებიან;

ვ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;

ზ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი ნიმუშების წარმოდგენით.

7. პირველადი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დახურული კონვერტით ღირებულების გარეშე და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას განცხადების მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული მომსახურების უზრუნველყოფისათვის მონაწილის მხრიდან განსახორციელებელი საქმიანობის დეტალური აღწერის, მომსახურების გაწევის დაგეგმვისა და შესრულების გეგმა-გრაფიკის, კონცეფციისა და სტრატეგიის შესახებ.

8. პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი.

9. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისთვის დადგენილ პირობებს.

10. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-5 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 და მე-7 პუნქტში მითითებულ ყველა შესაბამის დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტებში დადგენილ მოთხოვნებს.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ 24 მარტიდან 11 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 412.

12. სატენდერო დოკუმენტაცია არ წარმოადგენს საბოლოო ვარიანტს და მასში შესაძლებელია შეტანილი იქნეს ცვლილებები, რომელიც ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, წერილობითი სახით ეცნობებათ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც დაშვებულნი იქნებიან ტენდერის მეორე ეტაპზე.

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ს/კ 203843010, ან.N200122900, სახაზინო კოდი 302003000

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 412. ტელ: (995 32) 99-92-40

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქობულეთის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ქ. ქობულეთში, სოფ. ციხისძირში და დაბა ჩაქვში საცხოვრებელი სახლების ფასადების შეღებვითი სამუშაოების, ასევე ქ. ქობულეთში აღმაშენებლის გამზირდე ლითონისა და ბეტონიეს ღობეების შეღებვითი სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტი მოიცავს:

2.1. ქ. ქობულეთში და სოფ. ციხისძირში საცხოვრებელი სახლების ფასადების შეღებვითი სამუშაოები:

ა) ბათქაშის მოწყობა - 1061 მ 2

ბ) ფასადების შეღებვა - 10620 მ 2

გ) წყალმიმღები ძაბრების დაყენება - 14 ცალი

დ) წყალსაწრეტი მილების მოწყობა - 360 გრ/მ

2.2. დაბა ჩაქვში საცხოვრებელი სახლების ფასადების შეღებვითი სამუშაოები:

ა) ბათქაშის მოწყობა - 1816 მ 2

ბ) ფასადების შეღებვა - 8467 მ 2

გ) წყალსარინი ღარების მოწყობა - 1082 გ/მ

დ) წყალსაწრეტი მილების მოწყობა - 1007 გ/მ

ე) ფანჯრის ბლოკების შეღებვა - 1231 მ 2

ვ) წყალმიმღები ძაბრების დაყენება - 116 ც

2.3. ქ. ქობულეთში აღმაშენებლის გამზირზე ლითონისა და ბეტონიეს ღობეების შეღებვითი სამუშაოები:

ა) ბათქაშის მოწყობა დასახვით - 138 მ 2

ბ) ბეტონიეს კედლების შეღებვა - 4466 მ 2

გ) მეტალის ღობეების შეღებვა - 12621 მ 2

3. სამუშაოს მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2006 წლის 5 მაისამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები, როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირმა ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 აპრილამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141 (რაიონის გამგეობის შენობა), ქობულეთის რაიონის გამგეობის აპარატის იურიდიულ განყოფილებაში. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 20 აპრილს 17 საათზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ;

ე) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

ვ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ.

5.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ბ) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

გ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელი და ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილეობის მსურველის სრული დასახელება, რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2006 წლის 25 მარტიდან 2006 წლის 12 აპრილამდე 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის ("სახალხო ბანკი"-ს ქობულეთის ფილიალი, ბ/კ 220101468, ანგ. № 33060005) გადახდის შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141. დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად დაუბრუნებს წარმომდგენ პირებს.

9. დაფინანსება მოხდება ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით (არანაკლებ 20%).

10. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ ტელეფონებზე: (88236) 6-79-00, 6-72-11.

აფიშა

22 მარტი

თეატრი

თეატრალური სარდაფი
ნინო ბასილია
“თაგვი”
რეჟისორი - ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

თეატრალური სარდაფი ვაკეში
გურამ ქართველიშვილი
“ქრონიკა”
რეჟისორი - ოთარ ეგაძე
დასაწყისი: 18.00

თავისუფალი თეატრი
“მედეა”
რეჟისორი – გოჩა კაპანაძე
დასაწყისი: 19.00

კინო

“ამირანი”
სიყვარული დიდ ქალაქში
დასაწყისი: 14.00; 18.00
“ჭორები”
დასაწყისი: 16.00; 20.00; 22.00

“რუსთაველი”
“ვარდისფერი პანტერა”
დასაწყისი: 20.00; 22.00

გალერეა

“ჰობი”
სანდრო ბახტაძის გამოფენა

“კოპალა”
თანამედროვე ქართველი მხატვრები

“ქარვასლა”
პიერლუიჯი პრატურლონის ფოტოგამოფენა
გერმანული გრაფიკა - ინფორმელი

“უნივერსი”
ჯაბა უჟმაჯურიძის გამოფენა - ფერწერა

რა ემუქრება ბუშს?



მელორ სტურუა
სპეც. კორ. აჟჟ-ში

ვაშინგტონის პოლიტიკურ ლექსიკონში კვლავ იმძლავრა ცნებამ "იმპიჩმენტი". მას სულ უფრო ხშირად ვხვდებით გაზეთებსა და ინტერნეტში, მის შესახებ საუბრობენ პრესტიჟულ სალონებსა და კონგრესში. ამ სიტყვას დაუფარავად და ხმამაღლა წარმოთქვამენ. წარმომადგენლობითი პალატის იურიდიული კომიტეტის წევრი ელიზაბეტ ჰოლტსმენი პირდაპირ აცხადებს: "უკვე დროა. ახლა მხედველობაში პრეზიდენტი ჯორჯ ბუში გვყავს". 1973-74 წლებში ეს კომიტეტი პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის იმპიჩმენტის პროცესით იყო დაკავებული.

ბუში, რომელმაც ტერორიზმს ომი გამოუცხადა და ტერაქტებით შეწუხებული ამერიკელების განწყობით ბოროტად ისარგებლა, იმ კანონების დამრღვევი აღმოჩნდა, რომელთა დაცვაც ეკისრებოდა. ის დღესაც არღვევს აშშ-ის კონსტიტუციასა და კონგრესის მიერ მიღებულ კანონებს, სისხლის სამართლის კანონმდებლობას, გაეროს დებულებასა და ჟენევის კონვენციას. ბუშმა მოტყუებით ჩაითრია ქვეყანა ერაყის წინააღმდეგ ომში, გამოიყენა ცრუ მონაცემები, რომელთა მიხედვით თითქოს ერაყი აშშ-ის წინაალმდეგ ატომურ ომს აპირებდა, სადამ ჰუსეინი კი ბინ ლადენთან ერთად 11 სექტემბრის ტერაქტის მოწყობაში მონაწილეობდა. დაბოლოს, არც ისე დიდი ხნის წინ დადგინდა, რომ ბუშის პირდაპირი მითითებით ისმინებოდა მოქალაქეთა საუბრები. ეს კი საერთაშორისო დაზვერვის კანონის უხეში დარღვევა იყო.

ბუში და მისი გარემოცვა ირწმუნებიან, რომ პრეზიდენტს, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, კანონის დარღვევის უფლება აქვს, მაგრამ ამერიკული სამართლის მიხედვით, ბუშის ნამოქმედარი, მნიშვნელობა არა აქვს, როგორც პრეზიდენტისა თუ სხვა სტატუსის მქონეს, იმპიჩმენტის საფუძველს წარმოქმნის. აშშ-ის კონსტიტუციით ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც საკუთარ თავს კანონზე მაღლა აყენებს და არღვევს მას, თანამდებობის დატოვება მოუწევს.

კონსტიტუციის შემქმნელ "მამებს" ეშინოდათ, სახელმწიფოს პირველ პირს ხელისუფლება ბოროტად არ გამოყენებინა. ამგვარ სიტუაციაში იმპიჩმენტი ერთგვარი შხამსაწინააღმდეგო "პრეპარატი" უნდა ყოფილიყო. არც ერთ პრეზიდენტს არ შეუძლია ჩაიდინოს high crimes და დაუსჯელი დარჩეს.

გასული წლის 17 დეკემბერს პრეზიდენტმა ბუშმა აღიარა, რომ მან არაერთხელ გასცა განკარგულება ამერიკელი მოქალაქეების საერთაშორისო სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ და, რაც მთავარია, შესაბამისი სასამართლო ორგანოების ნებართვის გარეშე. ეს კი კანონის დარღვევაა, თანაც დასჯადი.

სხვათა შორის, ზოგიერთმა თანამშრომელმა სხვისი საუბრების მოსმენაზე უარიც კი განაცხადა. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ იუარა ამ ბრძანების ხელმოწერაზე. იუსტიციის იმდროინდელი მინისტრი კი, რომელიც ოპერაციის შემდეგ საავადმყოფოში იმყოფებოდა, დაეჭვდა, რომ ამ ბრძანებას მართლაც პრეზიდენტი გასცემდა (მიუხედავად იმისა, რომ ბუშის ახლო მეგობარი იყო).

რამდენიმე სიტყვა FIA-ს (კანონი საერთაშორისო დაზღვევის) შესახებ. ის 1978 წელს, უოტერგეიტის სკანდალის გავლენით მიიღეს და ამ სკანდალს ნიქსონი შეეწირა. კანონი ფარული მოსმენების აღსაკვეთად მიიღეს. საქმე ისაა, რომ ნიქსონის ბრძანებით, ფედერალური ბიუროს წარმომადგენლები ფარულად ისმენდნენ 17 ჟურნალისტისა და თეთრი სახლის თანამშრომლების საუბრებს. ნიქსონი ირწმუნებოდა, რომ ეს ნაციონალური უსაფრთხოებისთვის კეთდებოდა. სინამდვილეში კი ამ ყველაფერს შიდაპოლიტიკური მიზეზი ჰქონდა. ამიტომ ქმედება არაკონიერი იყო. თუ დღევანდელი აშშ-ის პრეზიდენტი 11 სექტემბრის ტერაქტს არის ამოფარებული, ნიქსონი ვიეტნამის ომზე საუბრობდა.

უბრალოდ, თეთრი სახლი ერაყზე თავდასხმის საბაბის ძიებაში იყო. ამასვე ცხადყოფს ბეჭდურ მედიაში მოხვედრილი ბრიტანული წყაროები - "მემორანდუმ დაუნინგსტრიტი" - ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის სხდომის ოფიციალური ჩანაწერი. 2002 წელს ვაშინგტონიდან ახლად დაბრუნებული ბრიტანული დაზვერვის ხელმძღვანელი თანამშრომლებს ანგარიშს აბარებს: "ბუშს სადამის მოცილება სამხედრო მეთოდების გამოყენებით სურდა. ეს მეთოდები კი ტერორიზმსა და მასობრივი განადგურების ვერსიას უნდა გაემართლებინა".

ამრიგად, პრეზიდენტმა მოატყუა კონგრესი და ხალხი. ამ შემთხვევაში დასჯის მექანიზმი იმპიჩმენტი უნდა იყოს. პრეზიდენტ ბილ კლინტონის იმპიჩმენტის მიზეზი გახდა ტყუილი, რომელიც მონიკა ლევინსკის უკავშირდებოდა. ეს სიცრუე ქვეყანას სისხლის არც ერთ წვეთად არ დასჯდომია. ბუშის ტყუილს კი უკვე 2200 სამხედროსა და 30 ათასი ერაყელის სიცოცხლე შეეწირა. ასეთ მასშტაბებს არც უოტერგეიტის სკანდალი შეედრება.

ბუში მაშინაც ტყუოდა, როცა აცხადებდა: "ჩვენ არავის ვაწამებთ!" დღეს ყველამ იცის, რა ხდება გუანტანამოსა და ბაღდადის ამერიკულ საპატიმროებში. წამება სისტემატურია და სისტემური. ეს ქმედებანი დასჯადია. დასჯას (აქ სიკვდილით დასჯაც იგულისხმება) კი 1966 წელს "სამხედრო დანაშაულის შესახებ" კანონი ითვალისწინებს. ეს ეფუძნება ჟენევის კონვენციას, რომელიც აშშ-ში შიდა კანონმდებლობასაც წარმოადგენს.

არსებობს უამრავი მტკიცებულება იმისა, რომ წამების უშუალო სანქციონერი ბუში იყო. 2002 წლის იანვარში, ავღნეთთან ომის დროს, ბუშმა ჟენევის კონვენციის დროებით შეჩერებაზე თანხმობა მიიღო. ამით მან ის ამერიკელი სამხედროები დაიცვა, რომლებიც წამებით იყვნენ დაკავებულნი. აღსანიშნავია, რომ ბუშმა სამსახურიდან არ დაითხოვა პენტაგონის შეფი რამსფელდი, რომელმაც თავად აღიარა, რომ წამებაზე (აბუ-გრაიბის ციხეში) პასუხისმგებელი იყო, აღიარა ისიც, რომ წითელი ჯვრის წარმომადგენლებს ერთ-ერთი ნაწამები ადამიანი დაუშალა. ეს კი, ბუნებრივია, ჟენევის კონვენციის დარღვევაა.

ბუში მთელი ძალისხმევით ეწინააღმდეგებოდა ცვლილების შეტანას მაკეინის კანონში და იმუქრებოდა, რომ ვეტოს დაადებდა. ვიცეპრეზიდენტი ჩეინი მოითხოვდა, რომ კანონი არ გავრცელებულიყო "ცსს-ს" აგენტებზე, ანუ მათ წამების უფლება უნდა დარჩენოდათ. და როცა კანონი მიიღეს, პრეზიდინტმა ხელმოწერით დაადასტურა, რომ მისი დარღვევის უფლებას იტოვებდა. აბუ-გრაიბის სკანდალის გამოკვლევას კი მხოლოდ დაბალი ჩინოსნების გაკიცხვა მოჰყვა.

მოკლედ, ბუშს იმპიჩმენტის მახვილი ემუქრება, მაგრამ ამ მახვილის დაშვება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა იმპიჩმენტის იდეას მოქალაქეები მასობრივად აიტაცებენ და ამ მასის გავლენით კონგრესი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს (ასე შეჩერდა ვიეტნამის ომი. ასე გააძევეს ნიქსონი თეთრი სახლიდან). რადგან დღეს სენატ-კონგრესის ორივე პალატა და წარმომადგენლობითი პალატა მმართველი რესპუბლიკელების ხელშია, საეჭვოა, რომ მათ ბუშის წინააღმდეგ გაილაშქრონ. სხვა საქმეა, თუ შუალედური საპარლამენტო არჩევნები კონგრესში პარტიული უმრავლესობის ცვლილებებს გამოიწვევს. მაშინ ბუშის იმპიჩმენტი უფრო რეალური გახდება. რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, ზოგბის ინსტიტუტის გამოკვლევით, ამერიკელთა 50 პროცენტი იმ შემთხვევაშია ბუშის იმპიჩმენტის მომხრე, თუ დამტკიცდება, რომ ის ერაყთან დაკავშირებით იტყუებოდა.

ახლო მომავალში სენატის იურიდიული კომიტეტი უკანონო ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით სხდომას გამართავს.

მაგრამ, ასეა თუ ისე, დღეს "ბუში" და "იმპიჩმენტი" ერთმანეთთან ასოცირდება და ეს ფაქტი იმის მანიშნებელია, რომ თეთრი სახლი აგრესიულ ავანტიურებში გაეხვია და ღრმა პოლიტიკურ კრიზისშია.

„გაზაფხული“ გალერეა ვერნისაჟში

ქეთევან მაღალაშვილის "ნატურმორტი".

მზევინარ ხუციშვილი

გაზაფხული წელიწადის ის დროა, როცა სუსხიანი ზამთრის შემდეგ ყველაფერი იღვიძებს. შეგრძნებაც სულ სხვანაირია – თითქოს ღრმა ძილით გეძინა, თვალი გაახილე და შენს წინაშე სამყარო ათასფრად გადაიშალა. სხვადასხვაფრად შემოსილი ბუნება თავისკენ გიზიდავს, სიცოცხლის სურვილს გმატებს, მოდუნების საშუალებას არ გაძლევს, სურვილებსა და მოთხოვნილებებს გიმძაფრებს.

სიტყვა “გაზაფხულმა” იმაზე მეტი ადამიანი გააღვიძა, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. სწორედ ის გახდა მიზეზი იმისა, რომ 20 მარტს თითქმის ყველა მედიასაშუალება შეიკრიბა გალერეა “ვერნისაჟში”, სადაც პირველი საგაზაფხულო გამოფენა გაიხსნა. ჯგუფურ გამოფენაზე წარმოდგენილია ძველი და ახალი თაობის მხატვართა შემოქმედება. 14 ავტორი და 40 ნამუშევარი – ფერწერა, გრაფიკა და ქანდაკება ერთნაირად იქცევს ყურადღებას. ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, ირაკლი ფარჯიანის შემოქმედება კერძო კოლექციებიდან არის წარმოდგენილი. გამოფენილია აგრეთვე ბიძინა ქავთარაძის, ზაზა ბერძენიშვილის, ალექსანდრე ბანძელაძის, გია მირზაშვილისა და სხვათა ნამუშევრები.

18 აპრილი ელენე ახვლედიანის დაბადების დღეა, 19 აპრილი – ქეთევან მაღალაშვილის. საგაზაფხულო გამოფენა, რომელიც 20 აპრილამდე გაგრძელდება, სწორედ ამ დღეებს ეძღვნება.

პრემიერა კიდევ გადაიდო

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, რეჟისორად როუზის "თორმეტი განრისხებული მამაკაცის" პრემიერა სავარაუდოდ 24 მარტამდე გადაიდო. როგორც თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თამარ ბოკუჩავამ განაცხადა, პრემიერა ორი მთავარი როლის შემსრულებლის - მურმან ჯინორიასა და დათო პაპუაშვილის ავადმყოფობის გამო გადაიდო. სპექტაკლის რეჟისორია რევაზ ჩხაიძე. მთვარ როლებს მურმან ჯინორია, სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, თემურ ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურაბ ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე, და ეკა მინდიაშვილი ასრულებენ.

რეჟინალდ როუზის მიერ, 50-ან წლებში დაწერილი სატელევიზიო პიესა, რეჟისორმა სიდნი ლიუმეტმა ორჯერ გადაიღო – ჯერ სატელევიზიო ვერსია შექმნა, შემდეგ კი ცნობილი კინოფილმი, ჰენრი ფონდას მონაწილეობით. პიესაში 12 ნაფიცი მსაჯულია, "უსახელო" ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ ნომრებით ვიცნობთ.

"ეს ნაწარმოები დემოკრატიის ბუნების შეცნობას, მისი ადამიანური მხარის წვდომას ემსახურება. ნაფიცი მსაჯულები საზოგადოების ყველა ფენას წარმოადგენენ, რითაც გარკვეულწილად, მთელ საზოგადოებრივ სპექტრთან გვაქვს საქმე. საქართველოსთვის, სადაც დემოკრატიის აშენებასა და სავარაუდოდ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვასაც ცდილობენ, ეს პიესა და მისი ღია თუ "წყალქვეშა დინებები" ძალზე აქტუალურია," – განაცხადა რევაზ ჩხეიძემ.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო

ინფორმაცია

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირების წესებისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 ივლისის N121 დადგენილების მოთხოვნათა საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილია ლიცენზიის მაძიებელთა განცხადებები და შესაბამისი დოკუმენტაცია:

1. შ.პ.ს. ბრიტანულ-ქართული აკადემია - ითხოვს საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალურ ლიცენზიას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იწვევს დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ფასთა კოტირების საშუალებით ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი პრეპარატების შესყიდვაზე.

ფასტა კოტირების დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია 2006 წლის 23 მარტის 15:00 საათამდე. ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. ტელ: 91-03-94

TV5MONDE

22 მარტი

07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ცივილიზაციები. დოკ. ფილმი. **08.20** ქრონიკები მთიდან. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.35** გადაცემა: გურმანი. 13.15. ამერიკული ფრანკოფონია. კვებეკი. დოკ. ფილმი. **15.05** TV5-ის სამყარო. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** მოთეთრო-მონაცისფრო. მხ ფილმი. რეჟისორი კარიმ დრიდი. 2005. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** გადაცემა: ჩვენი პლანეტა თვალის ერთი გადავლებით. **24.00** ბალკანეთის უკანასკნელი მბრძანებელი. არწივის შვილი. 1914-1924. მხ ფილმი. რეჟისორი მიშელ ფავარი. 2005. **02.20** ბაქანი N1 ტელესერიალი.

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი

გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge

სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

"ვოლვომ" ჩინეთს მიაშურა

B3

რუსული გაზი ევროპის ნაცვლად, ჩინეთს

ირანში ნავთობის ბირჟა გაიხსნა

ნავთობი უნდა გაიაფდეს

B3

აშშ-ს ბირჟაზე ინდექსთა კლება დაფიქსირდა



B3

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

1 ავსტრალიური დოლარი	AUD	1,3089
1 აზერბაიჯანული მანათი	AZN	2,0074
1 აშშ დოლარი	USD	1,8275
1000 ბელორუსიული მანათი	BYR	0,8502
1 ბურგალური ლევი	BGL	1,1338
1 დანიური კრონი	DKK	0,2972
1 ეგვიპტური ბირვანქა	EGP	0,3184
1 ევრო	EUR	2,2166
10 ესტონური კრონი	EEK	1,4173
1000 თურქმენული მანათი	TMM	0,3514
1 თურქული ლირა	TRY	1,3664
100იაპონური იენი	JPY	0,1567
1 ინგლისური ბირვანქა სტერლინგი	GBP	3,1959
1000 ირანული რიალი	IRR	0,2004
10 ისლანდიური კრონი	ISK	0,2623
1 ისრაელის სეკელი	ILS	0,3926
1 კანადური დოლარი	CAD	1,5712
1 ლატვური ლატი	LVL	3,1618
10 ლიტვური ლიტი	LTL	6,4503
10მოლდოვური ლეი	MDL	1,4025
1 ნორვეგიული კრონი	NOK	0,2789
1 პოლონური ზლოტი	PLZ	0,5708
10000 რუმინული ლეი	ROL	0,6140
1 რუსული რუბლი	RUB	0,0660
1 სინგაპურული დოლარი	SGD	1,1302
100 სომხური დრამი	AMD	0,4062
1 ტაჯიკური რუბლი	TJR	0,5688
1000 უზბეკური სუმი	UZS	1,5161
10 უკრაინული გრივნა	UAG	3,6115
100 უნგრული ფორინტი	HUF	0,8440
1 ქუვეითური დოლარი	KWD	6,2577
10ყაზახური ტენგე	KZT	0,1435
10 ყირგიზული სომი	KGS	0,4419
1 შვედური კრონი	SEK	0,2367
1 შვეიცარული ფრანკი	CHF	1,4116
1 ჩეხური კრონი	CZK	0,0779
1 ჩინური იუანი	CNY	0,2277
1 ჰონ-კონგური დოლარი	HKD	0,2355



სვიმონიშვილმა კონტრაბანდა ვერ დაძლია

მელვინეები საკუთარ უფლებებს თავად დაიცავენ

2006 წლის მაისში თბილისში ღვინის საერთაშორისო კონკურსი ჩატარდება, რომელშიც მონაწილეობას ღვინის მწარმოებელ ადგილობრივ მეწარმეებთან ერთად უცხოური კომპანიებიც მიიღებენ.

ნინო ნატროშვილი

ღვინის ფალსიფიკატორებს ადგილობრივი მეწარმეები "ქართული ღვინის მწარმოებელთა კავშირის" დაფუძნებით დაუპირისპირდნენ. კავშირის დასაფუძნებლად ფული ღვინის მწარმოებელმა ათმა მსხვილმა კომპანიამ გაიღო.

ქართული ღვინის მწარმოებელთა კავშირის" დაფუძნების მთავარი ფაქტორი, ძირითადად, საექსპორტო ბაზრებზე ქართული ღვინის ფალსიფიკაციის მასშტაბების ზრდა გახდა. კერძოდ, რუსეთსა და უკრაინაში მომხმარებლის მხრიდან ქართული ღვინისადმი ნდობის დაკარგვის საფრთხე შეიქმნა. მეღვინეები შიშობენ, რომ ქართული ღვინოების იმიჯის დაცემა მის რეალიზაციაზე იმოქმედებს. ქართული ღვინის ექსპორტიორ ქვეყნებს, ძირითადად, უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ჩეხეთი, ბულგარეთი, ჰოლანდია და ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს. რიგ კომპანიებს ღვინის გაყიდვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რუსეთის ბაზარზე აქვთ. სტატისტიკური მონაცემებით, 2004 წელს საქართველოდან 26 მილიონი ლარის ღირებულების ღვინის ექსპორტი განხორციელდა. 2005 წელს ექსპორტის რაოდენობა 60 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ხელისუფლება უკვე საუბრობს იმაზე, რომ ღვინის ექსპორტის დაბეგვრის განაკვეთები შემცირდეს, რათა ის უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს და ახალი ბაზრები დაიპყროს. კერძოდ, იგეგმება ქართული ღვინის თურქეთის ბაზარზე გატანა.

"ქართული ღვინის მწარმოებელთა კავშირის" პრეზენტაცია სასტუმრო "თბილისი მარიოტში" შედგა, რომელსაც მსხვილი კომპანიების წარმომადგენლები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი და სავაჭრო სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ჯემალ ინაიშვილი ესწრებოდნენ.

B2

იტალიური უძრავი ქონება - პერსპექტიული კაპიტალდაბანდება

- **იტალიაში უძრავი ქონების შეძენა საკმაოდ მომგებიანი საქმეა, რადგან ადგილობრივი ბაზარი პერსპექტიულია და სწრაფად ვითარდება. ფასები სტაბილურად იზრდება, რაშიც მნიშვნელოვან როლს უცხოელი ინვესტორები, უპირატესად ამერიკელები, გერმანელები და ფრანგები თამაშობენ.**
- **განსაკუთრებით მომგებიანია მშენებარე ობიექტებში კაპიტალდაბანდება, ან კიდევ მიწის ნაკვეთის შეძენა და შემდგომი რეალიზაციისათვის ინდივიდუალური პროექტით მშენებლობის წამოწყება.**

ბორა ქიმუსვაძე

ბევრი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა უცხოელებს კერძო საკუთრებაში უძრავი ქონების შეძენას უკრძალავს. ანუ, ჯერ აუცილებელია ამ ქვეყანაში რაიმე კომპანიის დარეგისტრირება, ან სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება და შემდეგ უძრავი ქონების იურიდიული პირის სტატუსით ყიდვა. ამ თვალსაზრისით კვიპროსი, ესპანეთი და იტალია გამონაკლისი გახლავთ და ამ ქვეყნებში უცხოელებს საცხოვრებელი ფართის შეძენა უპრობლემოდ შეუძლიათ. განსაკუთრებით ლიბერალური კანონმდებლობით კი იტალია გამოირჩევა.



B3

"ცივილიზაციის ომი"

■ რუსეთის მსო-ში გაწევრიანებისთვის მთავარი დაბრკოლება ამერიკაა, რომელთანაც ბაზარზე ურთიერთდაშვების ანალოგიური პროტოკოლი ჯერ კიდევ არ არის მოწერილი.

■ 2005 წლის დეკემბერში ქართულმა მხარემ რუსეთს მსო-ში გაწევრიანებაში მხარდაჭერის სანაცვლოდ გარკვეული პირობები წაუყენა.

რუსეთის ფედერალური ვეტერინარული სამსახურის გადაწყვეტილებით, საქართველოს რუსეთის ტერიტორიის გავლით სოფლის მეურნეობის პროდუქტის მესამე ქვეყანაში ექსპორტირება აეკრძალა. რუსეთის მხარე აკრძალვის მიზეზად საზღვარზე ფალსიფიცირებული პროდუქციის გადატანას ასახელებს. ქართულმა მხარემ აღნიშნული ფაქტი "საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური ბლოკადის დაწესების მცდელობად" შეაფასა. ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე ეს რუსეთის მხრიდან ქართული პროდუქციის ექსპორტისთვის დაწესებული მეორე აკრძალვაა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსეთი სანქციების გატარებას ქართული ღვინის მისამართითაც გეგმავს.

"ჩვენ ყველანაირი დოკუმენტაცია წესრიგში გვაქვს. ძირითადი ექსპორტი ჩვენ მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან, ანუ როკის გვირაბიდან გადიოდა. ცხინვალში გაცემულ საბუთებზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ. თუ რუსეთს ეს აქვს მხედველობაში, მაშინ პასუხი კოკოითს მოსთხოვოს. რუსეთის ქმედებას ერთადერთი მიზეზი აქვს: მათ სურთ ხელი შეუშალონ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, რასაც ნამდვილად ვერ მოახერხებენ," - რუსეთის გადაწყვეტილებას სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის განცხადება მოჰყვა.

რუსეთმა საქართველოს ციტრუსების ექსპორტი ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში აუკრძალა. მაშინ მიზეზი ფიტოსანიტარული ნორმების დარღვევა გახდა. "აღნიშნული აკრძალვა გასული წლის 19 დეკემბრიდან ამოქმედდა, როდესაც ქართული ციტრუსის აქტიური და წარმატებული ექსპორტი დაიწყო," - განაცხადა სვიმონიშვილმა. მისივე თქმით, რუსული ბაზრის დაკარგვამ, შესაძლოა, მხოლოდ მწვანილის რეალიზაციას შეუქმნას პრობლემები.

რუსული მხარე სხვა განმარტებებს არ იძლევა. ის არც აკრძალვის ვადებს აკონკრეტებს.

გუშინვე საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსმა" რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის გენადი ონიშენკოს განცხადება გაავრცელა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ქართულმა და მოლდოვურმა წარმოების უხარისხო ღვინოებმა რუსულ ბაზარზე კატასტროფული ვითარება შექმნეს, რის გამოც რუსეთი ამ ქვეყნებიდან ღვინის იმპორტზე მკაცრ შეზღუდვებს დააწესებს. "ძალიან გვაშფოთებს მოლდავურ და ქართულ ღვინოებთან დაკავშირებული მდგომარეობა," - განუცხადა ონიშენკომ რუს ჟურნალისტებს და იქვე დასძინა, რომ 15 მარტს შესაბამის დადგენილებას მოაწერა ხელი. "ამ ღვინოების უსაფრთხოების მაჩვენებლები სტანდარტებს არ შეესაბამება. მათ ქიმიურ შემადგენლობაში მძიმე მეტალები და პესტიციდებია აღმოჩენილი. უახლოეს მომავალში ქართველ და მოლდოველ იმპორტიორებზე მკაცრი სანქციები დაწესდება," - დასძინა ონიშენკომ.

სანიტარული სამსახური სტატისტიკურ ცნობებსაც იშველიებს და აცხადებს, რომ რუსეთში გარდაცვალების მიზეზების 13,4 პროცენტი სწორედ ალკოჰოლურ მოწამვლებზე მოდის. გასულ წელს რუსეთში ფალსიფიცირებული ალკოჰოლით 36 ათასი ადამიანი დაიღუპა.

როგორც ჩანს, ქართულ-რუსულ სავაჭრო ურთიერთობებს კიდევ ერთი წინააღმდეგობის გადატანა მოუხდება. საქმე იმაშია, რომ როგორც გუშინ გაირკვა, ჟენევაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) რუსეთის ფედერაციის გაწევრიანების საკითხზე დაგეგმილ მოლაპარაკებებზე ქართული მხარე რუსეთი მიმართ პრეტენზიებს მწვავედ დააყენებს. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსმა ეკა ავალიანმა განუცხადა. ქართულ დელეგაციას ჟენევაში ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე თამარ კოვზირიძე და საგარეო საქმეთა სამინისტროს მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი ვალერი ქათამაძე წარადგენენ.

რუსული საინფორმაციო საშუალებები რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სავაჭრო მოლაპარაკებების დეპარტამენტის უფროსის მაქსიმ მედვედკოვის კომენტარს ავრცელებენ, სადაც ნათქვამია, რომ საქართველო რუსეთს ამ უკანასკნელის მსო-ში გაწევრიანების შესახებ ორმხრივი პროტოკოლის გაუქმებით ემუქრება. რუსული მხარე საქართველოს წარმომადგენლებთან შეხვედრების გამართვას გეგმავს. "ამ შეხვედრაზე არსებული ვითარებიდან გამოსავლის გამონახვა გვსურს," - აცხადებს მედვედკოვი.

შეგახსენებთ, რომ 2005 წლის დეკემბერში ქართულმა მხარემ რუსეთს მსო-ში გაწევრიანებაში მხარდაჭერის სანაცვლოდ გარკვეული პირობები წაუყენა. ეს ჰონკონგში გამართულ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მინისტერიალზე მოხდა. ამ სამიტზე საქართველოს წარმომადგენლებმა რუსეთს 2003 წელს გაფორმებული პროტოკოლის პირობების შეუსრულებლობაში დასდეს ბრალი.

ამჟერად, საქართველო რუსეთისაგან მის მიერ უკონტროლო ტერიტორიებზე არსებული სასაზღვრო-საბაჟო პუნქტების გაკონტროლებას მოითხოვს. გარდა ამისა, ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტს აქციზური საქონლის სტატუსი აქვს ჩამორთმეული, რის გამოც იქიდან სიგარეტის და ალკოჰოლური სასმელების გატარება შეუძლებელია. ეს საქართველოს მთავრობის მთავარი პრეტენზიაა. პრეტენზიები რუსეთის ტერიტორიაზე ღვინისა და ბორჯომის ფალსიფიკაციაზეც არსებობს. თბილისი მოსკოვს იმაშიც სდებს ბრალს, რომ რუსული კომპანიები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უკანონოდ მუშაობენ.

"სავსებით აშკარაა, რომ ყველა ეს პრობლემა მსო-ს კომპეტენციის გარეთაა. ისინი უკვე არსებული მექანიზმის ფარგლებში უნდა გადაწყდეს. სასაცილო იქნებოდა მსო-ში იმ საკითხების გატანა, რომლებიც მსო-ს წესებს უშუალოდ არ ეხება," - მიიჩნევს მაქსიმ მედვედკოვი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში კომენტარს რუსეთთან პროტოკოლის შესაძლო გაწყვეტაზეც აკეთებენ და აღნიშნავენ, რომ ამაზე საუბარი არ მიმდინარეობს. მინისტრის მოადგილის ეკა ავალიანის თქმით, პროტოკოლში ქართული მხარის პრეტენზიები ძალიან ზოგადადაა დაფიქსირებული.

ინფორმაციისთვის: რუსეთის მსო-ში გაწევრიანებისთვის მთავარი დაბრკოლება ამერიკაა, რომელთანაც ბაზარზე ურთიერთდაშვების ანალოგიური პროტოკოლი ჯერ კიდევ არ არის მოწერილი.

სვიმონიშვილმა კონტრაბანდა ვერ დაძლია

მეღვინეები საკუთარ უფლებებს თავად დაიცავენ

პირველი გვერდიდან

ქართული ღვინის მწარმოებელთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ კომპანია GWS-ის მარკეტინგის ხელმძღვანელი ლევან კობერიძე აირჩიეს.

"კავშირის წევრი კომპანიები არიან ის მწარმოებლები, რომლებიც საექსპორტო ბაზრებზე წარმოადგენენ ნამდვილი ქართული ღვინის სახეს და ისინი ყველაზე მწვავედ გრძნობენ ფალსიფიკატორების კონკურენციას. ფალსიფიცირებული ქართული ღვინოების მწარმოებელთა მხრიდან, რუსეთსა და უკრაინაში დღეისათვის წარმოდგენილია ახალი (ავსტრალია, ახალი ზელანდია, ჩილე) და ძველი მსოფლიოს (საფრანგეთი, ესპანეთი) ქვეყნების მიერ წარმოებული ფართო ასორტიმენტი, რომელიც ეტაპობრივად ავიწროებს ქართულ ღვინოს, რომლის პრემიალური სეგმენტი საბაზრო წილს კარგავს," - განუცხადა "24 საათს" ლევან კობერიძემ.

ლევან კობერიძის განმარტებით, კავშირის ძირითადი მიზანი მომხმარებელთა და მეწარმეთა ინტერესების და უფლებების დაცვაა. "კავშირში წარმოდგენილი კომპანიები შპს ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია GWS, სს "თელიანი ველი", სს "თბილღვინო", შპს "ხეცურიანი", შპს "ვაინმენი", შპს "ღვინის კომპანია შუმი", შპს "კახური ტრადიციული მეღვინეობა", შპს სუვენირული ღვინოების მინიქარხანა "ვაზი-1", შპს "ასკანელი", შპს "თელავის ღვინის მარანი" ღვინის ხარისხით და კომპანიების მენეჯმენტით ყველა სტანდარტებს აკმაყოფილებენ.

"ჩვენ მზად ვართ, ფალსიფიკაციასთან ბრძოლაში გადავიხადოთ თანხები, კავშირი ფინანსურად ძალიან ძლიერი იქნება. ჩვენი კავშირის წევრებმა უკვე შემოიტანეს თანხა, რომელიც საკმაოდ სოლიდურია," - განუცხადა "24 საათს" კობერიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ღვინის ფალსიფიკაციასთან მებრძოლი უწყება "სამტრესტი" არსებობს და მისი ბიუჯეტი 500 ათასი ლარია, სამინისტროს ბალანსზე ფალსიფიკატორებთან წაგებული სასამართლო პროცესები და ფალსიფიკაციის კატასტროფული მაჩვენებელი ირიცხება. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვენახების დაპირებული პასპორტიზაციაც ვერ დაასრულა. ექსპერტების შეფასებით, ვენახების პასპორტიზაცია კონტრაბანდას შეამცირებს.

დააკვირდით ეტიკეტებს

ბეჭდ. ალბომიდან. ფოტოები

კავშირის პრეზენტაციაზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა განაცხადა, რომ ქართული ღვინის პრესტიჟის დასაცავად ამ ეტაპზე ბულგარეთსა და ისრაელში ორი სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. როგორც მინისტრმა განაცხადა, სასამართლოზე ქართული მხარის მოპასუხედ გამოსვლა სოლიდური თანხა ღირს. ამიტომ ხარჯების ნაწილს მომავალში საქართველოს მეღვინეთა კავშირი გაიღებს.

"სახელმწიფო ფალსიფიკატორებს ხელს არ დააფარებს. ქართული ღვინის, როგორც ბრენდის, იმიჯის დაცვა, ძირითადად, დიდ ქვეყნებში სასამართლო პროცესის წარმოებით გვიხდება. მთავარია ფალსიფიკატორთა სააშკარაოზე გამოყვანა, რაც საბოლოო შედეგს მოგვიტანს და ქართულ ბრენდებს უცხოეთის ბაზრებზე გზას გაუხსნის," - განაცხადა მიხეილ სვიმონიშვილმა.

და კიდევ ერთი დეტალი: საქართველოს სამრეწველო პალატა უპრეცედენტო გადაწყვეტილებას იღებს. 2006 წლის მაისში ღვინის საერთაშორისო კონკურსი ჩატარდება, რომელშიც მონაწილეობას ღვინის მწარმოებელ ადგილობრივ მეწარმეებთან ერთად უცხოური კომპანიებიც მიიღებენ. ღვინის დეგუსტაციას უცხოეთიდან მოწვეული ექსპერტები განახორციელებენ, რომელთა მომსახურებაც დაახლოებით 100 ათასი დოლარი ღირს. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელის ჯემალ ინაიშვილის განმარტებით, აღნიშნული კონკურსი ქართული ღვინის იმიჯის განმტკიცებას და წარმატებული კომპანიების წახალისებას მოემსახურება.

მეწარმემ დაქირავებულის დაზღვევის სტიმული დაკარგა?

სამი მოსაზრება

წინა საგადასახადო კოდექსის ფარგლებში, საშემოსავლო გადასახადის 30 პროცენტი არ იბეგრებოდა და მეწარმეს ამ თანხის თანამშრომლების დასაზღვევად გამოყენება შეეძლო. თუმცა ახალმა საგადასახადო კოდექსმა, სხვა საგადასახადო შეღავათებთან ერთად, ეს შეღავათიც გააუქმა. ამ ფაქტმა სადაზღვევო ბაზარი შეაძინა, - მიიჩნევენ საპარლამენტო ოპოზიციაში. როგორც ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, ამით მეწარმემ კორპორატიული სოციალური დაზღვევის ინტერესი დაკარგა. ამ საკითხთან დაკავშირებით "24 საათი" სამი ექსპერტის მოსაზრებას გთავაზობთ:

ზურაბ ტყემალაძე საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარე

ძველი საგადასახადო კოდექსის პირობებში მეწარმეს ჰქონდა საშუალება, თავისი თანამშრომელი საშემოსავლო გადასახადის 30 პროცენტის ფარგლებში დაეზღვია. ეს შეღავათი ახალი საგადასახადო კოდექსიდან ამოღებულია. ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი შეღავათი იყო.

მაშინ მეწარმე თანამშრომელს არა საკუთარი ჯიბიდან, არამედ შეღავათის ფარგლებში აზღვევდა. ახლა უკვე საკუთარი ხარჯებიდან უნდა დააზღვიოს, რასაც, ალბათ, ხშირად არ ექნება ადგილი. მეწარმეს დაქირავებულის დაზღვევის სტიმული დაეკარგა.

შოთა გვენეტაძე პარლამენტარი

ეს შეღავათი წინა საგადასახადო კოდექსის პირობებში არსებობდა. თუმცა ჩვენ ის გავაუქმეთ. ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების პერიოდში ჩვენ ვაცხადებდით, რომ სადაზღვევო სფერო, არა შეღავათების საშუალებით, არამედ საბაზრო პრინციპების და იქ არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე უნდა განვითარებულიყო. ევროპული გამოცდილებაც გვითვალისწინეთ. არ ვფიქრობ, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილების გამო, ბაზარი შეიძლება შეფერხდეს ან შემცირდეს.

პაატა ლომაძე "ჯი პი აი" ჰოლდინგის მარკეტინგის და გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

ვეთანხმები, რომ ადრე არსებული შეღავათები დამქირავებელს მეტ სტიმულს აძლევდა, რათა დაქირავებულისთვის სოციალური დაზღვევა შეეძინა. 2006 წლიდან ეს შეღავათი აღარ მოქმედებს. ბუნებრივია, რომ ბაზრის პოტენციალი შემცირდა. დამქირავებელს კი საკუთარი თანამშრომლებისთვის სოციალური დაზღვევის შეძენა უფრო ძვირი უჯდება.

გარკვეული ლოგიკა არის იმაში, რომ დარგი საბაზრო პრინციპებით უნდა ვითარდებოდეს. თუმცა ეს შეღავათი სადაზღვევო ბაზარზე რომელიმე კომპანიისთვის არ იყო შექმნილი. ეს დასაქმებულების სოციალური ინტერესებიდან გამომდინარეობდა. დღეს საქართველოში ანაზღაურებები დიდი არ არის. აღნიშნული შეღავათი კი დამქირავებლისთვის დამატებითი სტიმული იყო, რათა დაქირავებულის ისეთ სოციალურ პრობლემებზე ეზრუნა, როგორიც სამომავლო საპენსიო დანაზოგი და მიმდინარე ჯგამრთელობის ხარჯების დაზოგვაა. რეალურად, ბაზრის შემცირება არ მომხდარა. პირიქით, ბაზარი იზრდება. შეიძლება ითქვას, რომ ამ ბაზრის ზრდის ტემპი შემცირდა.

სადაზღვევო კომპანიები ვლობირებთ, რომ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით (განსაკუთრებით, საპენსიო დაზღვევის კუთხით), შეღავათები არსებობდეს. ჩვენ საკანონმდებლო ორგანოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებ მასალებს ვაწვდით. ამ საკითხზე მოკლედ საუბარი ძნელია, რადგან ეს კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ერთი რამ ცალსახაა - ყველა ქვეყანა, რომელიც ნაწილობრივ კერძო საპენსიო დაზღვევაზე გადასვლას ცდილობს, თავის ჯამურ რეფორმებში როგორც დამქირავებლისთვის, ასევე დაქირავებულისთვის გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს ითვალისწინებს.

საარსებო დეპარტამენტმა სახელმწიფოსათვის ოქროს გადაცემის პროცედურა დაიწყო

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა გუშინ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის 37 კგ. ოქროსა და სხვა ძვირფასი ნივთების გადაცემის პროცედურა დაიწყეს. პირველ შეკვრაში, რომელიც გუშინ გაიხსნა, 12 ცალი 1 კგ. წონის ოქროს 995 სინჯის ზოდი იდო.

აღსრულების პროცესი "ეროვნული ბანკის" შენობაში მიმდინარეობს, რომლის საცავშიც 2004 წელს ბათუმიდან თბილისში გადატანილი, სახელმწიფოსათვის გადასაცემი ძვირფასეულობა ინახებოდა. ოქროს ზოდები, ოქროს სხვადასხვა ნაკეთობა და ხატები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან, კერძოდ, "საზღვაო ბანკიდან" და უშიშროების სამინისტროს საცავიდან არის წამოღებული.

ოქროსა და სხვა ძვირფას ნივთებს აღმასრულებლები ფინანსთა სამინისტროს საფინანსო სააგენტოს გადასცემენ.

აღსრულების პროცესში მონაწილეობენ ექსპერტები, რომელთაც ნივთები უნდა შეაფასონ. მათი ინფორმაციით, საქმის აღსრულება 3-4 დღეს გასტანს.

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ ელისაბედაშვილის თქმით, ოქრო და ძვირფასი ნივთები სხვადასხვა მოქალაქეებისაგან სხვადასხვა დროს ამოღებული ნივთმტკიცებებია. სახელმწიფოსათვის მათი გადაცემის შესახებ არსებობს შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებები.

პირველი გადაწყვეტილება 1990 წელს არის გამოტანილი, ბოლო კი - 2003 წელს. დღემდე არც ერთი გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულება არ მომხდარა, ვინაიდან ყველა შემთხვევაში, ჩამორთმეული ქონება სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადაცემის ნაცვლად, "საზღვაო ბანკის" ან აჭარის ა/რ უშიშროების სამინისტროს საცავებში ინახებოდა.

საფინანსო სააგენტოს იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის კობა ლაცაბაიძის განცხადებით, გადაცემული ქონება საჯარო აუქციონზე გაიყიდება და შემოსული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში შევა. ამასთან, ხატები საქართველოს საპატრიარქოს გადაეცემა, ხოლო თუ ამოღებულ ნივთებს შორის აღმოჩნდა სამუზეუმო ექსპონატი, ის სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილება გახდება.

ჯი-ეიჩ-ენი

ეროვნული სტადიონის აქციების ნაწილი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაშია

თბილისის მთავრობა, მის მფლობელობაში არსებულ, ბორის პაიჭაძის ეროვნული სტადიონის აქციების ნაწილს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეიტანს. ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული გუშინ თბილისის მთავრობის სხდომაზე. სტადიონის აქციების 61, 436 პროცენტი თბილისის მერიის კუთვნილებაა. აქედან დედაქალაქის მთავრობა გეგმავს 10,436 პროცენტი იქნეს საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი.

როგორც დედაქალაქის მთავრობის წევრები აცხადებენ, აღნიშნული გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ დედაქალაქის ბიუჯეტში არ არის საკმარისი თანხა, რათა სტადიონი უეფას მოთხოვნილების მიხედვით იქნეს მოდერნიზებული. სწორედ ამ პრივატიზაციის შემდეგ მეპატრონე თვითონ იქნება დაინტერესებული სტადიონის მოდერნიზაციით. **ჯი-ეიჩ-ენი.**

საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები ნელი ტემპით ვითარდება

სომხეთში საქართველოს ელჩის რევაზ გაჩეჩილაძის განცხადებით, საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობის დინამიკა არ არის დამაკმაყოფილებელი. როგორც გაჩეჩილაძემ ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის გარკვეული პროდუქტების ექსპორტ-იმპორტი არსებობს, სასურველია, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვას უფრო ფართო მასშტაბები ჰქონდეს. თუმცა ელჩმა ისიც აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში საქართველო სომხეთისაგან საკმაოდ დიდი რაოდენობით ელექტროენერგიას ყიდულობს.

რევაზ გაჩეჩილაძის განცხადებით, მალე ახალი, რაზდან-გარდაბნის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა დაიწყება, რომელიც საქართველოს მისცემს საშუალებას, არა მხოლოდ იყიდოს ელექტროენერგია სომხეთისაგან, არამედ ზაფხულის პერიოდში ჭარბი ელექტროენერგია ირანში გაყიდოს. ასევე, გაჩეჩილაძის თქმით, ბოლო დროს საქართველოს ეკონომიკაში სომხური კაპიტალდაბანდებების ზრდა შეინიშნება. კერძოდ, ქობულეთში სომეხი ინვესტორები სასტუმროს აშენებენ, რაც მისასალმებელი ფაქტია. **მედიანიუსი.**

თბილისის საიუველირო ქარხანას გასაყიდად ხელმეორედ გამოიტანენ

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შპს "თბილისის საიუველირო ქარხანა" საპრივატიზაციოდ მეორედ გამოიტანა. საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში ის პირველად შარშან, ივნისში მოხვდა. თუმცა, მაშინ მისი ყიდვის სურვილი არავინ გამოთქვა.

ობიექტი თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N15-ში მდებარეობს. მისი საქმიანობის სფეროში შედის საიუველირო ნაკეთობათა დამზადება-რეალიზაცია. მისი საწესდებო კაპიტალი 8691010.00 ლარია, საწყისი გასაყიდი ფასი კი 2 000 000 ამერიკული დოლარია.

სახელმწიფო წილი საწესდებო კაპიტალში 100 პროცენტს შეადგენს. მისი დებიტორული დავალიანება 11190.00, ხოლო კრედიტორული დავალიანება 89298.00 ლარია.

"თბილისის საიუველირო ქარხანა" აუქციონის წესით გაიყიდება. საპრივატიზაციო განცხადებები ეკონომიკის სამინისტროში 13 აპრილიდან 16 მაისამდე მიიღება. აუქციონიც 16 მაისს გაიმართება. **მედიანიუსი.**

იტალიური უძრავი ქონება – პერსპექტიული კაპიტალდაბანდება

ვირველი გვერდიდან

იტალიური კანონების, კერძოდ კი "თანასწორუფლებიანობის პაქტის" მიხედვით, უძრავი ქონების შემძენი უცხოელი, იურიდიულად, ამ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქესთან გათანაბრებულია და ვალდებულია გადასახადი არსებული კანონმდებლობის მიხედვით იხადოს. იტალიაში მიაჩნიათ, რომ ნებისმიერ საკუთრებას მფლობელისათვის შემოსავალი მოაქვს, და ყველამ დამატებითი ბეგარა უნდა იხადოს. ამასთან, საკმაოდ ძვირია კომუნალური გადასახადიც. მაგალითად, 120 ათას ევროდ ღირებული საცხოვრებელი ფართი წელიწადში, დაახლოებით, 6800 ევროთი იბეგრება. გარდა ამისა, იტალიაში უძრავი ქონების შეძენისას მოგიწევთ სარეგისტრაციო გადასახადის გადახდა, რომელიც შენაძენის 11%-ს შეადგენს, 3-3% კი ნოტარიუსისა და უძრავი ქონების სააგენტოს წილია.

წარმატებული კაპიტალდაბანდება

მილანისა და რომის ნორმალურ უბანში დღეისათვის კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართს 2000 ევროზე ნაკლებად ვერ შეიძენთ. უფრო იაფად, მხოლოდ საეჭვო რეპუტაციის, ან ინდუსტრიულ რაიონებში თუ დასახლდებით. ამგვარ უბნებში, თუ გაგიმართლებთ, კვადრატული მეტრი, შეიძლება, 400-500 ევროდაც კი შეიძინოთ. ანუ, თითქმის ისეთივე ფასებია, როგორიც თბილისის კარგ უბნებში.

პრესტიჟულ რაიონებში, მაგალითად, მილანის მონტე-ნაპოლეონეში კვადრატული მეტრის ღირებულება 5-6 ათას ევროს აღწევს. განსაკუთრებული სიძვირეა ტურისტულ ზონებში. მაგალითად, რომის ისტორიულ უბნებში, ვენეციის სანაპიროზე, სიცილიასა და სარდინიაზე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის ფასი 16-20 ათასი ევროა. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთში ფასს ძირითადად რეგიონის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, სამხრეთში კი საკურორტო-ტურისტული მნიშვნელობა არეგულირებს. ცხადია, გარკვეული მნიშვნელობა აქვს მშენებლობის ტიპს, სართულს და ა.შ.

ბოლო წლების განმავლობაში იტალიაში ნამდვილი სამშენებლო ბუმია და ამ ქვეყანაში უძრავი ქონების შეძენა უდავოდ წარმატებული კაპიტალდაბანდებაა. შეგიძლიათ მშვიდად იცხოვროთ ამ მშვენიერ ქვეყანაში, გააქირავოთ, ან უფრო ძვირად გაყიდოთ თქვენი საკუთრება. მაგრამ გახსოვდეთ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიღებული მოგებიდან დამატებითი გადასახადის გადახდა მოგიწევთ.

რაც შეეხება ქონების მემკვიდრეობით გადაცემას, იტალიური კანონების მიხედვით, უცხოელს, ისევე როგორც ადგილობრივ მკვიდრს, ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ ექმნება.

მზარდი ბაზარი

იტალიაში უძრავი ქონების შეძენა საკმაოდ მომგებიანი საქმეა, რადგან ადგილობრივი ბაზარი პერსპექტიულია და სწრაფად ვითარდება. ფასები სტაბილურად იზრდება, რაშიც მნიშვნელოვან როლს უცხოელი ინვესტორები, უპირატესად ამერიკელები, გერმანელები და ფრანგები თამაშობენ. ოფიციალური ინფორმაციით, მიმდინარე წლის ბოლომდე აღნიშნულ ბიზნესში უცხოელები 40 მილიონ დოლარამდე ჩადებენ.

ფასების სტაბილურ ზრდას ხელს უწყობს ზემოთ ნახსენები კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, რის შემდეგაც იტალიას უცხოელები მოაწყდნენ. ბაზარზე გამყიდველზე მეტი მყიდველი გაჩნდა.

უნდა ითქვას, რომ იტალიაში ფასები აშკარად დაბალია, ვიდრე მისებრ განვითარებულ და ანალოგიური ცხოვრების დონის სხვა ქვეყნებში. ამის მიზეზი იტალიაში სამშენებლო მასალების და ადგილობრივი მუშახელის სიიაფეა. თუმცა, არ იფიქროთ, რომ სიიაფე დაბალ ხარისხს ნიშნავს. პირიქით, იტალიური სამშენებლო ტექნოლოგიები და მანქანა-დანადგარები მთელ მსოფლიოშია განთქმული. მაგალითად, აშშ-ს სამშენებლო კომპანიების 70%-ს იტალიელები აკონტროლებენ და მათ პერსონალს იტალიელები შეადგენენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი, კაპიტალურად გასარემონტებელი შენობის შეძენა არ ღირს. საქმე იმაშია, რომ ამგვარი შენობების საფუძვლიანად, სპეციალური პროექტის მიხედვით გარემონტებას ადგილობრივი მთავრობა მკაცრად ითხოვს და, შესაძლოა, რესტავრაციის ფასმა საბაზრო ღირებულებას 2-3-ჯერ გადააჭარბოს.

მშენებლობის უპირატესობა

თავისთავად ცხადია, განსაკუთრებით მომგებიანია მშენებარე ობიექტებში კაპიტალდაბანდება, ან კიდევ მიწის ნაკვეთის შეძენა და შემდგომი რეალიზაციისათვის ინდივიდუალური პროექტით მშენებლობის წამოწყებაა. ამგვარი ინვესტიციის აშკარა უპირატესობა, მეორად ბაზართან შედარებით, კვადრატული მეტრი ფათობის სიიაფე, მშენებლობის ღირებულების სრული კონტროლის შესაძლებლობა და მშენებლობის დასრულების შემდეგ ფასის ზრდა გახლავთ. გარდა ამისა, მომგებიანია მიწის ნაკვეთის შეძენა და შემდგომ მისი იჯარით გაცემაც.

იტალიაში მიწის ნაკვეთის ფასი დამოკიდებულია მის ადგილმდებარეობასა და მშენებლობისათვის განკუთვნილ ფართობზე. განსაკუთრებით ძვირია მიწა საკურორტო და ტურისტულ რეგიონებში და დიდი ქალაქის ცენტრებში. ამგვარ ადგილებში ერთი კვადრატული მეტრი მიწის ფასმა პროექტის დამტკიცების, საავტორო უფლებების დამოწმების და გადასახადების ჩათვლით, 1200-დან 2000 ევრომდე მერყეობს. ნაკლებად პრესტიჟულ რეგიონებში ფასი 800-დან 1200 ევრომდეა, ხოლო, ე.წ. "ცუდ" უბნებში 500-დან 800 ევრომდე. მხოლოდ, ცუდიცაა და ცუდიც, ნამდვილად არ ღირს მიწის ნაკვეთის შეძენა და მშენებლობის წამოწყება ისეთ უბნებში, სადაც ბალკანელი ლტოლვილები სახლობენ. ამგვარი აპენინებზე საკმაოდ ბევრია და მათ მეზობლად ბინის შეძენას ყველა თავს არიდებს.

იტალიაში მიწის ნაკვეთის შესყიდვის მსურველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პროექტის წარდგენის და მშენებლობის დაწყების ვადებში შეზღუდული იქნება. ადგილობრივი მთავრობა, როგორც წესი, მშენებლობის ოპერატიულად დაწყებას და, შეძლებისდაგვარად, სწრაფად დამთავრებას ითხოვს. ესეც რომ არ იყოს, მშენებლისათვის უმჯობესია საქმეს დროულად შეუდგეს, რადგან იტალიელებს კანონებში ხშირად ცვლილებები შეაქვთ და, შესაძლოა, უეცრად მშენებლობისათვის დაშვებული ფართობის რაოდენობა შეამცირონ, რაც მიწის ნაკვეთის ფასის კატასტროფულ ვარდნას გამოიწვევს.

რუსული გაზი, ევროპის ნაცვლად, ჩინეთს

ალექსეი მილერი

რუსეთი მზად არის ახალი გაზსადენი ააშენოს და ჩინეთს წელიწადში 60-80 მილიარდი კუბური მეტრი გაზი მიაწოდოს. ამგვარი განცხადება გააკეთა გუშინ პეკინში მყოფმა ვლადიმირ პუტინმა. პრეზიდენტის თანმხლებმა, გაზპრომის თავკაცმა ალექსეი მილერმა კი დაამატა, რომ ჩინეთი რუსულ გაზს დაახლოებით ხუთ წელში საერთაშორისო ფასებით მიიღებს.

ამავე დროს, საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს აღმასრულებელმა დირექტორმა კლოდ მანდილმა განაცხადა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ რუსული გაზი ევროპული ქვეყნების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ იქნება და უმსხვილესი ექსპორტიორი გაფორმებული კონტრაქტების შესრულებას ვეღარ შეძლებს.თებერვალში გაზექსპორტმა გასული წლის განმავლობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ გაზის მიწოდების 3,5 პროცენტით, 154,3 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდის შესახებ განცხადება გააკეთა. 110 მილიარდი დასავლეთ ევროპისათვის იყო განკუთვნილი. თუმცა, მიმდინარე წლის დასაწყისში უკრაინასთან შექმნილი პრობლემების გამო ევროპისათვის გაზის მიწოდების მოცულობამ იკლო.

ნავთობი უნდა გაიაფდეს

კლოდ მანდილი

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორის კლოდ მანდილის პროგნოზით მალე ნავთობზე ფასის კლება მოსალოდნელი. მისი თქმით, გარკვეული პრობლემების გამო გაზრდილი ფასი დიდხანს ვერ შენარჩუნდება, რადგან იგი თვითღირებულებაზე ბევრად მეტია და ბაზარიც ნორმალურად მარაგდება.

ამასთან, მანდილმა აღნიშნა, რომ უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში ნავთობის მოპოვება ამჟამინდელი 2 მილიონი ბარელიდან 3 მილიონამდე მოიმატებს და თანაც გაიზრდება გადამამუშავებელი სიმძლავრეც. ეს კი საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს წევრებს, ირანიდან ნავთობის იმპორტის შეფერხების შემთხვევაში, პრობლემების თავიდან აშორების საშუალებას მისცემს.

ირანში ნავთობის ბირჟა გაიხსნა

ირანში დღეს პირველი არაბული ნავთობის ბირჟა გაიხსნა. ტელეკომპანია НТВ-ს ინფორმაციით, ნიუიორკელი და ლონდონელი კონკურენტებისგან განსხვავებით, ირანელები ყველა მოლაპარაკებას ევროებში აწარმოებენ. საწვავის ადგილობრივი ექსპორტის მესამედი სწორედ ევროპაზე მოდის, რის გამოც გადახდის ახალ ფორმაზე გადასვლას თეირანში ლოგიკურს უწოდებენ. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს რომ, აშშ დოლარზე უარის თქმა, დიდ ზარალს მიაყენებს ამერიკას, რამაც შესაძლოა, დოლარის კურსის სწრაფი დაცემა გამოიწვიოს. რუსი ანალიტიკოსები აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ირანის წილი მსოფლიო ნავთობბაზარზე, სულ რაღაც, ხუთი პროცენტია. ამასთან, დანარჩენმა იმპორტიორებმა, ადვილად შესაძლებელია, არ დაუჭირონ მხარი თეირანის ინიციატივას, რაც იმას ნიშნავს, რომ ირანული ინიციატივა დღის წესრიგიდან ამოვარდება.

აშშ-ს ბირჟაზე ინდექსთა კლება დაფიქსირდა



ბენ ბერნანკე

გუშინ აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა ძირითადი ინდექსების კლებით დაიწყო. ამის მიზეზი ტექნოლოგიური სექტორის გიგანტის Oracle Corp.-ის ხელმძღვანელობის მიერ გაყიდვების შესახებ გაკეთებული ინვესტორებისათვის არადამაიმედებელი განცხადება გახდა. ამასთან, ფედერალური სარეზერვო სისტემის თავკაცმა ბენ ბერნანკემ განაცხადა, რომ აშშ-ში საპროცენტო განაკვეთების ზრდა მალე დასრულდება.

Standard & Poor's 500 Index 1,9 პუნქტით შემცირდა, Dow Jones 1,2-ით, Nasdaq კი 2,5 პუნქტით. ექსპერტთა თქმით, ორშაბათს დაფიქსირებული მატების შემდეგ ამგვარი მცირე კლება მოსალოდნელიც იყო. აშშ-ს შრომის მინისტრმა კი განაცხადა, რომ თებერვალში მწარმოებელთა ფასების ინდექსი 1,4 პროცენტით გაიზარდა. ეს არ ეხება კვების პროდუქტებსა და ენერგობაზარს, სადაც პირიქით 0,3 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა.







"ვოლვომ" ჩინეთს მიაშურა

საავტომობილო კომპანია "ვოლვო" თავის კონკურენტებთან შედარებით, ცოტა გვიან, მაგრამ მაინც იწყებს ჩინეთში თავისი პროდუქციის წარმოებას. შვედური ფირმა, რომელიც "ფორდის" განყოფილება გახლავთ, წელიწადში 10 ათას სედანს ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ქალაქ ჩუნცინში გამოუშვებს.

მეტად მზარდ ჩინურ ბაზარზე უკვე მყარად მოიკიდეს ფეხი მსოფლიოს წამყვანმა ავტომწარმოებლებმა. ამ ქვეყანაში უკვე აქვთ არხები "ფოლკსვაგენს" და "ბმვ"-ს. "დაიმლერკლაისლერი" კი პეკინის მახლობლად "მერსედესის" მწარმოებელ ქარხანას აშენებს.



სამი უდიდესი ენერგოორგანიზაციის გაერთიანება გადაიდო

სამი უდიდესი ენერგოორგანიზაციის გაერთიანების საკითხი აპრილის ბოლოსთვის გადაიდო. როგორც საქართველოს საწარმოთა მართვის სააგენტოში განაცხადეს, გუშინ გაზის საერთაშორისო კორპორაციის აქციონერთა კრება უნდა ჩატარებულიყო, თუმცა საკითხების მოუმზადებლობის გამო, კრების ჩატარება 20 აპრილისთვის გადაიდო. სააგენტოში აცხადებენ, რომ 20-დან 25 მარტამდე სამივე ორგანიზაციაში იგეგმებოდა აქციონერთა კრებების ჩატარება, სადაც გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მიღებული. "რადგან სამივე ორგანიზაციაში აქციონერთა კრებების ჩატარება 20 აპრილისთვის გადაიდო, შესაბამისად, ორგანიზაციების გაერთიანების საკითხსაც აპრილის ბოლოსთვის განიხილავენ," -განაცხადეს სააგენტოში.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, "საქნავთობი", გაზის საერთაშორისო კორპორაცია და ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია ერთიანდება, რომლის ხელმძღვანელად გაზის საერთაშორისო კორპორაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი დავით ინგოროყვა მოიაზრება. **ინტერპრესნიუსი.**

სარკინიგზო გადაზიდვების მოცულობა გაიზარდა

ირაკლი ეზუგბაია

2006 წლის თებერვალში საქართველოს რკინიგზით მილიონ 569 ათასი ტონა ტვირთია გადაზიდული, რაც გეგმის 107 პროცენტს შეადგენს და 2005 წლის მონაცემებს 447 ათასი ტონით აღემატება. როგორც "საქართველოს რკინიგზაში" განაცხადეს, 2006 წლის თებერვლის მონაცემებით, ტვირთბრუნვის მაჩვენებელი 537 მლნ.ტ.კმ-ია და გეგმის 108 პროცენტს შეადგენს. 2005 წლის მაჩვენებელთან შედარებით, გასული წლის მონაცემები 157 მლნ.ტ.კმ-ით მეტია.

თებერვალში საქართველოს რკინიგზით 1 მლნ. 45 ათასი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტებია გადაზიდული. აღნიშნული მაჩვენებელი გეგმის 108 პროცენტს შეადგენს და 2005 წლის მონაცემებს 371 ათასი ტონით აღემატება.

2006 წლის თებერვალში საქართველოს რკინიგზით 524 ათასი ტონა მშრალი ტვირთი იქნა გადაზიდული, რაც გეგმის 105 პროცენტს შეადგენს. 2006 წლის იანვრის მაჩვენებელი 76 ათასი ტონით მეტია 2005 წლის აღნიშნულ პერიოდთან შედარებით. საქართველოს რკინიგზაზე მგზავრთნაკადი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თებერვალში 286 ათასი მგზავრია გადაყვანილი. 2005 წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით წელს 28 ათასი მგზავრით მეტი იქნა გადაყვანილი. სატვირთო გადაზიდვებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 20 მლნ. 400 ათასი ლარი შეადგინა, რაც 5 მლნ. 676 ათასი ლარით აღემატება 2005 წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელს. 2006 წლის თებერვალში სამგზავრო გადაზიდვებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 995 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 296 ათასი ლარით აღემატება. **ინტერპრესნიუსი.**

ამინდი

	22/03	23 /03	24 /03
კიევი	2	1	1
რიგა	-1	1	-2
ვილნიუსი	-2	0	-3
მოსკოვი	-4	-7	-2
მინსკი	-3	-1	-1
პარიზი	2	5	7
რომი	17	14	11
ლონდონი	15	12	10
მადრიდი	10	6	10
ბონი	3	6	7
ვარშავა	-1	6	-2
ათენა	17	18	19
ბერნი	8	11	13
ამსტერდამი	1	0	0
ოსლო	-2	-9	-3
ანკარა	20	21	12
ვარნა	13	12	11
დელი	34	35	35
ტოკიო	16	13	19
კოპენჰაგენი	-5	-5	-2
ბაქო	15	17	20
ერევანი	17	20	21
ასტანა	-1	-7	6
ჰელსინკი	-10	-6	-13
პრაღა	-3	-1	-3
სოფია	15	13	10
ბუდაპეშტი	10	1	9
ბუხარესტი	15	12	11
ვენა	15	13	16

ბათუმის ბიუჯეტს ჩინოვნიკები სუბიექტური მოსაზრებით ხარჯავენ

ემზარ დიასამიძე

არასამთავრობო ორგანიზაციები ბათუმის ბიუჯეტის გაუმჭვირვალობაზე, თანხების დაუსაბუთებელ, არაკანონიერ ხარჯვაზე საუბრობენ. მათი განცხადებით, მოსახლეობის კუთვნილი თანხების დიდ ნაწილს - 15 მილიონამდე ლარს - ჩინოვნიკები სუბიექტური მოსაზრებით ხარჯავენ. ბიუჯეტის სახსრებით გაკეთებულ საქმეს კი პოლიტიკოსები ხშირად ქულების ჩასაწერად იყენებენ.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალაცია "ანტიკორუფციული სამოქალაქო ინიციატივა" ქალაქ ბათუმის ბიუჯეტის მონიტორინგს ახორციელებს. მათი გამოკვლევებით ბიუჯეტის შედგენისა და ხარჯვის დროს არაერთი დარღვევაა დაფიქსირებული. გაურკვეველია ბიუჯეტის შედგენის პრინციპი. "ბიუჯეტს მერიის შესაბამისი სამსახურები უნდა ადგენდნენ. ამ შემთხვევაში კანონმდებლობა, პრაქტიკულად, გვერდზეა გადადებული. შემოიღეს დებულება, რომლის მიხედვითაც ბათუმის ბიუჯეტს, ამ ეტაპზე, აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს ტერიტორიული საფინანსო სამსახური ადგენს. ასე ხდება აჭარის ყველა რაიონში. რაიონის თუ ქალაქის ბიუჯეტის შედგენას დაბალი დონის ხელისუფლებას არ ანდობენ. ბიუჯეტს წინასწარ განიხილავს არა მერია, არამედ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. ადგილობრივი თვითმართველობა და მმართველობა ბიუჯეტს საერთოდ არ განიხილავს. ქალაქის საკრებულომ წლევანდელი ბიუჯეტი 40 წუთში დაამტკიცა", - აცხადებს კოალიციის ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, ზაზა გორგაძე.

ბათუმის ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით 2,7 მილიონით გაიზარდა და 26,7 მილიონს მიაღწია. ამ თანხიდან 19 მილიონი საბინაო-კომუნალური სახის ღონისძიებებზე იხარჯება. აქ შედის ქალაქის კეთილმოწყობა: წყალგაყვანილობა, დასუფთავება, გარეგანათების მოწესრიგება თუ ფასადების შეღებვა. გორგაძის თქმით, ბიუჯეტის ეს ნაწილი ბუნდოვანია. "4 მილიონი ლარი - ბიუჯეტის 16%-ი პროგრამულ დაფინანსებაზეა გაწერილი და ეს ნაწილიც ფორმალურ ხასიათს ატარებს. როგორ, როდის და რომელ ქუჩებზე უნდა შესრულდეს სამუშაოები რეალურად გაწერილი არ არის. დანარჩენ 15 მილიონს, რომელშიც შედის ფასადების რეაბილიტაცია, გზები, გარეგანათებები და ა.შ. პროგრამული, დაგეგმილი ხასიათი არ აქვს. ეს ყველაფერი, პირველ რიგში, თანხების სუბიექტურად ხარჯვას უკავშირდება. ამ თანხების პროგრამულ დაფინანსებაში მოქცევაზე უარი ალბათ იმიტომ თქვეს, რომ ნებისმიერ დროს იყოს შესაძლებელი თანხების შეკვეცა, გაზრდა ან სხვა პროექტებზე გადატანა".

კოალიციის წევრი ორგანიზაციის, "დემოკრატიული ინსტიტუტის" ხელმძღვანელი, გენო გელაძე ბიუჯეტის გაუმჭვირვალობაზე საუბრობს: "ბიუჯეტის დაგეგმვის და დამტკიცების პროცესში მოსახლეობა არ არის ჩართული. ბიუჯეტი უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული. ვთქვათ, ლიფტებს, ან სახურავებს აკეთებენ, ფასადებს ღებავენ, მაგრამ რა რაოდენობის სამუშაო სრულდება და სად, არსად წერია. ე.ი. ვინც მოასწრებს, იმის ლიფტს აკეთებენ."

საბიუჯეტო ხარჯების საეჭვო ხარჯვაზე საუბრობს იურისტი ემზარ პაქსაძე. მას ეჭვი აქვს, რომ ხდება კორუფციული გარიგებები. ეს განსაკუთრებით ფასადების შეღებვას ეხება. "ქალაქის შენობა-ნაგებობების ფასადების შეღებვა, (კვადრატული მეტრი) 14 ლარი ღირს (ბათუმის სკოლების რემონტის დროს გარე კედლების შეღებვა 6,5 ლარით განისაზღვრა - ავტ.). ბარათაშვილის ქუჩაზე ეს ციფრი რატომღაც 2,5 ლარით იზრდება. რატომ? პასუხი არ არსებობს." პაქსაძე საბიუჯეტო სახსრების პოლიტიკური მიზნებით გამოყენებაზეც საუბრობს. "წინაასაარჩევნო შეხვედრების დროს, ჯემალ ინაიშვილი ჩვენს უბანს მინი-სტადიონის გაკეთებას დაჰპირდა. სტადიონი მართლაც გაკეთდა, მაგრამ, როგორც მერე აღმოვაჩინეთ, ის ბიუჯეტში იყო ჩასმული და ინაიშვილმა მიიწერა. უფასო სასადილოებს თითქოს "ნაციონალური მოძრაობა" ხსნის, მაგრამ ამ საქმისთვის, ქალაქის ბიუჯეტიდან სოლიდური თანხებია გამოყოფილი. პოლიტიკოსები ან ბიუჯეტის ხარჯებით იწერენ ქულებს, ან ორმაგ დაფინანსებასთან გვაქვს საქმე".

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახურის ხელმძღვანელი, ეკა თარგამაძე აღნიშნავს, რომ მისასალმებელია ის ფაქტი, როცა წინა წელთან შედარებით (ბიუჯეტი 6 თვის დაგვიანებით მიიღეს) საფინანსო დოკუმენტი დროულად იქნა მიღებული. რაც შეეხება ხარვეზებს: "პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლა ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ვახორციელებთ პროექტს "ფინანსური მენეჯმენტი და პროგრამული ბიუჯეტი". ბიუჯეტში პროგრამების ხვედრითი წილი მომავალში მნიშვნელოვნად მოიმატებს. ჩვენი სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა მიზნობრივი პროგრამების ფორმები. ამავე დროს კვარტალური და წლიური ანგარიშგების ფორმები, რომელიც განსახილველად საკრებულოს სხდომაზე იქნება წარდგენილი. აქ ჩადებულია მონიტორინგის ელემენტიც. ეს არის ნიადაგი, რომელიც მზადდება 2007 წლის ბიუჯეტისათვის".

ბანკებს საზედამხედველო კაპიტალის 12 მილიონამდე შევსება 2007 წლის პირველ ივლისამდე მოუწევთ

საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს საზედამხედველო კაპიტალის 12 მილიონ ლარამდე შევსება 2007 წლის პირველ ივლისამდე მოუწევთ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე საქართველოში მოქმედი იმ კომერციული ბანკების ხელმძღვანელებს შეხვდა, რომელთა საზედამხედველო კაპიტალი 12 მილიონ ლარზე ნაკლებია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბანკები აკმაყოფილებენ ეროვნული ბანკის დღეს არსებულ მოთხოვნას კაპიტალის მიმართ, რომან გოცირიძემ მათ ეროვნული ბანკის ინიციატივა გააცნო - კომერციულ ბანკებმა საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 12 მილიონ ლარამდე 2007 წლის პირველი ივლისისათვის უნდა გაზარდონ.

შეხვედრას ასევე დაესწრნენ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ეკატერინე გალდავა და საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალია.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ეროვნულ ბანკში განუცხადეს, საზედამხედველო კაპიტალის მაჩვენებლის ზრდა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილებით რეგულირდება. დღეს არსებული გრაფიკის მიხედვით, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 12 მილიონ ლარამდე მხოლოდ 2008 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უნდა გაეზარდათ.

"ამ ნორმის გადახედვა და გრაფიკის შემჭიდროებულ ვადაში შესრულება რამდენიმე ფაქტორმა გაანაპირობა. მათ შორის მთავარია ის, რომ საქართველოს კომერციული ბანკების აბსოლუტურ უმრავლესობას ეს ნორმატივი უკვე შესრულებული აქვს," - განუცხადა "ინტერპრესნიუსს" ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ.

გოცირიძეს იმედი აქვს, რომ აღნიშნული ნორმატივის ცვლილება არ დააზარალებს საქართველოს საბანკო სისტემას, რადგან მისი შემადგენელი ბანკები საკმაოდ სტაბილურ ფინანსურ ინსტიტუტებად ჩამოყალიბდნენ. შესაბამისად, მათ არ გაუჭირდებათ საზედამხედველო კაპიტალის შესავსებად აუცილებელ ღონისძიებათა პაკეტის შემუშავება.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განმარტებით, აღნიშნულ ინიციატივას საფუძვლად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციებიც დაედო. **ინტერპრესნიუსი.**

საქართველოს ბაზარზე ორი უდიდესი ფრანგული კომპანია შემოვა

ირაკლი ჩოგოვაძე

მიმდინარე წელს საქართველოს ბაზარზე ორი უდიდესი ფრანგული კომპანია შემოვა, რომლებიც მშენებლობისა და მექანიკა-მანქანათმშენებლობის დარგში უმნიშვნელოვანეს ინვესტიციებს განახორციელებენ. ამის შესახებ ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ ქვემო ქართლის რეგიონში ბიზნესმენებთან შეხვედრისას განაცხადა. მისივე განმარტებით, სერიოზული ინტერესია ქუთაისში თანამედროვე ტიპის ახალი აეროპორტის მშენებლობაზე, სადაც დაახლოებით 30 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციაა დაგეგმილი. საქართველოში ასევე შემოვა გერმანულ-აზერბაიჯანული კომპანია, რომელსაც რუსთავის რეგიონში ავეჯის ქარხნის აშენება სურს. ამასთან, მისი პროდუქცია არამარტო ამიერკავკასიის, არამედ ევროკავშირის ბაზარსაც დააკმაყოფილებს.

"სამშენებლო სფეროში ძალიან მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს. წელს ახალი საფინანსო-საბანკო კანონის შემოღებას ვაპირებთ, რომელიც მშენებლობის სფეროში მუშაობას მნიშვნელოვნად გაადვილებს," - განაცხადა ჩოგოვაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი.**

საპრივატიზაციო ნუსხაში უძრავი ქონების ობიექტები ლიდერობს

აშკარად გამორჩეულია აჭარაში გასაყიდად გამოტანილი ქონების ღირებულება და ობექტების დიდი რაოდენობა. მალე აჭარაში მზარდი განვითარებადი ბაზარი აღმოცენდება.

თინა შავაძე

საქართველოში სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემა გრძელდება. გასულ წელს საპრივატიზაციოდ შერჩეულ 1235 ობიექტზე აუქციონი ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 92 ობიექტის გაყიდვა იგეგმება. დადგენილი წესით, კონკურსის შედგები და 92 მესაკუთრის ვინაობა მაისის დასაწყისში გაირკვევა.

ეკონომიკის სამინისტროს მიერ, დარგების მიხედვით გაკეთებული კლასიფიკაციით, ყველაზე ბევრი - 722 ობიექტი, რომელთა გაყიდვა ჯერჯერობით გადაიდო, უძრავი ქონების სექტორშია. დანარჩენი სექტორების პოზიციები ასე გადანაწილდა: მრეწველობა - 22 ობიექტი, სათბობენერგეტიკა - 75, სოფლის მეურნეობა - 64, მშენებლობა - 43, ვაჭრობა - 21, ტურიზმი - 45, ჯანდაცვა - 39, კავშირგაბმულობა - 6, ტრანსპორტი - 29, განათლება-კულტურა - 29, სპორტი - 4, წყალმომარაგება, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურება - 11, სხვა არაკლასიფიცირებული - 124, მოძრავი ქონება - 1.

გასაყიდად გამოტანილი ობიექტებიდან ყველაზე მიმზიდველია მსხვილი ენერგობიექტები. თუმცა, საინტერესოა ისიც, თუ რა იყიდება რეგიონებში და რა არის მათი საწყისი ღირებულება. აშკარად გამორჩეულია აჭარაში გასაყიდად გამოტანილი ქონების ღირებულება და ობიექტების დიდი რაოდენობა. ეს არცაა გასაკვირი. აჭარაში, ფაქტობრივად, ორი წლის წინ, ცნობილი მოვლენების შემდეგ დაიწყო პრივატიზაციის პროცესი. ამის მიუხედავად, არსებული კონკურენციის პირობებში ობიექტების საწყისი ღირებულებიდან ჩანს, რომ მალე აჭარაში მზარდი განვითარებადი ბაზარი აღმოცენდება. ამ ეტაპზე, ძირითადად, ბათუმში განლაგებული შენობა-ნაგებობები იყიდება. არსებული მდგომარეობის შესაფასებლად რამდენიმე მაგალითი გამოდგება. ბათუმის სანაპირო ზოლში იყიდება ყოფილი მე-10 ტრესტის შენობა (ორსართულიანი კაპიტალური შენობა;

საერთო ფართი - 1343,87 კვ.მ. დაკავებული მიწის ფართი - 1478 კვ.მ.), რომლის საწყისი ღირებულება 600 000 დოლარია; შპს "ტერმინალ-99"-ის ყოფილი ადმინისტრაციული შენობა (საერთო ფართი - 1436,2 კვ.მ.; სამსართულიანი კაპიტალური შენობა; მიწის ფართის სიდიდე 562,35 კვ. მ), საწყისი გასაყიდი ფასით 450 000.00 აშშ. დოლარი; არასაცხოვრებელი ფართი (ქ. ბათუმი, კოსტავას ქ. №6. საერთო ფართი - 247,97კვ.მ.; ორსართულიანი კაპიტალური შენობის ნაწილი; დაკავებული მიწის ფართი - 79კვ.მ.) - საწყისი გასაყიდი ფასი 100 000.00 აშშ. დოლარი.

დანარჩენი რეგიონებიდან რამდენიმე ობიექტია გამოტანილი. სამეგრელოს რეგიონში ზოგიერთი არასაცხოვრებელი ფართის ღირებულება თითქმის უტოლდება საწარმოს საწყის ღირებულებას. მაგალითად, ქალაქ ზუგდიდში იყიდება არასაცხოვრებელი ფართი 300.000 დოლარად. შენობის ფართი 324 კვადრატული მეტრია, მიწის ფართი 154 კვ.მ.

თუმცა, არის ისეთი ობიექტებიც, როგორიც თეთრიწყაროს რაიონში მდებარე შპს "დურნუკის ღორღის ქარხანაა". ქარხნის საწყისი გასაყიდი ფასი 350 000.00 აშშ. დოლარია. მისი საქმიანობის სფეროა სალიანდაგო და სამშენებლო ღორღის, ქვიშის, ქვის ფქვილის, ხრეშის დამზადება-რეალიზაცია; ლითონკონსტრუქციების დამზადება და რეალიზაცია; სატრაქტორო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება. (საწარმოს შენობა-ნაგებობების საერთო რაოდენობა - 17, საერთო ფართი - 2842 კვ.მ; მათ შორის, საწარმოო ფართი - 2827,6 კვ.მ.; დამხმარე შენობა-ნაგებობების ფართი - 639,3 კვ.მ.; სამეურნეო ფართი - 375,3 კვ.მ.; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი - 100 000 კვ.მ. მიწის ფართის სიდიდე - 100 000 კვ.მ.)

ისეთ რეკრეაციულ ზონაში, როგორიც ბორჯომის ხეობაა, ბიზნესისთვის პერსპექტიულ ობიექტებს შესაფერისი ღირებულება ჯერ კიდევ არ შეუძენია. ქ. ბორჯომში მშენებარე სამგზავრო ბაგირგზა - "მთის ხეობა-პლატო-თორი"-ს მშენებარე სადგურის საწყისი გასაყიდი ფასი 18960 აშშ დოლარია.

შპს "აჭარის ელექტროკავშირი" აცხადებს აუქციონს

2006 წლის 25 აპრილს გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ძირითადი საშუალებები

ლოტი	ობიექტის დასახელება და მისამართი	საწყისი სარეალიზაციო ღირებულება ლარი	ბეს ოდენობა ლარი	ბიჯი - ლარი	ობიექტის დახასიათება	მესაკუთრე
1	ვტომანქანა BMW535	6012	600	50	გამოშვების წელი	შპს "აჭარის ელექტროკავშირი"
2	ლიფტი	1300	130	20	დაუკომპლექტებელი	შპს "აჭარის ელექტროკავშირი"
3	ლიფტი	1300	130	20	დაუკომპლექტებელი	შპს "აჭარის ელექტროკავშირი"

eleqtro ??/

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2006 წლის 24 მარტიდან 2006 წლის 23 აპრილის ჩათვლით 10 საათიდან 13 საათამდე (ქ. ბათუმი, მ.აბაშიძის ქ.N33-ში, შპს "აჭარის ელექტროკავშირი"-ს ადმინისტრაციულ შენობაში).

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში **მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბე მონაწი-ლის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე:
სს "გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს ბათუმის ფილიალი, კოდი 220101655, ა/ა203407.

M მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს თანხა არ დაუბრუნდება.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ

აუქციონი გაიმართება 2006 წლის 25 აპრილს 10 საათზე, ქ.ბათუმი, მ.აბაშიძის ქ.N33-ში, შპს "აჭარის ელექტროკავშირი"-ს ადმინისტრაციულ შენობაში.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი:

ბ) "ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი:
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი:
დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ ის მოქმედებს სხვა პირის სახელით:

ე) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმები

აუქციონში Gგამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ:

ქ. ბათუმი, მ.აბაშიძის ქ.N33-ში, შპს "აჭარის ელექტროკავშირი"-ს ადმინისტრაციულ შენობაში, მეორე სართული დირექტორის მოადგილე ზურაბ გოგიბერიძე.
ტელეფონი: 7 22 01

გამყიდველი შპს "აჭარის ელექტროკავშირი"

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის განათლების, კულტურისა და სპორტის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ღია ორ ეტაპიან ტენდერს ქ.ბათუმის შესახებ წიგნი-ალბომის შედგენის ინტელექტუალური მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს ერთი თვე.

3. დაინტერესებულმა პირებმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

გ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის პირის რეგისტრაციის შესახებ.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ბ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

გ) ინფორმაცია მუშა ჯგუფის კვალიფიკაციის შესახებ

დ).ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

ე) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები. (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე.

7. ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე;

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონცემებთან ერთად ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი უნდა იქნას შესასრულებელი მომსახურეობის ზოგადი მონაცემები ვრცელი გეგმის სახით:

ა) წიგნი-ალბომის თეორიული ნაწილის კონკრეტული გეგმა;

ბ) მიზნობრივი ფოტო-ილუსტრაციის ჩამონათვალი;

გ) ბათუმის წარსულისა და დღევანდელობის ამსახველი გენერალური განაშენიანების, არქიტექტურული ღირებულებების პროექტების ასახვა;

დ) გზამკვლევი რუკები.

ზემოთაღნიშნული გეგმა არ ზღუდავს ტენდერში მონაწილეს დამატებითი შემოთავაზებებისაგან.

8. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 12 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, განათლების, კულტურისა და სპორტის ადგილობრივი სამსახური.

9. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის განიხილება კომისიის მიერ. მიღებული დასკვნები წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

10. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია გამოავლენს მხოლოდ ერეთ გამარჯვებულს.

12. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაცია მიიღება 2006 წლის 11 აპრილამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიერ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000130401, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ. მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

13 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან ბიძინა ნიგალიძე. ტელ: 7-26-18, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

სატენდერო კომისია

განცხადება ღია ტენდერის გამოცხადების შესახებ

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ღია ტენდერს 1 ლოტად სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

ლოტი №1 - მახინჯაურის რკინიგზის ვაგზლის მშენებლობა

1) სამუშაოს შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

2) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს გადეაეცემა სატენდერო დოკუმენტაცია, რომელშეც დაწვრილებით იქნება გადმოცემული ობიექტის მახასიათებლები, ტექნიკური მაჩვენებლები და ნახაზები და ა.შ., ასევე ძირითადი მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

3) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 11 და 12 აპრილს 900 საათადან 1800 საათამდე , ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისათვის;

ა) ნოტარიულად დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმოწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო ძირითადი მანქანა
- მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ.
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ
- ბოლო 5 წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები,აუდიტორიული დასკვნები და ა.შ.)
- ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ.

სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის სახით სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტია.

დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში. საკონტაქტო ტელეფონები 563351,

სატენდერო კომისია.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილწყალკანალი" აცხადებს ღია ტენდერს ჟინვალჰესის კომპლექსური ჰიდროკვანძის ზედაპირული უქმი წყალსაშვის და ჟინვალჰესის კაშხლის საცემენტაციო გალერიის საცემენტაციო სამუშაოებზე, და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს შესაბამისი ლიცენზიისა და ანალოგიური სახისა და მოცულობის სამუშაოს შესრულების არანაკლებ 5 წლის გამოცდილების მქონე ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას.

ჟინვალის კომპლექსური ჰიდროკვანძი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, დუშეთის რაიონი, დაბა ჟინვალი, თბილისის ჩრდილოეთით 60კმ მანძილზე. ჟინვალჰესის უქმი წყალსაშვი განლაგებულია კაშხლის გასწორში, მდ. არაგვის ხეობის მარცხენა ფერდობზე, ხოლო საცემენტაციო გალერეა მდებარეობს კაშხლის ფსკერულ ნაწილში.

ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-ვლადიკავკაზის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალით.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს უქმი წყალსაშვის გამორეცხილი უბნების ბურღვითი სამუშაოების ჩატარებას და ამ უბნების შევსებას. პირველ რიგში შევსებას ცემენტის ხსნარით თვითდენით, ხოლო მეორე ეტაპზე ბურღილებში ხსნარის დაჭირხვნას. ანალოგიური სამუშაოები ჩატარდება ჟინვალჰესის კაშხლის საცემენტაციო გალერეაში.

ცემენტაციის სამუშაოთა წარმოების პროცესში დაცული უნდა იქნეს CH♡ო 3,02,01-83-ის და ქვემოთ მოყვანილი მოთხოვნები:

- როგორც წესი, ცემენტაციის სამუშაოები წყლის წნევის გავლენის სფეროში სრულდება წყალსაცავის დაბალ ნიშნულზე, წყალსაცავის 800.00 მ ნიშნულამდე შევსებამდე, რის საფუძველზედაც განისაზღვრება სამუშაოთა შესრულების პერიოდი;
- სამუშაოები სრულდება წყალსაგდების ჰორიზონტალური ნაწილის ძირის ბეტონის ფილის დატვირთვის ქვეშ, მისი შემოწმებით ცემენტის ხსნარის გაუჟონადობაზე;
- ცემენტაციის ყველა ფენის (ზონის) დამთავრების შემდეგ ბურღილები იხურება ხსნარით;
- საკონტროლო შემოწმება სრულდება ჭაბურღილების დაბურღვით, ჰიდრავლიური მეთოდით და საკონტროლო ბურღილების ცემენტაციით, აგრეთვე გეოფიზიკური მეთოდით გრუნტის დეფორმაციული თვისებების განსაზღვრის საფუძველზე;
- საკონტროლო ბურღილების მოცულობა უნდა შეადგენდეს 5-10% მუშა მოცულობის;
- გამამაგრებელი ცემენტაციის სამუშაოები ითვლება დამაკმაყოფილებლად, თუ საკონტროლო ბურღილებში ხვედრითი წყალშთანქმის საშუალო სიდიდე დასაშვები გადახრებით აკმაყოფილებს პროექტის მოთხოვნებს ან უბნის გრუნტისათვის მიღწეულ ხვედრითი წყალშთანთქმის მნიშვნელობას.

წყალსაცავის შევსების გრაფიკზე პროცესების ზემოქმედების შემთხვევაში სამუშაოები შეიძლება დაიყოს ეტაპებად.

2. სამუშაოთა შესრულების სავალდებულო ვადა - არაუგვიანეს 2006 წლის 25 მაისისა;

3. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას დალუქულ კონვერტებში, ქართულ ენაზე, 2006 წლის 12 აპრილის, 12.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახ. N33, მე-2 სართული, შპს "თბილწყალკანალი", შესყიდვების სამსახური;

4. საკვალიფიკაციო მონაცემთა დასადასტურებლად, წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ინფორმაცია უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ;
- ცნობა იურიდიული პირის მფლობელობაში არსებულ აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი ტექნიკური საშუალებების შესახებ.

5. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით;

პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ მის მიერ წარმოდგენილი არ იქნება წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილი ყველა ცნობა და ინფორმაცია, ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი;

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია 200 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 11 აპრილის, 17.00 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახ. N33, მე-2 სართული, შპს "თბილწყალკანალი", შესყიდვების სამსახური;

სატენდერო მოსაკრებლის ჩაირიცხვის რეკვიზიტებია:
მიმღები:
შპს "თბილწყალკანალი";
ს/კოდი: 203826002;
ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 2200101502.

7. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ შემდეგი პირებისაგან:

ა) სატენდერო პროცედურებთან დაკავშირებით - ზურაბ ღონღაძე, ტელ/ფაქსი.: 93-28-25; ელ.ფოსტა: zgongadze@TWU.Water.ge

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი
დაცული ტერიტორიების შესახებ დოკუმენტური ფილმებისა და სარეკლამო რგოლების მომზადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს გარემოს გლობალური ფონდისა და მსოფლიო ბანკის საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის (GEF TF 023968 GE) განმახორციელებელ სააგენტოს და რომლის მიზანია, საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვა და კონსერვაციის პოტენციალის ამაღლება, აცხადებს კონკურსს დაცული ტერიტორიების შესახებ დოკუმენტური ფილმებისა და სარეკლამო რგოლების მომზადებაზე.

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის კომპანიებს, რათა გამოხატონ კონკურსში მონაწილეობის ინტერესი. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. ფირმის მსგავსი სამუშაოს შესრულების გამოცდილება;
2. შემოთავაზებული პერსონალი, მათი კურიკულუმ ვიტა;
3. ფილმებისა და სარეკლამო რგოლების მოსამზადებლად საჭირო სრული ტექნიკური აღჭურვილობის სია ქართულ ენაზე.

შესასრულებელი სამუშაოები

1. სატელევიზიო ფილმები

a. უნდა მომზადდეს ოთხი დოკუმენტური ფილმი. სამის ქრონომეტრაჟი არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს, ხოლო მეოთხის 30 წუთს.

2. სარეკლამო რგოლები

a. უნდა მომზადდეს ოთხი სატელევიზიო სარეკლამო რგოლი. თითოეულის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30-40 წმ-ს. ასევე უნდა შეიქმნას რგოლების მოკლე (დაახლოებით 5-10 წმ) ვერსია. სარეკლამო რგოლებს უნდა გააჩნდეთ საერთო და ადვილად ამოსაცნობი ფორმატი.

b. გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა გამოაცხადოს ტენდერი ფილმებისა და კლიპების სცენარის შესარჩევად, რაც დამკვეთთან შეთანხმებით უნდა დამტკიცდეს.

კონტრაქტის ხანგრძლივობა:

კონტრაქტის ხანგრძლივობა მოიცავს: 8 თვეს. 2006 წლის აპრილიდან დეკემბრის ჩათვლით. შესაძლებელია პროექტის გაგრძელება მომდევნო წელსაც.

ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარადგინონ საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის დირექტორის - რატი ჯაფარიძის სახელზე, 2006 წლის 4 აპრილის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი 0179, ვერკო ანჯაფარიძის ქ. 9, V სართული, საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი. სატენდერო დოკუმენტაციისა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის - a და ტელეფონის - 251566 საშუალებით, ცენტრის შესყიდვების მთავარ სპეციალისტთან - ანა თევდორაძესთან.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდი: http://moe.caucasus.net/

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია

თანახმად "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2006 წლის 2,3,6,7 თებერვალს კვების პროდუქტების,სოფლის მეურნეობის პროდუქტების, საკანცელარიო საქონლის, საწვავი მასალების, მყარი საწვავის (შეშა), საბურავების, აკუმულატორების და სხვადასხვა ფილტრების და პირადი შემადგენლობის თეთრეულის სამრეცხაო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:

კვების პროდუქტები

ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია	შესასყიდი საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
სს "ლომისი"	გაზიანი უალკოჰოლო სასმელი	ლიტ.	326,130	0.48	156542.40
შპს "აგროკონსორციუმი წეროვანი"	მარგარინი	კგ	63255	1.8	113859.00
ინდ. საწარმო "ელგუჯა ნოზაძე განთიადი"	ხორცი ქათმის	კგ	281489	3.5	985211.50
ინდ. საწარმო "ეჩა დალაქიშვილი"	ჩაი	კგ	3376	2.95	9959.20
